პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 აპრილი **პარასკევი** 2012 №098(13704) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

9 მაისს, ბუქარესტში, ევროპალიგის ფინალი



# ათლეტიკი/ო

↳7



## ნიკა ცქიტიშვილი
# NBA-ში წასვლა ნაადრევი იყო

ინტერვიუ ↳12



მარჯვნიდან პირველი ამირან პაპინაშვილი

# არის!
## ლიცენზია, მედალი, სრული გუნდი



მარჯვნიდან მეორე ლაშა შავდათუაშვილი

ძიუდო. ევროპის პირველობა ↳10-11



## თუ ინგლისელებს დაეჯერებათ... დღეს გვარდიოლა იტყვის:
# ADIOS!

გუშინ ბრიტანული მედია ირწმუნებოდა, რომ „ბარსელონას" მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ მიიღო გადაწყვეტილება, სეზონის ბოლოს დატოვოს ესპანური ფეხბურთის გრანდი. ამის შესახებ მან უკვე აცნობა კლუბის ხელმძღვანელობას, ხოლო საჯაროდ დღეს იტყვის სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

შეგახსენებთ, რომ 41 წლის პეპმა 2008 წლის ზაფხულში შეცვალა ჰოლანდიელი ფრანკ რაიკარდი. გვარდიოლას სავარაუდო მემკვიდრეებად ასახელებენ ლორან ბლანს, ერნესტო ვალვერდეს და მარსელო ბიელსას.

ნიკოლოზ ნეფარიძე



# უმაღლესი ლიგა არ გაიზრდებაო

აღმასკომმა უფლებოვნს ხმები აღუდგინა ↳2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

სფფ




მარცხნიდან: რევაზ შენგელია, ზვიად სიჭინავა, რევაზ არველაძე, ალექსანდრე ჩივაძე, გია ფირცხალავა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ალმასკომმა უუფლებოებს ხმები აღუდგინა

## უმაღლესი ლიგა აღარ გაიზრდებაო...

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე, მრავალი საკითხი განიხილეს.

პირველი გადაწყვეტილება ისაა, რომ ფედერაციის 21-ე საანგარიშო (და არა საარჩევნო) ყრილობა 5 ივნისს, სასტუმრო "ჰოლიდეი ინში" ან "რედისონში" გაიმართება.

ალმასკომზე დიდხანს ილაპარაკეს ეროვნული ჩემპიონატის ავ-კარგზე. შარშან გარიგებებში მონაწილე მოთამაშეთა ხუთეულის გამოვლენისა და მათი დასჯის შემდეგ ფედერაციის თავკაცები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ - ახლა ყველა მიხვდება, სად გადის აკრძალულის ზღვარიო და მიაჩნდათ, რომ პრობლემები გადაჭრეს. მაგრამ კმაყოფილება ნაადრევი აღმოჩნდა. მიმდინარე ეროვნულ ჩემპიონატში, განსაკუთრებით კი მეორე წრის დასკვნით ეტაპზე, მსაჯობასთან და მსაჯთა კორპუსთან დაკავშირებული პრეტენზიები გახშირდა.

ბოლო ტურებში კი მონასტერი სულაც აირია და მსაჯობით კლუბებისა და გულშემატკივრების უკმაყოფილება იზრდებოდა. თუმცა, ზოგან დაუკრეფავში გადადიოდნენ. მაგალითად, ზუგდიდში, "დინამოსთან" შეხვედრის შემდეგ მსაჯები გალახეს, მაგრამ ალმასკომზე ამაზე არ უმსჯელიათ, რაც გაოცებას იწვევს.

თუმცა, ეს ფაქტი მაინც ვერ გააბათილებს ზოგად სურათს, მსაჯობაში პრობლემები მართლაც არის. მაგალითად, "გაგრა" გორის "დილასთან" ორივე სათასო შეხვედრაში დაჩაგრა მეტოქემ, მაგრამ მსაჯებმა თავისი წილი ნიხლიც ჩაარტყეს.

მსაჯობით აღშფოთებულმა კლუბებმა აპრილში ფედერაციაში 16 წერილობითი პრეტენზია შეიტანეს, სადაც მსაჯების კონკრეტული გადაწყვეტილებების შესწავლას, განხილვას, ზოგადად დახმარებას და შავფორმიანების უნამუსობისგან დაცვას ითხოვდნენ.

ფეხბურთის ფედერაციამ ვითარება საგანგაშოდ მიიჩნია და ჩემპიონატის ღირსეულად ჩამთავრებისთვის, მსაჯთა და მსაჯთა დამკვირვებელთა განყოფილების უფროსს **ლევან ფანიაშვილსა** და მის მოადგილეს **მერაბ მალაღურაძეს** უფლებები შეუჩერა, განყოფილების ფუნქციები კი, დროებით, სფფ-ის საგანგებო კომიტეტმა შეითავსა (თავმჯდომარე სფფ-ს პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, წევრები - გენერალური მდივარი **რევაზ არველაძე** და ვიცე-პრეზიდენტები – **ალექსანდრე ჩივაძე** და **გია ფირცხალავა**).

სხვათა შორის, "გაგრა"-"დილას" პირველ შეხვედრაში მსაჯით უკმაყოფილებას ტრიბუნაზე განცალკევებით მჯდომი ფანიაშვილიც ვერ მალავდა, რომელიც ყველაზე მეტად დაისაჯა. არადა, ბევრისგან განსხვავებით, მას საფეხბურთო სამყარო წესიერ პიროვნებად იცნობს.

გადაწყდა, რომ უახლოეს კვირაში შეიქმნება და დაკომპლექტდება სპეციალური კომისია, რომელსაც **სერგო კვარაცხელია** უხელმძღვანელებს, რომელიც სამსაჯო კომიტეტს კურატორობდა. კომისია ყველა პრეტენზიას შეისწავლის და გადაწყვეტილებებს მიიღებს. თუმცა, იმ ანეკდოტის არ იყოს, მიხომ მრავალი ენა რომ იცის და ვერ იყენებს, დაზარალებულ კლუბებს რა ხეირი, უსამართლო გადაწყვეტილებებით წართმეულ ქულებს მათ არავინ დაუბრუნებს.

ეროვნული ჩემპიონატის გათამაშების სისტემაზე ზვიად სიჭინავამ თქვა, რომ 5 ივნისს დაგეგმილ ყრილობაზე უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბების წარმომადგენლების აზრსაც მოისმენენ, მომდევნო სეზონში როგორი ფორმატი აჯობებს. მან აღიარა, რომ ფედერაციამ შეცდომა დაუშვა, როდესაც რვიანებად დაყოფისას პლეი ოფში მოხვედრილ კლუბებს ქულები დააკლო. მაგრამ აღარ დაუკონკრეტებია, უმაღლესი ლიგის აუტსაიდერებსა და პირველი ლიგის ლიდერებს ქულებს როგორ შეუნარჩუნებდა.

და რაც მთავარია: მომდევნო სეზონში ეროვნულ ჩემპიონატში გუნდების რაოდენობა არ გაიზრდება, მიზეზად კი სიჭინავამ გუნდების არასათანადო ფინანსური უზრუნველყოფა დაასახელა - 12 კლუბიდან მხოლოდ 9 არის მეტ-ნაკლებად კარგ მდგომარეობაში, დანარჩენებს კი უჭირთო. აქვე ითქვა, რომ მომავალი სეზონისთვის ლიცენზირების მოთხოვნები მკაცრდება. თუ უმაღლესი ლიგის კლუბები კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებენ, არაა გამორიცხული, სეზონი მინუს ქულებით დაიწყონ.

*"სახელმწიფო სტრუქტურების დახმარებით, კიდევ ხუთ სტადიონზეა დაგეგმილი მოედნების დაგება და სადრენაჟო სისტემების შეცვლა. სექტემბრისთვის განახლდება ლანჩხუთის "გურიასა" და თელავის სტადიონები, ზუგდიდში დაიწყო ახალი არენის მშენებლობა, ხაშურში კი - რეაბილიტაცია. ხაშურში, ალბათ, ცხინვალის "სპარტაკი" ითამაშებს. ეს საკითხი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურისა და ქვეყნის მთავრობის დონეზეა გადაწყვეტილი. მშენებლობაში აქტიურად ჩაერთვებიან რეგიონის ადმინისტრაციები და მუნიციპალიტეტები. ჩემი დიდი სურვილია, გუნდი კახეთსაც ჰყავდეს. ამ რეგიონის ფედერაციას ვთხოვდი, საამისოდ ყველაფერი გააკეთოს"*, – თქვა სიჭინავამ.

ალმასკომმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რაც ჩრდილში მოექცა - მომავალ ყრილობაზე ფეხბურთის ფედერაციის სუბიექტებად პირველი ლიგის კლუბებსაც აღიარებენ. ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის პირველ წლებში ასეც იყო, მაგრამ შემდგომ დელეგატებზე მანიპულირების გასაიოლებლად და არასასურველი კანდიდატების ბრძოლიდან ჩამოსაშორებლად, დაბალი ლიგის გუნდებს ხმები ჩამოართვეს. არადა, ყველაზე მეტ პრობლემას დაბალ ლიგებში აწყდებიან და სასურველი იქნება, იმავე უფლებას რეგიონული ლიგის კლუბებიც თუ მიიღებენ.

ფიფაში არიან უმაღლესი და დაბალი რანგის ქვეყნები, მაგრამ კონგრესზე ყველა თანაბრად, ერთი ხმით არის წარდგენილი. რანგის გამო, საქართველოსთვის ხმის წართმევაც თავში აზრად არავის მოსვლია. ასე რომ, აჯობებს, სამართლიანობაზე ზრუნვა საკუთარი საფეხბურთო ოჯახიდან დავიწყოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# უკრაინაში ქართველთა შეფასება გაიზარდა



სანდრო კობახიძე

"ტრანსფერმარკტმა" უკრაინის პრემიერლიგის კლუბებში მოთამაშე ზოგიერთი ქართველ ფეხბურთელის შეფასება გაზარდა. მაგალითად, **ჯაბა ლიპარტიას** 300 ათას ევროდ აფასებდა, ახლა კი ინტერნეტგამოცემის ექსპერტებმა ლუგანსკის "ზარიას" მოთამაშის გრაფაში 600 ათასი ჩაწერეს.

კიევის "არსენალის" შემტევი ნახევარმცველი **სანდრო კობახიძე** საგაზაფხულო ეტაპს ძალიან კარგად ატარებს, მისით კიევის "დინამო" დაინტერესდა და შემოდგომაზე 500 ათას ევროდ შეფასებული ფეხბურთელის ამჟამინდელი რეიტინგი 600 ათას ევროს გაუტოლდა.

სხვათა შორის, ჟურნალისტები ამ ბოლო დროს სანდროს ხშირად ეხმიანებიან. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ახლახანს გადაცემა "სხვა ფეხბურთის" სტუმარი იყო, სადაც რატომღაც, სკანდალურად მოეჩვენათ სანდროს ფრაზა, რომ მისი ცხოვრება ლუდის გარეშე წარმოუდგენელია - აქაოდა, ფეხბურთელს ლუდის სმა არ ეკადრებაო. არადა, ევროპაში მატჩის შემდეგ მოთამაშეებს ლუდს თავად გუნდი სთავაზობს, როგორც განტვირთვის საუკეთესო საშუალებას.

800 ათასად შეფასდა კრივოი როგის "კრივბასის" საყრდენი ნახევარმცველის, **ჯაბა კანკავას** ტრანსფერი. ტრავმის შემდეგ ჯაბამ ფორმა აღიდგინა და "კრივბასის" შეუცვლელი ფეხბურთელი და ვიცე-კაპიტანი გახდა.

აქვე ვიტყვით, რომ "ტრანსფერმარკტში" რეიტინგი გაეზარდა "ზესტაფონის" თავდამსხმელს **ჯაბა დვალს** – საქართველოს ჩემპიონატში შედეგიანი თამაშის გამოა, რომ მის გრაფაში 500 ათასი ევრო დაეწერა.

არის კლებაც: საქართველოში ჩამოსვლით ჯერ თბილისის "დინამოს" ესპანელმა ლეგიონერმა **ჩისკომ** იზარალა და მილიონად შეფასებულს 800-ათასიანი რეიტინგი შერჩა; ახლა იგივე მოუვიდა **გოგიტა გოგუას**: თბილისის "დინამოს" ფეხბურთელი ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგაში" უთამაშებლობის პერიოდშიც კი 2 მილიონად ფასობდა, ახლა კი მისი ტრანსფერი 1.200.000-მდე შემცირდა.

ხანდახან გვსაყვედურობენ, ამ ცნობებს რატომ აქვეყნებთ, მოთამაშის ტრანსფერში გუნდი "ტრანსფერმარკტის" შეფასებულ თანხას ვერ მოითხოვსო. ცხადია, ასეა და არც არავინ კამათობს. საპირისპირო არასოდეს დაგვიმტკიცებია და არავისზე ნაკლებად არ გვესმის, რომ ინტერნეტსააგენტოს დასახელებული თანხები პირობითი შეფასებაა. მაგრამ ჩვენი მოთამაშეების კარიერული ცვლილების მიმართ ევროპელთა დამოკიდებულებას ასახავს და ცხადია, მკითხველისთვის საინტერესოა.

**მერაბ მამულაშვილი**



ჯაბა ლიპარტია

● ზესტაფონი



ზესტაფონს შოთა გრიგალაშვილი უბრუნდება

# დერბისთვის ყველა მზადაა

ხვალ ტურის ცენტრალური მატჩი ქუთაისში გაიმართება, სადაც "ტორპედო" "ზესტაფონს" უმასპინძლებს. შეგახსენებთ, უმაღლესი ლიგის ლიდერი "ზესტაფონი" რუსთავის "მეტალურგს" ერთადერთი ქულითლა ასწრებს და, შესაბამისად, "იმერულ დერბიში" მხოლოდ გამარჯვება აძლევს ხელს.

ეს ამოცანა იოლად შესასრულებელი ნამდვილად არ არის, მაგრამ ფეროელთა ბანაკში იმედიანი განწყობაა. დღეისთვის "ზესტაფონის" ლაზარეთი, ფაქტობრივად, ცარიელია. სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა **შოთა გრიგალაშვილმა**, რომელმაც ბოლო მატჩები ტრავმის გამო გამოტოვა და ახლა "ზესტაფონის" სამწვრთნელო შტაბის გადასაწყვეტია, რა ოდენობის სათამაშო დრო მიეცემა მას.

**გიორგი ხიდეშელის, აბაიომი ოვონიკოკოსა** და **შოთა ბაბუნაშვილის** გამოჯანმრთელება უკვე ძველი ამბავია. შედარებით ახალი კი ის არის, რომ მწყობრში ჩადგნენ **ლუკა გუგუჩია** და **გოგა ბერაია**. ერთი სიტყვით, "ზესტაფონში" არსებული ისედაც მძაფრი კონკურენცია კიდევ უფრო გაიზარდა.

ცნობისთვის, "ტორპედოს" "იმერულ დერბიში" დისკვალიფიკაციის გამო საუკეთესო თავდამსხმელი **რევაზ გოცირიძე** დააკლდება.

ამ შეხვედრისა და უმაღლესი ლიგის მორიგი ტურის სხვა მატჩების შესახებ ვრცლად "ლელოს" ხვალინდელ ნომერში ვისაუბრებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ლეგიონერი

# გენაცვალეთ ჯანოს ნათესავებს!

## ეგორ ტიტოვი: ანანიძეს რუსულ პასპორტს ლავროვი სთავაზობდა!

**ჯანო ანანიძის** მოქალაქეობის გამო რუსეთ-საქართველოს მეორე, "უხილავი ფრონტი" რომ იყო გახსნილი, ვიცოდით. ამის შესახებ მოსკოვის "სპარტაკის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ რომანცევმაც** ილაპარაკა და კიდევ ბევრმა.

მაგრამ ბევრი რამ უცნობი იყო. თუმცა ის, რაც წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, მოსკოვის „სპარტაკის" ყოფილმა ლიდერმა **ეგორ ტიტოვმა** "სპორტბოქს.რუს" სტუდიაში რუსების სახალხო გუნდის ქართველ ნახევარმცველზე, ჯანო ანანიძეზე განაცხადა, უფრო ნათელს ხდის, რა მასშტაბურ მუშაობას აწარმოებდნენ რუსები ქართველი ტალანტის გადასაბირებლად და ადასტურებს, რომ მათთვის ჯანოს საკითხი ყველანაირად პრინციპული იყო.

*„ჯანოს არ ჰყოფნის სიმაღლე და ფიზიკური მონაცემები. ბიჭი ძალიან ჭკვიანი და ტექნიკურია. მე ის ჯერ კიდევ დუბლშემადგენლობიდან მახსოვს. მაგრამ მას ყველაზე მეტად ხელს პასპორტი უშლის. ვიცი, რომ რუსეთის მოქალაქეობას მას ორი დღის ვადაში ანიჭებდნენ. ამას თავად საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი სთავაზობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მის არჩევანში დიდი როლი ნათესავებმა ითამაშეს და სულ მალე საქართველოს ნაკრებშიც ითამაშა. ანანიძე უკვე იმ ასაკშია, რომ დროა, გაცემული ავანსები გაამართლოს და დაამტკიცოს, რომ რაფაელ კარიოკასა და დემი დე ზეევზე უკეთესია"*, - თქვა ტიტოვმა.

რა თქმა უნდა, თუ ტიტოვი მართალია, მთელი საქართველო ენაცვალოს ჯანო ანანიძის ნათესავებს. მაგრამ თუ ჯანოს თავად არ სურდა, თავისას არც ნათესავებს გაატანინებდა და არც სხვა ვინმეს.

**მერაბ მამულაშვილი**



ჯანო ანანიძე

● ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალი. სპეციალისტთა აზრი

# ბაიერნი დიდი გუნდია

## მაინც მესი...

ჩემპიონთა ლიგის ორივე ნახევარფინალი ძალიან დრამატული გამოდგა. გუშინწინ "რეალი" – "ბაიერნი" იყო და რა თქმა უნდა, მთელი საფეხბურთო მილეთი ახლა ამ თამაშზე ლაპარაკობს. ისეთი შეხლა იყო, საკამათო და სამაასლათო ბევრი გააჩინა. ასეთ თამაშს ყველა უყურებს, ზოგი ქომაგობს, ზოგი რალაცას სწავლობს, ზოგი კი უბრალოდ, სიამოვნებას ილებს.

სპეციალისტები კი ალბათ განსაკუთრებულად, სულ სხვანაირად ჭვრეტენ ასეთი რანგის თამაშებს...

### კახა კაჭარავა

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი**

- "რეალის" ქომაგი ვარ, მაგრამ რეალურად უნდა შევხედო სიტუაციას – მადრიდელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრის პირველი 20-25 წუთი, მერე კი რა მოხდა, ჩემთვის ძნელი სათქმელია. მე მაინც მგონია, რომ თავი იჩინა გერმანულმა ხასიათმა და დისციპლინამ. მიუნხენელებმა მალევე გაუშვეს ორი გოლი, მაგრამ გუნდი მაინც არ გატყდა. უნდა ვალიაროთ, რომ 2:0-ის შემდეგ შეხვედრა "ბაიერნის" უპირატესობით მიმდინარეობდა. ის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რომ "ბაიერნი" გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლას უკვე გამოეთიშა და აქცენტი მთლიანად ჩემპიონთა ლიგაზე გააკეთა, "რეალს" კი ორივე ფრონტზე სურდა წარმატების მიღწევა.

- არც "ბაიერნი" და არც "ჩელსი" ფინალში შემთხვევით არ გასულა. გერმანელებმა თამაშის ხარისხით მნიშვნელოვნად აჯობეს მადრიდელებს.

- ძალიან საინტერესო იყო რობენის და მარსელოს დაპირისპირება. მარსელო შეტევაში კარგად მიდიოდა, დაცვაში ისეთნაირად ითამაშა, რომ რობენი



კახა კაჭარავა

ისე ვერ ბრწყინავდა, როგორც მას შეუძლია. ვერ ვიტყვი, რომ ჰოლანდიელმა მეურვე დაჩაგრა. საბოლოოდ, უპირატესობა მაინც რობენის მხარეს იყო.

- კარგად გამოჩნდა, რომ "რეალი" თანახმა იყო დამატებით დროში გადასულიყო მატჩი, "ბაიერნი" კი პირიქით – ძირითად დროში ცდილობდა წერტილის დასმას.

- შეიძლება ითქვას, რომ რიბერის ძალიან კარგად არ გამოუვიდა თამაში, მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით, ალმოჩნდება, რომ "ბაიერნის" ყველა ფეხბურთელმა საკუთარი ფუნქცია პირნათლად შესარულა.

- შვაინშტაიგერი საუკეთესო ფორმაში ვერ არის; ისეთი გამორჩეული არ იყო, როგორიც იოზილი, თუმცა კლასის და გამოცდილების ხარჯზე ბევრი სასარგებლო გააკეთა "ბაიერნისთვის".

- გამიკვირდა, მოურინიომ იოზილი რომ შეცვალა. იოზილი ზედმიწევნით შემქნელი ფეხბურთელია, ასეთი კი ბოლომდე უნდა იყოს მოედანზე – მე ასე მიმაჩნია. გასაგებია, რომ კაკა ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია, მაგრამ ტრავმის შემდეგ ისე ველარ ბრწყინავს, როგორც "მილანში".

- უმეტესობას ეგონა, რომ ფინალში "რეალი" და "ბარსელონა" გავიდოდნენ. "ჩელსი" ათი კაცით რომ დარჩა, სტუმრად ორი გოლი გაუტანა "ბარსელონას". ლონდონელებმა დაცვითი ფეხბურთი ითამაშესო – გულშემატკივრის პოზიცია გასაგებია, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დი მატეომ თავის ფეხბურთელებს ის დავალება მისცა, რისი გაკეთებაც კარგად შეუძლიათ. მწვრთნელმა ზუსტად გათვალა ყველაფერი.

- ხშირად სვამენ ხოლმე ამ კითხვას – უფრო მაინც რამ განაპირობა გუნდის წარმატება, ფეხბურთელებმა თუ მწვრთნელის ფაქტორმა? ამ კითხვაზე პასუხი ყოველთვის ერთია – ყველაფერს ფეხბურთელები წყვეტენ.

- მწვრთნელის ესა თუ ის გადაწყვეტილებაც რომ ძალიან ბევრს ნიშნავს, თქმა რად უნდა. რატომ შეცვალა გვარდიოლამ ფაბრეგასი კეიტათი? ალბათ იმიტომ, რომ კეიტა მეორე სართულზე კარგად თამაშობს, მაგრამ კეიტას გამოსვლის შემდეგ "ბარსელონას" მაღალი ჩაწოდებები არ გაუკეთებია. მაშ, რა აზრი ჰქონდა ამ შეცვლას?..

"ბარსელონა" ჩემპიონთა ლიგის ფინალში ვერ გავიდა, ესპანეთის ჩემპიონატშიც სტაბილურად ვერ თამაშობს, მაგრამ ამ სეზონშიც ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი ისევ მესია. ის დიდი ინდივიდუალისტია და ამავე დროს გუნდისთვის თამაშობს. მას ხშირად ქაჩავენ მაისურზე, ფეხებში ურტყამენ, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად იქცევა მოედანზე, არ უბრაზდება მსაჯს, არ ჩხუბობს მეტოქე ფეხბურთელებთან, ის მართლაც სამაგალითოა ახალგაზრდებისთვის.

### რამაზ მუმლაძე

**თბილისის დინამოს მთავარი მწვრთნელი**

- ჰაინკესმა გარისკა და მაინც ათამაშა შვაინშტაიგერი, რომელიც ჯერ ვერ არის კარგ კონდიციაში. თუ დააკვირდით, შვაინშტაიგერს არცთუ ცოტა ტექნიკური წუნი ჰქონდა, რამდენჯერმე ისეთ სიტუაციაში დაკარგა ბურთი, რომ ამას კარგ ფორმაში მყოფი ნამდვილად არ გააკეთებდა. ბურთზე კონტროლი კი ძალიან მნიშვნელოვანია თანამედროვე ფეხბურთში. ჰაინკესის რისკი მაინც გამართლებული იყო -ასეთი რანგის მატჩებს სწორედ ვარსკვლავები, ლიდერები იგებენ, იმ თვისებების მქონე ფეხბურთელები, რა თვისებებიც შვაინშტაიგერს აქვს.

- "ბაირენმა" გუნდური თამაშით აჯობა მოწინააღმდეგეს. გერმანელებმა ტაქტიკურად უფრო სწორად ითამაშეს, ვიდრე ესპანელებმა.

- გომესმა რამდენიმე საგოლე შანსი გაფლანგა, მაგრამ მერწმუნეთ, ამ ერთი თამაშით არ უნდა შევაფასოთ ეს თავდამსხმელი. ასეთი რანგის მატჩებში დაძაბულობა ძალიან დიდია და ეს ხანდახან მაღალი დონის ფეხბურთელებზეც მოქმედებს.



რამაზ მუმლაძე

- გამიკვირდა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ "რეალი" ჩაიკარგა, "ბაიერნი" თუ ასეთ უპირატესობას დაეუფლებოდა, ნამდვილად არ მეგონა.

- ძნელი სათქმელია, ვინ იყო მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი. რონალდო მხოლოდ პირველ 25 წუთში გახლდათ საუკეთესო. შეხვედრის ყველაზე გამორჩეული მოთამაშე ალბათ რობენი იყო, "ბაიერნის" სული და გული.

ცალკე უნდა აღინიშნოს ფილიპ ლამის თამაში. ის მარჯვენა მცველია და დახეთ, რაოდენ ფასეული ფეხბურთელია გუნდისთვის. სისწრაფე, ტექნიკა და მოწინააღმდეგის სვლების წაკითხვის უნარი – მას ყველა თვისება აქვს. ამ დროსთვის ის მსოფლიოს საუკეთესო განაპირა მცველად მიმაჩნია.



არჩილ არველაძე

### არჩილ არველაძე

**საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, A კატეგორიის მწვრთნელი**

- ამ შეხვედრამ ერთხელაც დაგვანახვა, თუ რამდენად დიდი გუნდია "ბაიერნი", "რეალთან" დადებითი ბალანსი აქვს და ისეთ "რეალს" ეთამაშა წარმატებით, რომელიც ახლა ძალიან ძლიერია. მეგონა, მადრიდელები გავიდოდნენ ფინალში, რადგან ყველა რგოლში კარგად დაბალანსებული, ძალიან შეკრული გუნდი ჰყავთ. ასეთი ძლიერი "რეალი" კარგა ხანია, არ მინახავს.

- ვფიქრობ, "რეალსაც" იგივე პრობლემა აქვს, რაც "ბარსელონას" – ზედმიწევნით კონცენტრირებულია შეტევაზე, ყველა გუნდთან შემტევ ფეხბურთს თამაშობს და როცა უკვე აქეთ შეუტევენ, დაცვაში მოისუსტებს. ძნელია იმ გუნდის წინააღმდეგ თამაში, რომელსაც რიბერი და რობენი ჰყავს. "რეალი" 2:0-ს იგებდა, მაგრამ "ბაიერნი" თითქმის ყოველ ხუთ წუთში შეტევაში რალაც საინტერესოს აკეთებდა და დაგვანახვა, რომ ადვილად არაფერს დათმობდა.

- "ბაიერნს" ახალი არაფერი არ დაუნახვებია. გომესი ისეთი სტილის ფორვარდია, ჩემს გემოვნებაში რომ ვერ ჯდება, მაგრამ ის მაინც ძალიან ძლიერ თავდამსხმელად მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ "რეალთან" საგოლე მომენტები ვერ გამოიყენა.

"ბაიერნის" ნახევარდაცვამ არაჩვეულებრივად ითამაშა, ერთი არასწორი პასი არ გაუკეთებიათ გერმანელ შუახაზელებს. ნახევარდაცვა, ლამი და ნოიერი – ეს უნაკლო მექანიზმი იყო.

**დავით თავართქილაძე**

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ჯაბა დვალი: პირველობას არავის დავუთმობთ

## ჩემპიონმა ქუთაისში სამი ქულა დაგეგმა

**ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი პრინციპულ დაპირისპირებას ქუთაისში გამართავს. სწორედ ამ მატჩის შედეგზე იქნება დამოკიდებული, შეინარჩუნებს თუ არა „ზესტაფონი" ცხრილში ლიდერობას. ორივე გუნდის სატურნირო მდგომარეობაც იმის საფუძველს გვაძლევს, რომ მეტად საინტერესო იმერული დერბის მოლოდინში დავრჩეთ. პლეი ოფის პირველი მატჩი ამ გუნდებს შორის ზესტაფონში უგოლოდ დასრულდა, ახლა კი ჩემპიონები შინ სამი ქულის წამოღებას გეგმავენ. ბომბარდირთა დავაში დაწინაურებულ ჯაბა დვალს "ლელო" ესაუბრა და ეცადა გაერკვია, თუ როგორ ემზადება გუნდი ამ მატჩისთვის.**

**- ქუთაისის „ტორპედოსთან" უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება გელოდებათ. უშუალო მდევარ „მეტალურგთან" სხვაობა მხოლოდ ქულაა, ამიტომ შეცდომის უფლება არ გაქვთ. საკუთარ მოედანზე ვერ შეძელით პრინციპული მეტოქის დამარცხება, ამას ქუთაისში მოახერხებთ?**



- ექვსი თამაშია დარჩენილი სეზონის დასრულებამდე, სხვაობა კი ერთი ქულაა, ამიტომ ყველა დარჩენილი თამაში უნდა მოვიგოთ. ვიცით, რომ შეცდომების დაშვების უფლება აღარ გვაქვს. ჩვენთვის არა მარტო „ტორპედო", ყველა მეტოქე რთულია და იოლი თამაში არავისთან გველოდება. თუმცა, არც ახლა და არც მერე, პირველი ადგილის დათმობას არ ვაპირებთ. ვფიქრობ, ქუთაისში მოვიგებთ და შინ სამ ქულას წამოვიღებთ.

**- „ზესტაფონის"ყოფილმა დამრიგებელმა გია გეგუჩაძემ, რომელიც ახლა „ტორპედოს" თავკაცობს, ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველაზე მეტად ჩემპიონობას თქვენ იმსახურებთ. რამდენად მნიშვნელოვანია გეგუჩაძის განცხადება „ზესტაფონისთვის" და თავად როგორ გგონიათ, იმსახურებთ ჩემპიონობას?**

- ბევრი იტყვის, რომ ვიმსახურებთ, ბევრი - საპირისპიროს, მაგრამ გეგუჩაძე კვალიფიციური სპეციალისტია და რადგან ამბობს, ამის საფუძველიც ექნება. ვერ ვიტყვი, რომ საქართველოში ყველაზე კარგი გუნდი ახლა „ზესტაფონია". როცა ჩემპიონები გავხდებით, ამას მაშინ ვიტყვი, ახლაკი ადრეა ამაზე ლაპარაკი. თუმცა, ჩემი აზრით, ჩემპიონობას ნამდვილად ვიმსახურებთ.

**- წინა ტურებში საჭირო ქულები დაკარგეთ, რის გამოც რუსთაველებმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს. თუკი „ზესტაფონი" ჩემპიონი ვერ გახდება, ვისი ბრალი იქნება?**

- მნიშვნელოვანი ქულები დავკარგეთ, გეთანხმები. ჩემპიონები ვერ გავხდებით? ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ მსგავსი რამ თუ მოხდება, მხოლოდ ფეხბურთელების ბრალი იქნება და სხვა არავისი.

**- საკუთარ არენაზე „ტორპედოს" დამარცხებით, „მეტალურგთან" სხვაობას 8 ქულამდე ზრდიდით, სხვა მოუგებელი მატჩებიც გქონდათ, გორის „დილა" კი დაუძლეველ ბარიერად გექცათ. ეს ჩავარდნა გადაღლილობას მივაწეროთ?**

- ამას ჩავარდნას ვერ დავარქმევდი. ორი წრე საკმაოდ მაღალ დონეზე ჩავატარეთ. ყოველ ოთხ დღეში ერთხელ თამაში გვქონდა და ამ ყველაფერმა გავლენა იქონია. ნამდვილად არ დავღლილვართ, საკუთარ მოედანზე, თასზე „მეტალურგი" ვერ დავამარცხეთ, მაგრამ გასვლა ხომ მოვიგეთ? „დილასაც" მოვუგეთ გასვლაზე; სახლში ახლა კი წავაგეთ, მაგრამ ვინც თამაშს უყურა, დამეთანხმება, რომ შემთხვევითობა უფრო იყო ჩვენი მარცხი. უდიდეს უპირატესობას ვფლობდით, ვაჯობეთ, მაგრამ ვერ მოვიგეთ.

**- მსაჯობაზე საუბარი ისევ აქტუალურია. მსაჯების გადაწყვეტილებებმა „ზესტაფონის" რომელიმე კონკრეტულ შედეგზე გავლენა იქონია?**

- ჩემი მხრიდან, არაკორექტული იქნება მსაჯობაზე ვილაპარაკო. ყველა ადამიანი ცდება და არც მსაჯია გამონაკლისი. მათ ვერაფერს დავაბრალებ.

**- სეზონის წინ ფეხბურთის ფედერაციამ გათამაშების სისტემა შეცვალა, შედეგად პლეი ოფში "მეტალურგმა" სხვაობა „ზესტაფონთან" მნიშვნელოვნად შეამცირა. რამდენად მისაღებია ეს სისტემა და იზარალა თუ არა ამით თქვენი გუნდმა?**

- ეს სისტემა ძალიან ცუდი რომ არის, ლაპარაკიც აღარ ღირს. „მეტალურგს" 23 ქულით ვუსწრებდით და ახლა სხვაობა 1 ქულაა, თავიდან 5 იყო. იმედია, მომავალში გაითვალისწინებენ და სისტემა შეიცვლება. ამ სქემამ ჩვენი გუნდი მართლაც დააზარალა.

**- ნიკა გელაშვილის „ზესტაფონიდან" წასვლის შემდეგ თავდასხმაში, ფაქტობრივად, მარტო დარჩი და მაინც, ბომბარდირებში პირველობას ინარჩუნებ. გელაშვილის გარეშე გაგიჭირდა?**

- რა თქმა უნდა. ნიკასთან ერთად სამი წელიწადი ვთამაშობდი, ერთმანეთს თვალდახუჭული ვუგებდით. ნიკა კარგი ფეხბურთელია და მინდა, წარმატება ვუსურვო. მარტო დარჩენას რაც შეეხება, ასე არ არის. გვყავს მაღალი დონის თავდამსხმელები, იგივე რატი წინამძღვრიშვილი, ოვონიკოკო, რომელიც ტრავმირებული იყო და ახლა შედის ფორმაში. გამოვყოფ დავით მუჯირს, რომელიც ძალიან გამოცდილია და მარტოს შეუძლია თამაშის ბედის გადაწყვეტა.

**- ოვონიკოკო გაამართლებს იმედებს?**

- მისი თამაში ნანახი არ მქონდა. მხოლოდ ის ვიცოდი, რომ „გაგრაში" ირიცხებოდა. ჩვენთან მოსვლის შემდეგ, ტრავმირებული იყო და ძირითადშიც არ უთამაშია. თუმცა ფორმაში ნელ-ნელა შედის, მონდომებულიც არის და მჯერა, რომ ჩვენს გუნდს დიდ სამსახურს გაუწევს.

**- სეზონის დასრულებამდე ბევრი აღარ დარჩა. დიდი ალბათობით, ბომბარდირობაში - ანუ რამდენიმე წლის წინანდელი წარმატების განმეორებაში ხელს ველარაფერი შეგიშლის...**

- ბომბარდირობაზე მნიშვნელოვანი, ჩემთვის ჩემპიონობაა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მართლაც ასეა. თუ ჩემპიონები გავხდებით, თასსაც ავიღებ და ბომბარდირიც გავხდები, რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდება.

**- „ზესტაფონში" მისვლის დღიდან შედეგიანი თამაშით გამოირჩევი, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ სატრანსფეროდ საინტერესო პერსონა გახდი. მოახლოებული სატრანსფერო ფანჯრის წინ, რაიმე შეთავაზება ხომ არ მიგილია?**

- სანამ ჩემპიონატი არ დასრულდება, ამაზე არ ვფიქრობ. თანაც კონტრაქტი "ზესტაფონთან" კიდევ ორწელიწად-ნახევარი მაკავშირებს. ჩემპიონატის შემდეგ ევროპაზე გვაქვს სათამაშო, ჩემი საქმე უნდა გავაკეთო და ისე უნდა გამოვიდეთ, როგორც „ზესტაფონს" ეკადრება.

**- ამ მომენტში "ზესტაფონს" შენი ღირსეული შემცვლელი რახან არ ჰყავს, ხომ არ გგონია, რომ საინტერესო წინადადების შემთხვევაშიც კი, შენი ტრანსფერი დაიბლოკება?**

- „ზესტაფონში" ჯერ არავის ტრანსფერი არ დაბლოკილა. გელაშვილსაც ჰქონდა კონტრაქტი დარჩენილი, მაგრამ წავიდა. როგორ და რანაირად, ეს არ ვიცი, მაგრამ ხომ გაუშვა კლუბმა? ასე რომ, თუ წინადადება კლუბისთვისაც იქნება მისაღები, არ მგონია ვინმემ არ გამიშვას. მაგრამ თუ გუნდს შეთავაზება არ მოეწონება, ეს არ ნიშნავს, რომ ვილაცამ დამბლოკა.

**- თასის ფინალში გორის „დილას" უპირისპირდებით და ამ მატჩის ირგვლივ არასასიასმოვნო ხმებიც ისმის...**

- ასეთ ამბებს ყურადღებას არ ვაქცევ. ვინც იქნება უძლიერესი, ის მოიგებს. ორი გამორჩეული გუნდი ხვდება ერთმანეთს. ორივე კარგი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. ფინალი სანახაობრივი იქნება და იმ კონკრეტულ მომენტში ვინც უკეთეს ფორმაში აღმოჩნდება, სწორედ ის გაიმარჯვებს.

**მაგდა კლდიაშვილი**

კოლხეთი

# დავით მახარაძე: მცირე ბიუჯეტით ბევრს მივაღწიეთ



დავით მახარაძე

ფოთის "კოლხეთი" პლეი ოფში გაჭირვებით მოხვდა, თუმცა ბევრისთვის მოულოდნელად, გუნდი კარგ ფეხბურთს აჩვენებს, ლიდერებსაც არ ეპუება და პოტენციალიც წარმოაჩინა. არადა, "კოლხეთს" წლეულს პორტი აღარ აფინანსებს და მთლიანად ფოთის ბიუჯეტზე გახდა დამოკიდებული. "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი **დავით მახარაძე** ამბობს, რომ თუ დაფინანსება გაიზრდება, გუნდი უფრო მაღალი შედეგებისთვის იბრძოლებს.

*"მიუხედავად იმისა, რომ პორტი გუნდს აღარ ფლობს, თანადგომას მაინც ვგრძნობთ, წლევანდელი მოსამზადებელი ეტაპი დაგვიფინანსა და ამჟამად სტადიონზე მიმდინარე სამუშაოებისთვისაც გარკვეული თანხა გაიღო. თუმცა, უკეთესი იქნება, პორტი ისევ "კოლხეთის" ოფიციალური პარტნიორი რომ გახდეს, რადგან გუნდის ისტორია მასთან არის დაკავშირებული. სასურველი იქნება ჩვენი ბიუჯეტის გაზრდაც. ახლა ველოდებით ისეთი კომპანიის გამოჩენას, რომელიც გვერდში დაგვიდგება. დამეთანხმებით, წლეულს გუნდების ბიუჯეტი საკმაოდ გაიზარდა და ის, რაც 3-4 წლის წინ ნორმალური თანხა იყო, ამჟამად არასაკმარისია. ვფიქრობთ, ამის გათვალისწინებით, "კოლხეთმა" წლეულს კიდევ ბევრს მიაღწია - ახლა ჩვენი ბიუჯეტი სულ რაღაც 300 ათასი ლარია და, მაქსიმუმ, 500-600 ათასამდე თუ გაიზრდება. თუმცა, მომდევნო სეზონში გუნდის გაძლიერება და მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა გვსურს, საამისოდ კი ბიუჯეტის გაზრდა აუცილებელი წინა პირობაა. გვპირდებიან კიდეც, რომ სპონსორი გამოჩნდება, მაგრამ ვნახოთ. ასეთი ლაპარაკი ადრეც იყო და მთავარია, სულ ლოდინის რეჟიმში არ ვიყოთ. ვისაც ლონიერი თანამდგომი გამოუჩნდა, ყველა ფეხზე წამოდგა და ამბიცია გაუჩნდა. "კოლხეთი" კი ტრადიციული კლუბია, გამოცდილი და პროფესიონალი კადრები გვყავს და ამ რესურსით წარმატებისთვის ბრძოლა სავსებით შესაძლებელია. საერთოდ, რაც მეტი შეძლებული და კარგად ნაპატრონები გუნდი გვეყოლება, უცხოეთიდანაც ბევრ ქართველ ფეხბურთელს დავაბრუნებთ და ჩვენი ჩემპიონატის დონეც გაიზრდება".*

**მერაბ მამულაშვილი**

# ბექა ტულუში კოლხეთიდან მიდის?

ფოთის "კოლხეთის" 23 წლის თავდამსხმელი **ბექა ტულუში** გულშემატკივარმა წლეულს გაიცნო. 35-ე საფეხბურთო სკოლის გაზრდილი "კოლხეთში" ფინეთის პირველი ლიგის "კოტეპედან" გადმოვიდა და ურიგო შთაბეჭდილებას არ ტოვებს. მაღალი, ტექნიკური და მებრძოლი თავდამსხმელი გუნდისთვის სასარგებლო მოთამაშეა, მეტოქის დაცვას მუდამ დაძაბულობაში ამყოფებს და სპეციალისტების ყურადღებაც მიიქცია.

ჩვენი ინფორმაციით, ტულუშის გადაბირება ქუთაისის "ტორპედოს" სურდა, თუმცა ბექა ისევ ევროპაში წასვლაზე ფიქრობს.

*"ქუთაისელებთან მოლაპარაკება მქონდა, მაგრამ სამწლიანი კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზეს. ეს არ მაწყობდა და მოლაპარაკება შევწყვიტეთ. სავარაუდოდ, სეზონის ბოლოს "კოლხეთიდან" წავალ, სად - ჯერ კიდევ ვფიქრობ. წინადადება მივიღე ფინეთის რამდენიმე გუნდიდან, მაგრამ წასვლისგან თავს ვიკავებ, რადგან იქ ისეთი დონის ჩემპიონატი არ არის, გული რომ მიმიწევდეს. უფრო საინტერესო მიწვევები მაქვს პოლონეთის, უკრაინის, დანიისა და ბელგიის კლუბებიდან. თუმცა, მენეჯერი არ მყავს და ჩემს ტრანსფერზე თვითონ მიწევს ფიქრი" – გვითხრა ტულუშმა.*

**მერაბ მამულაშვილი**



ბექა ტულუში (შუაში)

ჩელსი

# დი მატეოს ბედი

"ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორის **რეი გურლეის** თქმით, კლუბის ხელმძღვანელობა მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყვეტს **რობერტო დი მატეოსთან** თანამშრომლობას წერტილს დაუსვამს, თუ ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. შვეიცარიული წარმოშობის იტალიელი სპეციალისტის დანიშვნის შემდეგ ლონდონელებმა თამაშის ხარისხი კი გამოასწორეს, მაგრამ რამდენადაც უცნაური არ უნდა


რობერტო დი მატეოს ბედი სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყდება

იყოს, ეს ცხრილში მათ მდგომარეობაზე არ ასახულა. სამაგიეროდ, "ლურჯები" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდნენ, სადაც 19 მაისს "ალიანს არენაზე" "ბაიერნს" დაუპირისპირდებიან. "რობერტო მთავარი მწვრთნელობის მოვალეობების შემსრულებლად სეზონის ბოლომდე დაინიშნა. მის მუშაობას თამამად შეიძლება ვუწოდოთ შესანიშნავი, მაგრამ ამის მიუხედავად ჩვენ გეგმების შეცვლას არ ვაპირებთ. დაელოდეთ სეზონის დასრულებას და გაიგებთ, დარჩება თუ არა ის "ჩელსიში". კონკრეტულ სახელებსა და გვარებზე ლაპარაკს ახლა ის გვირჩევნია, რომ უახლოეს მატჩებზე გავაკეთოთ კონცენტრირება," – განაცხადა გურლეიმ.

"დეილი მეილის" ინფორმაციით, "ჩელსის" 26 წლის კოტდივუარელ თავდამსხმელ **სალომონ კალუს** "ტოტენჰემის" გარდა კიდევ ერთი რეალური მთხოვნელი გამოუჩნდა. ლაპარაკია თურქულ "ბეშიქთაშზე", რომელიც ფეხბურთელს 4-წლიან ხელშეკრულებას სთავაზობს. ტაბლოიდის მტკიცებით, სტამბოლელები უკვე შეხვდნენ ფეხბურთელის აგენტს. "ჩელსისთან" კალუს ხელშეკრულებას ვადა სეზონის დასრულებისთანავე ეწურება, ასე რომ, მსურველებს მისი გადაბირება უფასოდ შეეძლებათ. თავად "ჩელსი" ფეხბურთელს ახალ ხელშეკრულებას არ სთავაზობს, მაგრამ რომც შესთავაზოს, დიდი ალბათობით უარს მიიღებს, რადგან კალუ სათამაშო პრაქტიკის სიმწირეს უჩივის. მიმდინარე სეზონში სალომონმა პრემიერლიგაში სულ 11 შეხვედრა ჩაატარა და 1 გოლი გაიტანა.

პრაქტიკა აკლია საფრანგეთის ნაკრების წევრ **ფლორან მალუდასაც**. 31 წლის ვეტერანმა ჩემპიონატში 22 შეხვედრა გამართა, მაგრამ აქედან 14-ჯერ შეცვლაზე ითამაშა. აქედან გამომდინარე ფეხბურთელი "სტემფორდ ბრიჯიდან" წასვლას ფიქრობს, თუმცა ის იქამდე აპირებს მოცდას, ვიდრე მთავარი მწვრთნელის საკითხი არ გაირკვევა. კალუსი არ იყოს, ხელშეკრულება ფრანგსაც უმთავრდება. "მიუხედავად იმისა, თუ რას ლაპარაკობდნენ, ჩემს ერთგულებას საფრანგეთის ნაკრების მიმართ მთელი კარიერის განმავლობაში ვამტკიცებდი და ჩემს იმედგაცრუებას საზღვარი არ ექნება, თუკი ევრო 2012-ზე ნაკრების განაცხადში ვერ მოვხვდები. შესარჩევ ეტაპზე ხშირად ვთამაშობდი, მაგრამ ახლა ყველაფერი ლორან ბლანის გადასაწყვეტია. იმედი მაქვს, რომ მაინც ჩემპიონატზე მაინც ვითამაშებ. ამისთვის მზად ვარ," – განაცხადა ფეხბურთელმა "ეკიპთან" ინტერვიუში.

არსენალი


რობინ ვან პერსის არსენალი საარაკო კონტრაქტს სთავაზობს

# 140 000 ვან პერსისთვის

"არსენალმა" **რობინ ვან პერსის** ახალი კონტრაქტი შესთავაზა. ლონდონელები მზად არიან, ფეხბურთელს კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი ანაზღაურება, კვირაში 140 ათასი ფუნტი (171,45 ათასი ევრო) შესთავაზონ და ამით მოტივაცია გაუორმაგონ, რათა ჰოლანდიელმა სხვა კლუბში წასვლაზე არ იფიქროს. ახალი ხელშეკრულება 2016 წლის 30 ივნისამდე იქნება ძალაში. **არსენ ვენგერი** იმედოვნებს, რომ ფეხბურთელი გადაწყვეტილებას 17 მაისამდე მიიღებს. ეს ის დღეა, როცა ვან პერსი ჰოლანდიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე უნდა შეუერთდეს. "ყველაფერი სეზონის დამთავრების შემდეგ, მაგრამ ევროპის ჩემპიონატამდე უნდა გადაწყდეს," – დარწმუნებულია ვენგერი. ასე რომ, ახლა ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ფეხბურთელზე ხდება დამოკიდებული. "ჩემი ოცნება ასრულდა. მინდა მადლობა ვუთხრა "არსენალს" იმისთვის, რომ მომცა შანსი მეთამაშა ასეთ დიდ კლუბში. "არსენალი" ჩემი მეორე სახლია ბოლო 8 წლის განმავლობაში. მადლობელი ვარ არსენ ვენგერისაც, რადგან მას არასოდეს დაუკარგავს ჩემი იმედი. მაშინაც კი, როცა რთული პერიოდი მქონდა ცხოვრებაში. მისი დახმარების გარეშე ნამდვილად არ ვიქნებოდი ის, ვინც ვარ," – განაცხადა ვან პერსიმ მას მერე, რაც კოლეგებმა ორიოდე დღის წინ ინგლისის წლის ფეხბურთელად დაასახელეს.

ჰოლანდიელი "არსენალის" ისტორიაში მეოთხე ფეხბურთელია, ვისაც მსგავსი პატივი ხვდა წილად. იქამდე "მეთოფეთაგან" საუკეთესოები იყვნენ **ლაიამ ბრეიდი** (1979), **დენის ბერგკამპი** (1998) და **ტიერი ანრი** (2003, 2004).

ამბები


ფაბიო კაპელო

# კაპელო: პრემიერლიგაში ვიმუშავებდი

ინგლისის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** აცხადებს, რომ სამწვრთნელო კარიერის დასრულებას არ აპირებს და კარიერას სიამოვნებით განაგრძობდა, მაგალითად, პრემიერლიგაში. "2 წლის განმავლობაში კიდევ ვიმუშავებდი. მე მომწონს ლონდონი, ასე რომ, პრემიერლიგის კლუბში მუშაობას დავთანხმდებოდი. ადმინისტრაციული სამუშაო არ მაინტერესებს, როგორც ამას იტალიურ გაზეთებში წერენ. მე მუშაობა მინდვრის კიდესთან მიტაცებს და არა კაბინეტში," – განუცხადა "სქაი სპორტსს" 65 წლის სპეციალისტმა.

# ბრიტანეთი ბრაზილიის წინააღმდეგ

დიდი ბრიტანეთის ოლიმპიური ნაკრები 20 ივლისს მიდლსბროს "რივერსაიდზე" ბრაზილიის წინააღმდეგ ჩაატარებს ამხანაგურ შეხვედრას. ახლადშექმნილი გუნდისთვის ეს იქნება პირველი თამაში უკანასკნელი 41 წლის განმავლობაში. ლონდონი 2012-ის საფეხბურთო ტურნირი 26 ივლისს დაიწყება და 11 აგვისტომდე გასტანს.

# როსიცკის იდეალური პოზიცია

**ტომაშ როსიცკიმ** მიმდინარე სეზონი ძალიან სუსტად დაიწყო. ისიც კი იწერებოდა, რომ 31 წლის ჩეხს კლუბი იანვარშივე გაყიდიდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მეორე წრეში ვეტერანი გარდაისახა. ფეხბურთელის თქმით, ის ამას იდეალური პოზიციის მონახვას უკავშირებს. "ცენტრალურ ნახევარმცველებს შორის ყველაზე წინ ვთამაშობ და დაცვისა და თავდასხმის შეკავშირება მევალება. როცა ბურთს ვფლობთ, ვან პერსისთან ძალიან ახლოს ვთამაშობ, სხვა შემთხვევაში კი სიღრმეში ვიწევ და შეტევის წამოწყებას ვცდილობ. საერთო ჯამში სეზონით კმაყოფილი ვარ, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ პირველი თვეების განმავლობაში ორჯერ მივიღე ტრავმა და შემდეგ ფორმაში ჩადგომა გამიჭირდა. ახლა კი ვტკბები იმ რიტმით, რომელიც გუნდში მწვრთნელმა დანერგა," - აცხადებს ფეხბურთელი.


ტომაშ როსიცკი

მანჩესტერ იუნაიტედი

# ზედმეტი ხუთეული

**"მანჩესტერ იუნაიტედის" გულშემატკივართა ვებგვერდზე საინტერესო სტატიას გადავაწყდით. ავტორი აანალიზებს ალექს ფერგიუსონის პოლიტიკას, რომლის წყალობითაც ნელ-ნელა გამოიკვეთა იმ ფეხბურთელების ვინაობა, რომელთაც მომდევნო სეზონში "ოლდ ტრეფორდზე" მომავალი არ აქვთ.**

გულწრფელად რომ ვთქვათ, გუნდში არიან ფეხბურთელები, რომლებიც მხოლოდ ავნებენ თავიანთ კარიერას, თუკი "ოლდ ტრეფორდზე" კიდევ ერთ სეზონს გაატარებენ. ყოველთვის გულდასაწყვეტია, როცა ფეხბურთელი მიდის, იქნება ეს ვეტერანი, თუ აკადემიის აღზრდილი, რომელმაც შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ მოახერხა. უკანასკნელთა სია საკმაოდ დიდია – **იგლსი, გრინინგი, პიუ, შოუკროსი, ებანს-ბლეიკი, ჰიგინბოთემი, ობერტანი** და სხვები. ამ ფეხბურთელებმა ჯერ კიდევ პატარებმა გადაწყვიტეს "მანიუს" დატოვება და როგორც წესი, მათ კარიერაზე ეს ნაბიჯი დადებითად ისახებოდა. **ფერგიუსონმა** აღიარა, რომ შოუკროსის გაშვებისას შეცდა და მერე ცდილობდა კიდევაც "სტოკ სიტისთან" მოლაპარაკებას და ფეხბურთელის უკან დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. ნებისმიერ შემთხვევაში სასიხარულოა, რომ ეს ბიჭები თამაშობენ ბევრს და წარმატებით. გთავაზობთ იმ ფეხბურთელების სიას, ვისთვისაც უკეთესი იქნება "იუნაიტედის" დატოვება.


დიმიტარ ბერბატოვი (შუაში) და მაიკლ ოუენი (მარჯვნივ) მანჩესტერ იუნაიტედს აუცილებლად დატოვებენ

## ტომაშ კუშჩაკი

ყოველთვის მიმაჩნდა, რომ **კუშჩაკი** კარგი მეკარე იყო. მას შეეძლო სტაბილურად ეთამაშა 2-3 საფეხურით ქვემოთ მყოფ გუნდში. მისდა სამწუხაროდ, "მანჩესტერ იუნაიტედის" პირველი ნომერი ის ერთია რამდენიმეთაგან, ვინც მას სჯობია. ამჟამად პოლონელი "უოტფორდში" იჯარით თამაშობს, მაგრამ მისი გადასვლა პრემიერლიგის რომელიმე გუნდში შორეული პერსპექტივა არ არის. მას მერე, რაც "იუნაიტედში" **დე ხეა** და **ლინდეგორი** მოვიდნენ (**ამოსიც** პროგრესირებს), კუშჩაკს პრაქტიკულად აღარ აქვს შანსი. სამწუხაროა, მაგრამ ჯობს, წავიდეს.

## ფედერიკო მაკედა

როცა 3 წლის წინ **ფედერიკო მაკედამ** თავისი ლამაზი გოლით "მანჩესტერ იუნაიტედს" "ასტონ ვილასთან" შეხვედრაში (3:2) გამარჯვება მოაპოვებინა, მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ მისი პროგრესი შეჩერდა და ამის გამო "ქუინზ პარკში" იჯარით გაუშვეს. პირდაპირ ვთქვათ. ამ ეტაპზე მაკედა გუნდის მე-6 ფორვარდია. ელოდნენ, რომ ის ახალ გუნდში დაიბრუნებდა ფორმას, მაგრამ მან დასარჩენად მებრძოლ გუნდშიც ვერ შეძლო ძირითადში დამკვიდრება. დაიწერა, რომ "ეშმაკებს" "ბენფიკადან" **გაიტანის** შეძენა სურთ და მზად არიან პორტუგალიელებს იტალიელი დაუთმონ. მისთვის ეს იდეალური ვარიანტი უნდა იყოს.

## ბებე

შესაძლოა, ეს არის ყველაზე გაუგებარი ტრანსფერი, რაც სერ ალექს ფერგიუსონს ოდესმე გაუკეთებია. 2010 წელს პორტუგალიელში 7,4 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. როცა **ბებეს** თამაში რეზერვისტების მწვრთნელმა **ოლე გუნარ სულშერმა** ნახა, თქვა, რომ პორტუგალიელი მისი გუნდის სათადარიგოთა შორისაც კი ვერ მოხვდებოდა. ახლა ის არენდით "ბეშიქთაშშია" და ურჩევნია, რომ "იუნაიტედში" დაბრუნებაზე არც იფიქროს. მის ადგილზე მე მშობლიურ პორტუგალიას დავუბრუნდებოდი.

## მაიკლ ოუენი

**ოუენი** ყოველთვის მომწონდა. მაშინაც კი, როცა ის "ლივერპულში" თამაშობდა. მაიკლი, ვინც ოდესღაც ევროპის ყველაზე ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელად მიიჩნეოდა, უკვე დიდი ხანია ძველი მაიკლი აღარ არის. ჩემს ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა 2 წლის წინ ის ჩვენთან გადმოვიდა. ერთი მხრივ იმიტომ, რომ სკაუზერებს "ცხვირი მოვხოცეთ", მეორე მხრივ კი მესამე ან მეოთხე ფორვარდის როლისთვის ის იდეალური კანდიდატურა იყო. თუმცა მას არაფერიც არ გამოუვიდა. მისგან გმირობას არ ვითხოვთ, მაგრამ ნამდვილად მეტი ეკუთვნის, ვიდრე 2-3 კვირაში ერთხელ 15 წუთით თამაშია.

## დიმიტარ ბერბატოვი

ჩვენი რეიტინგის ყველაზე არაერთგვაროვანი ფეხბურთელი. შეიძლება, არ დამეთანხმოთ, მაგრამ თავიდანვე აღვნიშნავ, რომ **ბერბატოვი** უმაღლესი კლასის თავდამსხმელია და გარემოებებს ხელი რომ შეეწყოთ, შეძლებდა თამაშს "იუნაიტედის" ძირითად შემადგენლობაში. მან ამ სეზონშიც კი მოახერხა იმის დემონსტრირება, რომ თავისი საუკეთესო თვისებები არ დაუკარგავს და ჰეთ თრიკი შეასრულა (26.12.2011. "იუნაიტედი"-"უიგანი" 5:0. რედ). თუმცა მას უჭირს გუნდის ძირითად თავდამსხმელებთან კონკურენცია. **რუნი, უელბეკი** და **ერნანდესი** ბრწყინვალედ გამოიყურებიან და გუნდი მე-20 საჩემპიონო ტიტულისკენ მიჰყავთ. ბერბა კი მეტისმეტად კარგია მე-4 თავდამსხმელის როლისთვის. სწორედ ამიტომ დადის ხმები, რომ მას წასვლა უნდა. იყო ლაპარაკი, რომ მისით "შალკე" იყო დაინტერესებული. ეს გუნდი კი მომდევნო სეზონში ალბათ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

TOP-4. სტატისტიკა

# ვინ მეტი: გოლი და პასი

## სეზონის საუკეთესო შემტევები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის მოწინავე საფეხბურთო პირველობები დასასრულს უახლოვდება. გთავაზობთ ინგლისური პრემიერლიგის, ესპანური ლა ლიგის, იტალიური სერია A-ს და გერმანული ბუნდესლიგის მიმდინარე სტატისტიკას. აქვე შევნიშნავთ, რომ ამ ჩემპიონატებში გუნდებმა თითქმის თანაბარი რაოდენობის მატჩები გამართეს, ყველაზე ცოტა 32 (გერმანიაში) და მეტი 35 (პრემიერლიგის ზოგიერთი გუნდი). **კრიშტიანო რონალდო** და **ლიონელ მესი** მეგოლეებში კარგა მაგრად უსწრებენ უახლოეს მდევრებს: მე-2 ადგილზე მყოფი მესი მესამეადგილოსან **რობინ ვან პერსის** 14 გოლით უსწრებს! საუკეთესო ასისტენტებში გაცილებით დაძაბული სიტუაციაა, ჯერჯერობით წინ „რეალის" გერმანელი პლეიმეიქერი **მესუთ იოზილია** 16 საგოლე პასით. გოლი პლუს პასი სისტემაში მესიმ და რონალდომ (აქ მესი ლიდერობს) 50-ქულიან ზღვარს გადააჭარბეს.

### ინგლისი

**გოლი მატჩში:** 1,10 - პაპის დემბა სისე (ნიუკასლი)

**პენალტი:** 6 - უეინ რუნი (იუნაიტედი)

**გოლი შეცვლაზე:** 5 - ვიქტორ ანიჩებე (ევერტონი)

**გამარჯვების გოლი:** 5 - რობინ ვან პერსი (არსენალი)

**დუბლი:** 6 - უეინ რუნი (იუნაიტედი)

**ჰეთ თრიკი:** 2 - რობინ ვან პერსი (არსენალი)

**ყვითელი ბარათი:** 10 - ჯეისონ ლოუ (ბლექბერნი)

**მეტი წუთი მოედანზე:** 3 150 - ალი ალ ჰაბსი (უიგანი)

**მე-12 ფეხბურთელი** (მეტი მატჩი შეცვლაზე): 17 - ი დონ-ვონი (სანდერლენდი)

### ესპანეთი

**გოლი მატჩში:** 1,24 - ლიონელ მესი (ბარსელონა)

**პენალტი:** 11 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**გოლი შეცვლაზე:** 5 - რუბენ სუარესი (ლევანტე)

**გამარჯვების გოლი:** 6 - რობერტო სოლდადო (ვალენსია)

**დუბლი:** 6 - ლიონელ მესი (ბარსელონა)

**ჰეთ თრიკი:** 7 - კრიშტიანო რონალდო (რეალი)

**ყვითელი ბარათი:** 16 - გარი მედელი (სევილია)

**მეტი წუთი მოედანზე:** 3 060 - რობერტო (სარაგოსა)

**მე-12 ფეხბურთელი:** 23 - რუბენ სუარესი (ლევანტე)

### იტალია

**გოლი მატჩში:** 0,86 - ზლატან იბრაჰიმოჩი (მილანი)

**პენალტი:** 9 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი)

**გოლი შეცვლაზე:** 4 - კევინ-პრინს ბოატენგი (მილანი)

**გამარჯვების გოლი:** 5 - მიროსლავ კლოზე (ლაციო)

**დუბლი:** 4 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი)

**ჰეთ თრიკი:** 1 - 9 ფეხბურთელი

**ყვითელი ბარათი:** 14 - დიეგო პერესი (ბოლონია)

**მეტი წუთი მოედანზე:** 3 060 - სებასტიან ფრეი (ჯენოა)

**მე-12 ფეხბურთელი:** 21 - ვიქტორ იბარბო (კალიარი)

### გერმანია

**გოლი მატჩში:** 0,83 - კლაას-იან ჰუნტელაარი (შალკე)

**პენალტი:** 7 - სეიად სალიჰოვიჩი (ჰოფენჰაიმი)

**გოლი შეცვლაზე:** 3 - ივან პერიშიჩი (დორტმუნდი)

**გამარჯვების გოლი:** 4 - მოჰამედ აბდელაუე (ჰანოვერი)

**დუბლი:** 5 - ლუკას პოდოლსკი (კიოლნი)

**ჰეთ თრიკი:** 2 - მარიო გომესი (ბაიერნი)

**ყვითელი ბარათი:** 12 - ანდრეას ბეკი (ჰოფენჰაიმი)

**მეტი წუთი მოედანზე:** 2 880 - მარკ-ანდრე ტერ შტეგენი (მიონხენგლადბახი)

**მე-12 ფეხბურთელი:** 20 - შტეფან რაიზინგერი (ფრაიბურგი)

### ევროპის ტოპ ჩემპიონატების 68 ბომბარდირი (10 და მეტი გოლი)

| გოლი | ფეხბ. | გუნდი | ქვეყანა | ლიგა |
|---|---|---|---|---|
| 42 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | პორტუგალია | ლა ლიგა |
| 41 | ლიონელ მესი | ბარსელონა | არგენტინა | ლა ლიგა |
| 27 | რობინ ვან პერსი | არსენალი | ჰოლანდია | პრემიერლიგა |
| 26 | უეინ რუნი | მან. იუნ. | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 25 | მარიო გომესი | ბაიერნი | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 25 | კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ჰოლანდია | ბუნდესლიგა |
| 24 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მილანი | შვედეთი | სერია A |
| 22 | რადამელ ფალკაო | ატლეტიკო | კოლუმბია | ლა ლიგა |
| 22 | სერხიო აგუერო | მან სიტი | არგენტინა | პრემიერლიგა |
| 21 | გონსალო იგუაინი | რეალი | არგენტინა | ლა ლიგა |
| 21 | ედინსონ კავანი | ნაპოლი | ურუგვაი | სერია A A |
| 20 | რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | პოლონეთი | ბუნდესლიგა |
| 20 | ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | იტალია | სერია A A |
| 20 | დიეგო მილიტო | ინტერი | არგენტინა | სერია A A |
| 18 | ქარიმ ბენზემა | რეალი | საფრანგეთი | ლა ლიგა |
| 17 | მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | ავსტრია | ბუნდესლიგა |
| 17 | ლუკას პოდოლსკი | კიოლნი | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 17 | როდრიგო პალასიო | ჯენოა | არგენტინა | სერია A A |
| 17 | რობერტო სოლდადო | ვალენსია | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 16 | კლაუდიო პისარო | ვერდერი | პერუ | ბუნდესლიგა |
| 16 | მარკო როისი | მიონხენგლ. | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 16 | ფერნანდო ლორენტე | ბილბაო | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 16 | იაკუბუ აიგბენი | ბლექბერნი | ნიგერია | პრემიერლიგა |
| 16 | კლინტ დემპსი | ფულჰემი | აშშ | პრემიერლიგა |
| 16 | დემბა ბა | ნიუკასლი | სენეგალი | პრემიერლიგა |
| 15 | ხერმან დიასი | ატალანტა | არგენტინა | სერია A A |
| 15 | მიჩუ | რაიო ვალ. | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 14 | რაული | შალკე | ესპანეთი | ბუნდესლიგა |
| 14 | სტევან იოვეტიჩი | ფიორენტინა | ჩერნოგორია | სერია A |
| 14 | არუნა კონე | ლევანტე | კოტ დივუარი | ლა ლიგა |
| 14 | რუბენ კასტრო | ბეტისი | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 13 | ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი | ბოსნია | ბუნდესლიგა |
| 13 | შინჯი კაგავა | დორტმუნდი | იაპონია | ბუნდესლიგა |
| 13 | ედინ ჯეკო | მან სიტი | ბოსნია | პრემიერლიგა |
| 13 | გრანტ ჰოლტი | ნორვიჩი | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 13 | მარიო ბალოტელი | მან სიტი | იტალია | პრემიერლიგა |
| 13 | ემანუელ ადებაიორი | ტოტენჰემი | ტოგო | პრემიერლიგა |
| 12 | შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 12 | მარიო მანდჟუკიჩი | ვოლფსბ. | ხორვატია | ბუნდესლიგა |
| 12 | ფრანკ რიბერი | ბაიერნი | საფრანგეთი | ბუნდესლიგა |
| 12 | სებასტიან ჯოვინკო | პარმა | იტალია | სერია A |
| 12 | მიროსლავ კლოზე | ლაციო | გერმანია | სერია A |
| 12 | ფაბრიციო მიკოლი | პალერმო | იტალია | სერია A |
| 12 | ალვარო ნეგრედო | სევილია | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 11 | მოჰამედ აბდულაუე | ჰანოვერი | ნორვეგია | ბუნდესლიგა |
| 11 | არიენ რობენი | ბაიერნი | ჰოლანდია | ბუნდესლიგა |
| 11 | ემანუელე კალაიო | სიენა | იტალია | სერია A |
| 11 | დავიდ დი მიკელე | ლეჩე | იტალია | სერია A |
| 11 | პაბლო ოსვალდო | რომა | იტალია | სერია A |
| 11 | მიკუ | ხეტაფე | ვენესუელა | ლა ლიგა |
| 11 | ალექსის სანჩესი | ბარსელონა | ჩილე | ლა ლიგა |
| 11 | კარლოს ველა | რ. სოსიედადი | მექსიკა | ლა ლიგა |
| 11 | ფრენკ ლემპარდი | ჩელსი | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 11 | პაპის დემბა სისე | ნიუკასლი | სენეგალი | პრემიერლიგა |
| 10 | მაქსიმ ჩუპო-მოტინგი | მაინცი | კამერუნი | ბუნდესლიგა |
| 10 | მატია დესტრო | სიენა | იტალია | სერია A |
| 10 | მარკო დი ვაიაო | ბოლონია | იტალია | სერია A |
| 10 | ალესანდრო მატრი | იუვენტუსი | იტალია | სერია A |
| 10 | მაურისიო პინილია | კალიარი | ჩილე | სერია A |
| 10 | მანუ დელ მორალი | სევილია | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 10 | ჩავი | ბარსელონა | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 10 | დანიელ სტარიჯი | ჩელსი | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 10 | გარეთ ბეილი | ტოტენჰემი | უელსი | პრემიერლიგა |
| 10 | დენი გრეჰი | სუონსი | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 10 | ხავიერ ერნანდესი | მან. იუნ. | მექსიკა | პრემიერლიგა |
| 10 | ჯერმეინ დეფო | ტოტენჰემი | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 10 | პეტერ ოდემვინგიე | ვესტ ბრომ. | ნიგერია | პრემიერლიგა |
| 10 | სტივენ ფლეტჩერი | ვულვზი | შოტლანდია | პრემიერლიგა |




ლიონელ მესი 56 ქულა (41 გოლი+15 პასი)




კრიშტიანო რონალდო 54 (42+12)




რობინ ვან პერსი 37 (27+10)




კლაას იან ჰუნტელაარი 33 (25+8)

### ევროპის ტოპ ჩემპიონატების 49 ასისტენტი (8 და მეტი პასი)

| პასი | ფეხბ. | გუნდი | ქვეყანა | ლიგა |
|---|---|---|---|---|
| 16 | მესუთ იოზილი | რეალი | გერმანია | ლა ლიგა |
| 15 | ლიონელ მესი | ბარსელონა | არგენტინა | ლა ლიგა |
| 15 | დავიდ სილვა | მან. სიტი | ესპანეთი | პრემიერლიგა |
| 14 | ანტონიო ვალენსია | მან. იუნ. | კოლუმბია | პრემიერლიგა |
| 14 | ფრანკ რიბერი | ბაიერნი | საფრანგეთი | ბუნდესლიგა |
| 14 | ანხელ დი მარია | რეალი | არგენტინა | ლა ლიგა |
| 13 | ფაბრიციო მიკოლი | პალერმო | იტალია | სერია A |
| 12 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | პორტუგალია | ლა ლიგა |
| 12 | ემანუელ ადებაიორი | ტოტენჰემი | ტოგო | პრემიერლიგა |
| 11 | ტომას მიულერი | ბაიერნი | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 11 | ხუან მატა | ჩელსი | ესპანეთი | პრემიერლიგა |
| 10 | ხუან არანგო | მიონხენგლ. | ვენესუელა | ბუნდესლიგა |
| 10 | მარკო როისი | მიონხენგლ. | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 10 | სებასტიან ჯოვინკო | პარმა | იტალია | სერია A |
| 10 | მირკო ვუჩინიჩი | იუვენტუსი | ჩერნოგორია | სერია A |
| 10 | დანი ალვეში | ბარსელონა | ბრაზილია | ლა ლიგა |
| 10 | სესკ ფაბრეგასი | ბარსელონა | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 10 | ნანი | მან. იუნ. | პორტუგალია | პრემიერლიგა |
| 10 | რობინ ვან პერსი | არსენალი | ჰოლანდია | პრემიერლიგა |
| 10 | თეო უოლკოტი | არსენალი | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 9 | კრისტიან ფუხსი | შალკე | ავსტრია | ბუნდესლიგა |
| 9 | ტამაშ ჰაინალი | შტუტგარტი | უნგრეთი | ბუნდესლიგა |
| 9 | რაფაელი | ჰერტა | ბრაზილია | ბუნდესლიგა |
| 9 | ანდრეა პირლო | იუვენტუსი | იტალია | სერია A |
| 9 | ქარიმ ბენზემა | რეალი | საფრანგეთი | ლა ლიგა |
| 9 | ხესუს ნავასი | სევილია | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 9 | კაკა | რეალი | ბრაზილია | ლა ლიგა |
| 9 | სერხიო აგუერო | მან. სიტი | არგენტინა | პრემიერლიგა |
| 9 | სამირ ნასრი | მან. სიტი | საფრანგეთი | პრემიერლიგა |
| 9 | სტეფან სესენიონი | სანდერლენდი | ბენინი | პრემიერლიგა |
| 9 | ალექსანდრ სონგი | არსენალი | კამერუნი | პრემიერლიგა |
| 9 | ეშლი იანგი | მან. იუნ. | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 8 | ჯეფერსონ ფარფანი | შალკე | პერუ | ბუნდესლიგა |
| 8 | მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | ავსტრია | ბუნდესლიგა |
| 8 | კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ჰოლანდია | ბუნდესლიგა |
| 8 | ფაბიენ ჯონსონი | ჰოფენჰაიმი | აშშ | ბუნდესლიგა |
| 8 | ტონი კროოსი | ბაიერნი | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 8 | რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | პოლონეთი | ბუნდესლიგა |
| 8 | კლაუდიო პისარო | ვერდერი | პერუ | ბუნდესლიგა |
| 8 | პაბლო არმერო | უდინეზე | კოლუმბია | სერია A |
| 8 | ჯონათან ბიაბიანი | პარმა | საფრანგეთი | სერია A |
| 8 | ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | იტალია | სერია A |
| 8 | მირალემ პიანიჩი | რომა | ბოსნია | სერია A |
| 8 | რობინიო | მილანი | ბრაზილია | სერია A |
| 8 | ხოსე ბარკერო | ლევანტე | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 8 | ანდრეს ინიესტა | ბარსელონა | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 8 | ჩაბი ალონსო | რეალი | ესპანეთი | ლა ლიგა |
| 8 | გარეთ ბეილი | ტოტენჰემი | უელსი | პრემიერლიგა |
| 8 | რაიან გიგზი | მან. იუნ. | უელსი | პრემიერლიგა |

### გოლი+პასი (25 და მეტი ქულა)

| ქულა | ფეხბ. | გუნდი | ქვეყანა | ლიგა |
|---|---|---|---|---|
| 56 | ლიონელ მესი | ბარსელონა | არგენტინა | ლა ლიგა |
| 54 | კრიშტიანო რონალდო | რეალი | პორტუგალია | ლა ლიგა |
| 37 | რობინ ვან პერსი | არსენალი | ჰოლანდია | პრემიერლიგა |
| 33 | კლაას-იან ჰუნტელაარი | შალკე | ჰოლანდია | ბუნდესლიგა |
| 31 | უეინ რუნი | მან. იუნ. | ინგლისი | პრემიერლიგა |
| 31 | სერხიო აგუერო | მან. სიტი | არგენტინა | პრემიერლიგა |
| 29 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | მილანი | შვედეთი | სერია A |
| 28 | რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | პოლონეთი | ბუნდესლიგა |
| 28 | ანტონიო დი ნატალე | უდინეზე | იტალია | სერია A |
| 28 | გონსალო იგუაინი | რეალი | არგენტინა | ლა ლიგა |
| 27 | მარიო გომესი | ბაიერნი | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 27 | ქარიმ ბენზემა | რეალი | საფრანგეთი | ლა ლიგა |
| 26 | მარკო როისი | მიონხენგლ. | გერმანია | ბუნდესლიგა |
| 26 | ფრანკ რიბერი | ბაიერნი | საფრანგეთი | ბუნდესლიგა |
| 25 | მარტინ ჰარნიკი | შტუტგარტი | ავსტრია | ბუნდესლიგა |
| 25 | ედინსონ კავანი | ნაპოლი | ურუგვაი | სერია A |
| 25 | ფაბრიციო მიკოლი | პალერმო | იტალია | სერია A |

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

სერია A. XXXIII ტურის შეჯამება

# კონტემ კალამი მოიმარჯვა და იუვენტუსის ისტორიას წერს

ქვემოთ, სერია A-ს XXXIII ტურის სიმბოლურ ნაკრებზე, გმირზე, ციფრებსა და ფაქტებზე გვექნება საუბარი; ამასთან, ერთ ინფორმაციას გაგაცნობთ, რომელიც კარვალიო ამაურის ტრავმას და მის მომავალს ეხება. მოკლედ, ქვემოთ ყველაფერს ნახავთ, რაც განვლილ ტურს და მის გარშემო მომხდარ ამბებს შეეხება...

## ამაურიმ სეზონი დაასრულა

"რომა"-"ფიორენტინას" შეხვედრაში, **კარვალიო ამაური** მეორე ტაიმში გამოჩნდა მინდორზე, თუმცა მალევე ტრავმა მიიღო და ისევ შესაცვლელი გახდა. როგორც სამედიცინო გამოკვ-



კარვალიო ამაურიმ სეზონი და სავარაუდოდ, ფლორენციული კარიერა დაასრულა

ლევამ ცხადყო, ბრაზილიური წარმოშობის იტალიელ ფორვარდს მინიმუმ სამი კვირა მოუწევს უქმობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სეზონი მისთვის დასრულებულია. მეტიც, სავარაუდოდ, ამ ტრავმით ამაურის ფლორენციული კარიერაც დასრულდა, რადგან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, "ფიორენტინას" მესვეურები მის გამოსყიდვას არ აპირებენ.

დიახ, კარვალიო "ვიოლაში" იჯარის წესით ასპარეზობს, მისი სატრანსფერო ღირებულება კი ტურინის "იუვენტუსს" 10 მილიონ ევროდ აქვს შეფასებული. გასაკვირი არ არის, რომ ფლორენციელები ამხელა თანხის გაღებას არ აპირებენ, რადგან ამაური უკვე ასაკშია და თანაც, "ფიორენტინასთვის" ბევრი არაფერი გაუკეთებია. "მილანის" კარში გატანილი გოლი არ დაგვვიწყებია, მაგრამ ნახევარ სეზონში ერთი შედეგიანი დარტყმა, თუნდაც სამი ქულის მომტანი, 10 მილიონი ევრო ნამდვილად არ ღირს.

**ატალანტა-კიევო 1:0**

**გოლი:** 1:0 მორალესი (72).

**კალიარი-კატანია 3:0**

**გოლები:** 1:0 რიბეირო (21), 2:0 პინილია (79), 3:0 იბარბო (90).

**ნოვარა-ლაციო 2:1**

**გოლები:** 1:0 დიაკიტე (35-საკ. კარში), 1:1 კანდრევა (37), 2:1 მასკარა (79).

**რომა-ფიორენტინა 1:2**

**გოლები:** 0:1 იოვეტიჩი (2), 1:1 ტოტი (71), 1:2 ლაძარი (90).

**გაძევება:** ოსვალდო (90. რომა).

**ლეჩე-ნაპოლი 0:2**

**გოლები:** 0:1 ჰამშიკი (5), 0:2 კავანი (51).

**პალერმო-პარმა 1:2**

**გოლები:** 1:0 ერნანდესი (6), 1:1 ოკაკა (55), 1:2 ბიაბიანი (70).

**სიენა-ბოლონია 1:1**

**გოლები:** 1:0 დესტრო (52), 1:1 დიამანტი (69).

**უდინეზე-ინტერი 1:3**

**გოლები:** 1:0 დანილო (6), 1:1 სნეიდერი (10), 1:2 სნეიდერი (28), 1:3 ალვარესი (38).

**მილანი-ჯენოა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბოატენგი (86).

**ჩეზენა-იუვენტუსი 0:1**

**გოლი:** 0:1 ბორიელო (80).

### ტურის სიმბოლური ნაკრები

**ფონტანა** (ნოვარა) – **გრანკვისტი** (ჯენოა), **ლიზუძო** (ნოვარა), **ლუსიო** (ინტერი) – **ინლერი** (ნაპოლი), **ლაძარი** (ფიორენტინა), **მორალესი** (ატალანტა), **სნეიდერი** (ინტერი) – **ჯოვინკო** (პარმა), **იბარბო** (კალიარი), **იოვეტიჩი** (ფიორენტინა).

ტურის სიმბოლურ ნაკრებში ტრადიციულად სამი ფორვარდია, რომლებზეც ორი გოლი და ამდენივე საგოლე გადაცემა მოდის. გოლები **იბარბომ** და **იოვეტიჩმა** გაიტანეს, საგოლე პასები კი **სება ჯოვინკომ** მიითვალა აქტივში. შედეგად, "კალიარიმ', "ფიორენტინამ' და "პარმამ' უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები მოიპოვეს და საჭირო ქულები ჩაიწერეს აქტივში.

ნახევარმცველთა შორის **ვესლი სნეიდერი** უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც დაუბრუნდა "ინტერის" სასტარტო შემადგენლობას და ეს დაბრუნება დუბლით აღნიშნა. "ნაპოლის" გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა **გეკჰან ინლერმა** და ისიც რჩეულთა შორისაა... შვეიცარიელის გვერდით **ლაძარის** და **მორალესს** ვხედავთ, რომლებმაც საუკეთესო თამაშები ჩაატარეს მიმდიარე სეზონში. კარში ვეტერანი კიპერი, **ფონტანა** დგას, რომელმაც "ნოვარას" მიერ "ლაციოს" ძლევაში ლომის წილი დაიდო, დაცვაში კი **გრანკვისტი, ლიზუძო** და **ლუსიო** გამოირჩნენ – ეს უკანასკნელი "უდინეზესთან" პაექრობაში შეუდარებელი იყო.

### ტურის გმირი

ტურის გმირი **ვესლი სნეიდერი** გახლავთ, რომელმაც საუკეთესო თამაში ჩაატარა მიმდინარე სეზონში და "ინტერს" "უდინეზესთან" ძალიან საჭირო გამარჯვება მოუტანა. ხუმრობა საქმე ხომ არაა, მილანური გრანდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას დაუბრუნდა, რასაც უკვე აღარავინ მოელოდა.

სნეიდერის პირველი გოლი დიდწილად **სამირ ჰანდანოვიჩის** შეცდომამ განაპირობა, აი მეორე ეპიზოდში კი ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა შესანიშნავად ითამაშა, კიპერს ბურთი თავზე გადაუგდო და საოცრად ლამაზი გოლი გაიტანა. ვესლიმ ჟურნალისტებს მოკლე კომენტარიც მისცა და ბოლოს, სიტყვა ტურის გმირს გადავცეთ: *"ვგრძნობ, რომ ფირმაში შევდივარ და ეს ძალიან მახარებს. პირადად მე, მაშინაც მჯეროდა სამეულში შესვლის, როდესაც ყველამ ერთხმად ჩამოგვწერა. მთავარია, ყველა დარჩენილი თამაში მოვიგოთ და დარწმუნებული ვარ, რომ სასურველ მიზანს მივაღწევთ".*

### ტურის ფრაზა

**ანტონიო კონტე** (იუვენტუსის მთავარი მწვრთნელი ჩეზენასთან გამარჯვების შემდეგ): *"კალამი მაგიდაზეა, შეგვიძლია დიდი ისტორია დავწეროთ".*




ანტონიო კონტე, მარკო ბორიელო და ტურინელთა ფიესტა



ვესლი სნეიდერმა სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა

### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** XVIII ტური მილანი-ინტერი, 80 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დაბალი დასწრება:** XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII კიევო-პალერმო, XIX კალიარი-ფიორენტინა, XXII ლეჩე-ბოლონია, XXIII კალიარი-პალერმო, XXV კალიარი-ლეჩე, 6 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ფიორენტინა-იუვენტუსი 0:5 (XXVIII ტური).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** ნაპოლი-კალიარი 6:3 (XXVII), ინტერი-ჯენოა 5:4 (XXX).

### სერიები

მოგება: **იუვენტუსი - 7 თამაში**

წაგება: **რომა, ჯენოა - 2**

წაუგებლად: **იუვენტუსი - 34**

მოუგებლად: **ჩეზენა - 16**

### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: 64 გოლი - მილანი; 60 - ნაპოლი; 58 – იუვენტუსი.

საუკეთესო დაცვა: 18 გაშვებული - იუვენტუსი; 27 – მილანი; 35 – უდინეზე.

უარესი თავდასხმა: 21 გოლი - ჩეზენა; 29 – ნოვარა; 30 - კიევო.

უარესი დაცვა: 63 გაშვებული - ჯენოა, 57 – ნოვარა; 53 – პალერმო.

ზუსტი გადაცემები: 18461 - იუვენტუსი; 18290 – მილანი; 17856 - რომა.

კარის მიმართულებით დარტყმები: 655 - იუვენტუსი; 534 – რომა; 533 – მილანი.

კარში დარტყმები: 231 - იუვენტუსი; 196 - მილანი; 172 - რომა.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

ბომბარდირები: 24 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 21 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 20 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), დიეგო მილიტო (ინტერი); 17 – როდრიგო პალასიო (ჯენოა); 15 - ხერმან დენისი (ატალანტა); 14 – სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა) 13 – მიროსლავ კლოზე (ლაციო); 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

ასისტენტები: 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 11 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 10 - პაბლო არმერო (უდინეზე); 8 – რობინიო (მილანი), სებასტიან ჯოვინკო (პარმა), მირკო ვუჩინიჩი (იუვენტუსი); 7 - ანტონიო კასანო (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), სერჯო პელისიერი (კიევო).

ზუსტი პასები: 2800 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 2204 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1940 – ფრანჩესკო ლოდი (კატანია); 1916 – დანიელე დე როსი (რომა); 1890 – რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა); 1763 – ლუკა ჩიგარინი (ატალანტა);

კარის მიმართულებით დარტყმები: 144 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 123 – სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 122 – ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 116 – სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 112 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 98 – ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 96 – მირკო ვუჩინიჩი (იუვენტუსი); 92 – ადრიან მუტუ (ჩეზენა).

კარში დარტყმები: 62 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 56 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 48 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 44 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 42 - სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 38 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 34 - ხერმან დენისი (ატალანტა), მარკო რიგონი (ნოვარა); 33 - ადრიან მუტუ (ჩეზენა).

ჯარიმები: 80 – მატია დესტრო (სიენა); 78 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 76 – გაბი მუდინგაი (ბოლონია), ვალონ ბერამი (ფიორენტინა); 69 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო), ფილიპო პორკარი (ნოვარა), დანიელე კონტი (კალიარი), გილიერმო ჯაკომაცი (ლეჩე), გონსალო ბერგესიო (კატანია).

### ციფრები და ფაქტები

მარკო ბორიელომ პირველი გოლი გაიტანა "იუვენტუსის" შემადგენლობაში;

■ ■ ■

"იუვენტუსს" "ჩეზენასთან" გასვლითი მატჩი 1986 წლის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული;

■ ■ ■

"იუვენტუსმა" 7 მატჩი მოიგო მიჯრით, ასეთი შედეგი გუნდს ბოლოს 2005 წელს ჰქონდა;

■ ■ ■

"უდინეზემ" ბოლო 9 თამაშიდან მხოლოდ 1 მოიგო;

■ ■ ■

"უდინეზეს" მცველმა დანილომ პირველი გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

ანდრეა სტრამაჩონის თავკაცობით, "ინტერს" ჯერ თამაში არ წაუგია;

■ ■ ■

"ჯენოას" 5 თებერვლის შემდეგ არ მოუგია;

■ ■ ■

"ჯენოას" "მილანთან" გასვლითი მატჩი 1958 წლის შემდეგ არ მოუგია;

■ ■ ■

"ფიორენტინამ" პირველად მოუგო "რომას" გასვლითი მატჩი 1992 წლის შემდეგ;

■ ■ ■

სტევან იოვეტიჩმა მე-100 მატჩი ჩაატარა "ფიორენტინას" შემადგენლობაში და 22-ე გოლი გაიტანა სერია A-ში;

■ ■ ■

"კატანიამ" ბოლო 7 შეხვედრაში მხოლოდ 1 მოიგო;

■ ■ ■

"ნოვარას" საკუთარ მოედანზე ბოლო 6 თამაშია არ წაუგია;

■ ■ ■

"ლაციომ" მიჯრით 4 გასვლითი მატჩი წააგო, ასეთი შედეგი გუნდს ბოლოს 2002 წელს ჰქონდა;

■ ■ ■

"ნაპოლის" თავდამსხმელმა ედინსონ კავანიმ მე-100 გოლი გაიტანა სერია A-ში;

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 34 | 20 | 14 | 0 | 58-18 | 74 |
| 2. მილანი | 34 | 21 | 8 | 5 | 64-27 | 71 |
| 3. ლაციო | 34 | 16 | 7 | 11 | 50-43 | 55 |
| 4. ნაპოლი | 34 | 14 | 12 | 8 | 60-41 | 54 |
| 5. უდინეზე | 34 | 14 | 10 | 10 | 45-35 | 52 |
| 6. ინტერი | 34 | 15 | 7 | 12 | 50-46 | 52 |
| 7. რომა | 34 | 15 | 5 | 14 | 53-48 | 50 |
| 8. კატანია | 34 | 11 | 13 | 10 | 44-46 | 46 |
| 9. პარმა | 34 | 11 | 11 | 12 | 46-51 | 44 |
| 10. ატალანტა | 34 | 12 | 13 | 9 | 38-36 | 43 |
| 11. კიევო | 34 | 11 | 10 | 13 | 30-41 | 43 |
| 12. სიენა | 34 | 11 | 10 | 13 | 42-36 | 43 |
| 13. ბოლონია | 34 | 10 | 12 | 12 | 35-40 | 42 |
| 14. კალიარი | 34 | 10 | 11 | 13 | 36-42 | 41 |
| 15. ფიორენტინა | 34 | 10 | 11 | 13 | 34-39 | 41 |
| 16. პალერმო | 34 | 11 | 8 | 15 | 47-53 | 41 |
| 17. ჯენოა | 34 | 9 | 9 | 16 | 44-63 | 36 |
| 18. ლეჩე | 34 | 8 | 11 | 15 | 38-51 | 35 |
| 19. ნოვარა | 34 | 6 | 10 | 18 | 29-57 | 28 |
| 20. ჩეზენა | 34 | 4 | 10 | 20 | 21-51 | 22 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

### მომდევნო ტური

28 აპრილი: პალერმო-კატანია, კალიარი-კიევო, რომა-ნაპოლი;

29 აპრილი: ბოლონია-ჯენოა, ინტერი-ჩეზენა, ატალანტა-ფიორენტინა, ნოვარა-იუვენტუსი, სიენა-მილანი, ლეჩე-პარმა, უდინეზე-ლაციო.

**ლაშა წიკლაური**

ევროპალიგა. საპასუხო ნახევარფინალები

**ვალენსია-ატლეტიკო 0:1 (2:4)**

**ვალენსია (4-4-1-1):** დიეგო ალვეში - ბარაგანი, რამი, რ. კოსტა, ალბა - ფეღული, ალბელდა, პარეხო (68. ტინო კოსტა), კანალესი (58. მატიო) - ჟონასი (57. ადურისი) - სოლდადო.

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, გოდინი, მირანდა, ფილიპე ლუიში - სუარესი (46. გაბი), ტიაგო - არდა თურანი (74. სალვიო), ადრიან ლოპესი, დიეგო (84. კოკე) - ფალკაო.

**გოლები:** 0:1 ადრიან ლოპესი (60)

**გაფრთხილება:** სოლდადო, ალბა, ადურისი - კურტუა

**გაძევება:** ტიაგო (79)

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 12-10; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 12-6 (6-4); **ბურთის ფლობა:** 64%-36%.

**მაყურებელი:** 35 000

**ბილბაო-სპორტინგი 3:1 (1:2)**

**ბილბაო (4-3-3):** ირაისოსი - ირაოლა, ხავი მარტინესი, ამორებიეტა, აურტენეჩე - ანდერი (93. ი. პერესი), იტურასპე, მუნიაინი (89. მუნიაინი) - სუსაეტა, ფ. ლორენტე, ი. გომესი (90. ტოკერო).

**სპორტინგი (4-1-2-3):** პატრისიო - პერეირა, პოლგა, ჩანდაო, ინსუა - სხაარსი - მარტინში (83. კარილიო), ფერნანდესი (46. კარიკო) - პერეირინია (63. ხეფრენი), ვან ვოლფსვინკელი, კაპელი.

**გოლები:** 1:0 სუსაეტა (16), 1:1 ვან ვოლფსვინკელი (43), 2:1 ი. გომესი (45), 3:1 ფ. ლორენტე (88)

**გაფრთხილება:** ამორებიეტა, გომესი - ვან ვოლფსვინკელი, კარიკო, ჩანდაო

**კუთხური:** 11-6; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 11-7 (10-5); **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 37 000

ფინალი

### 9 მაისი: ატლეტიკო-ბილბაო



ბილბაოს ფინალის საგზური ლორენტემ მოუტანა

## ატლეტიკური ფინალი

ერთი ესპანური ფინალი მაინც შედგა - 9 მაისს, ბუქარესტში ევროპალიგის ტიტულისთვის ამ გათამაშების პირველი გამარჯვებული „ატლეტიკო" და ბილბაოს „ატლეტიკი" იბრძოლებენ. „ვალენსიამ" „მესტალიაზეც" წააგო „ატლეტიკოსთან" და ორი მატჩის ჯამში 2:5 შედეგით გავარდა გათამაშებიდან. ახლა უკვე ცხადია, რომ **უნაი ემერის** მომავალ სეზონში „ღამურების" თავკაცად აღარ ვიხილავთ.

„სან მამესის" მატჩის გმირი კი „მეფელომი" **ფერნანდო ლორენტე** იყო - სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ბასკები ფინალში გავიდნენ. მსოფლიოს ჩემპიონმა ფორვარდმა ჯერ ორჯერ გაატანინა თავისიანებს, შემდეგ კი მატჩის დასრულებამდე 2 წუთით ადრე თავად შეაგდო - 3:1. სხვათა შორის, თავურების სპეციალისტმა ფინალის საგზური „ბილბაოს" ფეხით მოუპოვა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. რეალი-ბაიერნი 2:1 (1:2). ანალიზი

# ნოიერმა ბაიერნს ოცნება აუსრულა

## მოურინიო პრესკონფერენციამდე ბაიერნის გასახდელში იყო

ორი წელია, „ბაიერნს" გერმანიის ჩემპიონობა არ ღირსებია, მაგრამ რეკორდმაისტერი ჩემპიონთა ლიგის ფინალშია; „ჩელსიც" ზუსტად ორი წლის წინ იყო ინგლისის ჩემპიონი, ახლა კი მეხუთე ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურიც კი სანატრელი აქვს, მაგრამ „ჩელსიც" ჩემპიონთა ლიგის ფინალშია; ვინც იფიქრა, რომ ამ ორი წინადადებით ფინალისტების მიღწევის დაკნინება გვსურს, ცდება! მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ **ჟოზე მოურინიო** სიმართლესთან ახლოსაა იმ განცხადებით, რაც წაგებული ნახევარფინალის შემდეგ გააკეთა და რომელსაც ქვემოთ გაეცნობით.

„რეალისა" და „ბაიერნის" საპასუხო დუელი, მოლოდინისამებრ უაღრესად დრამატული გამოდგა – არა მარტო პენალტების სერიის გამო, არამედ მთლიანობაში და ამ დუელს, ვფიქრობთ, ღირსეული გამარჯვებული ჰყავს.

19 მაისს, ევროპის ყველაზე ელიტარული საკლუბო ტურნირის დასკვნით მატჩში „ბაიერნი" „ჩელსის" უმასპინძლებს, ფავორიტი კი მარტო იმიტომ იქნება, რომ ფინალი „ალიანს არენაზე" უნდა გაიმართოს. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ლონდონელებს დისკვალიფიკაციის გამო **რამირესი, ტერი, ივანოვიჩი** და **რაულ მეირელეში** დააკლდებათ, მიუნხენელებს კი – **ლუის გუსტავო, ალაბა** და **ბადშტუბერი**. დაგვერწმუნეთ, ეს ფაქტორი ფინალს კიდევ უფრო საინტერესოს გახდის...

### რეაქციები

**იკერ კასილიასი** (რეალი): *„პენალტების სერიაში წაგება ყველაზე მტკივნეული მარცხია – ამას ჯობდა, 0:3 წაგვეგო. „ბაიერნს", უბრალოდ, ჩვენზე მეტად გაუმართლა."*

**სამი ხედირა** (რეალი): *„ფინალთან ძალიან ახლოს ვიყავით, თერთმეტმეტრიანების სერიაში წაგება კი მხოლოდ უიღბლობის ბრალია. თამაში იდეალურად დავიწყეთ, მერე კი რატომღაც მოვეშვით. მესამე გოლი აუცილებლად უნდა გაგვეტანა."*

**ჟოზე მოურინიო** („რეალის" მწვრთნელი): *„ახლა „ბაიერნის" გასახდელიდან მოვდივარ – გავაკეთე ის, რასაც არასდროს ვაკეთებ ხოლმე: მიუნხენელებს გამარჯვება მივულოცე. არ ვაპირებ იმ ფეხბურთელების გაკრიტიკებას, რომლებმაც პენალტები გააცუდეს, რადგან მანამდე მთელი 120 წუთი ცხოველებივით დარბოდნენ და თავი არ დაუზოგავთ. ახლა ისე გამოვიდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში ინგლისის მეხუთე და გერმანიის მეორე გუნდები ითამაშებენ... ვფიქრობ, ესპანეთში ასეთი მომენტებისადმი მიდგომა რადიკალურად უნდა შეიცვალოს – ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდე სამი დღით ადრე ჩვენ „ელ კლასიკო" გადავიტანეთ. მაგალითად, იტალიაში ასეთ სიტუაციებს სხვანაირად უდგებიან – როცა „ინტერს" ამ რანგის მატჩი ჰქონდა ჩასატარებელი, იტალიის ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრას ყოველთვის პარასკევს ვატარებდით ხოლმე. ესპანეთში კი ეს არავის აინტერესებს. ესპანეთის ეფხბურთის ფედერაცია პატივს არ სცემს იმ გუნდებს, რომლებიც ევროპაში ესპანურ საკლუბო ფეხბურთს წარმოადგენენ. ესეც თქვენ – ფინალში ვერც „ბარსელონა" გავიდა და ვერც რეალი..."*

**კარლ-ჰაინც რუმენიგე** („ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი): *„ძალიან მაგარი თამაში გამოვიდა! 40 წელია, ფეხბურთში ვარ და ასეთი ემოციური და ინტენსიური მატჩი იშვიათად მინახავს. ამ გუნდით ძალიან ვამაყობ, მანუელ ნოიერი კი ძალიან მიყვარს. ჩვენ ყველას გვიყვარს მანუ – არა მარტო იმიტომ, რომ ორი პენალტი მოიგერია, არამედ, პირველ რიგში იმიტომ, რომ მართლა გენიალური მეკარეა. რამდენიმე წუთის წინ „რეალის" პრეზიდენტმა მითხრა, თქვენს კარს მსოფლიოში საუკეთესო კიპერი იცავსო. რაც შეეხება ბადშტუბერის, გუსტავოსა და ალაბას დისკვალიფიკაციებს – პირდაპირ გეტყვით, ეს ფეხებზე მკიდია! იმიტომ, რომ დღეს მთავარი ფინალში გასვლა იყო. 19 მაისს მოედანზე გავიყვანთ და გავიტანთ ყველას და ყველაფერს, რისი გატანა და გაყვანაც შეგვეძლება - იმისათვის, რომ ჩემპიონთა ლიგის თასი მიუნხენში დარჩეს."*

**იუპ ჰაინკესი** („ბაიერნის" მწვრთნელი): *„ბერნაბეუზე" წარმატების მიღწევა ურთულესია და ეს გამარჯვება „ბაიერნისთვის" დაუვიწყარი იქნება. ბიჭებს ძალიან უნდოდათ ფინალში გასვლა და ეს ბრძოლა ამიტომაც მოიგეს. ეს ისტორიული გამარჯვებაცაა, რადგან აქამდე არც ერთ კლუბს არ უთამაშია ფინალში, რომელიც მის სტადიონზე ტარდებოდა. რობენმა პენალტი იმიტომ დაარტყა, რომ ამაზე თამაშის წინ შევთანხმდით. თერთმეტმეტრიანების სერიაში მონაწილეობა კი არიენმა აღარ ისურვა. ჩვენი ბედნიერების მთავარი მიზეზი დღეს მანუელ ნოიერია! ჩემი აზრით, „რეალის" მთავარი შეცდომა დღეს ის იყო, რომ მადრიდელებმა თამაში მოგებულად ნაადრევად ჩათვალეს."*

**ული ჰიონესი** („ბაიერნის" პრეზიდენტი): *„პენალტების სერიაში მეორე თერთმეტმეტრიანი რომ გავაფუჭეთ, მეგონა, მოვკვდებოდი! და თუ მაინც გადავრჩებოდი, ფილიპ ლამის მოკვლას ვაპირებდი. როგორია, როცა ასეთი რანგის მატჩის პენალტებში 2:0-ს იგებ და მერე უცებ ორს ვერ გაიტან. მანუელ ნოიერი დღეს შეუდარებელი იყო – ჩვენ ის სწორედ ამიტომ ვიყიდეთ. ქედს ვიხრი არიენ რობენის წინაშეც, რომელმაც „დორტმუნდთან" გაცუდებული უმნიშვნელოვანესი პენალტის შემდეგ, დღეს თამაშში დანიშნული თერთმეტმეტრიანის შესრულება მაინც თავის თავზე აიღო და გაიტანა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჰოლანდიელი ვაჟკაცია! საკუთარ მოედანზე ჩასატარებელ ფინალში მონაწილეობა უდიდესი მიღწევაა და ზუსტად ვიცი, რომ ეს ფეხბურთელები ასეთ რამეს ვეღარასოდეს მოესწრებიან. ასე რომ, ფინალი უნდა მოვიგოთ."*

**არიენ რობენი** (ბაიერნი): *„ერთი წამითაც არ მიფიქრია იმაზე, რომ პენალტი სხვას დაერტყა. „დორტმუნდთან" მომხდარის შემდეგ ვალდებული ვიყავი, მე დამერტყა და ძალიან მაინტერესებს, რას იტყვის ახლა ფრანც ბეკენბაუერი."*

TOP ფეხბურთელი

### მანუელ ნოიერი (ბაიერნი)

თამაშის მეექვსე წამზე „ბაიერნის" მეკარემ ბურთს ფეხი რომ ააცილა, „რეალის" ქომაგები ხელებს გემრიელად მოიფშვნეტდნენ, მიუნხენური გრანდის ფანები კი ანერვიულდებოდნენ, მაგრამ **ნოიერის** თავდაუჯერებლობა მეექვსე წამზევე დამთავრდა. მანუ მთელი მატჩის განმავლობაში მშვიდი და კონცენტრირებული იყო, პენალტების სერიაში კი ჯერ **კრიშტიანო რონალდოს** დარტყმა მოიგერია, მერე კი **კაკასიც** და „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაიყვანა.

FLOP ფეხბურთელი

### ანხელ დი მარია (რეალი)

პირველი ხუთი წუთის განმავლობაში **დი მარია** მოწოდების სიმაღლეზე იდგა – იმიტომ, რომ „ბაიერნის" ახალგაზრდა მარცხენა მცველი **დავიდ ალაბა** ნერვიულობდა - მერე კი დაიკარგა. მის ანგარიშზე მხოლოდ არაერთი არაზუსტი პასი და წაგებული ორთაბრძოლების კასკადი იყო. სწორედ ამიტომ, 75-ე წუთზე მოურინიომ დი მარია კაკათი შეცვალა.

მსაჯი

**ვიქტორ კასაი** თავიდანვე დაიწნეხა, რადგან არაერთი რთული სიტუაციის განსჯა მოუხდა, მაგრამ უნგრელ არბიტრს სადავეები ხელიდან არ გაექცა – პენალტებიც დასანიშნი იყო. მან მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ორთაბრძოლა შეაფასა არასწორად, საერთო ჯამში კი კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

### ტაქტიკა-სტრატეგია

ჟოზე მოურინიომ მისთვის ჩვეული 4-2-3-1 აირჩია, ოღონდ, პირველი მატჩისგან განსხვავებით, დაცვის მარცხენა ფლანგზე ამჯერად **მარსელოს** ენდო, **ფაბიო კოენტრაო** კი სკამზე დატოვა, რაც ლოგიკურიც იყო, რადგან პორტუგალიელმა მიუნხენში ცუდად ითამაშა.

„ბაიერნის" თავკაც იუპ ჰაინკესს არაფერი შეუცვლია – **ბასტიან შვაინშტაიგერი** კვლავ ძირითადში გაამწესა, **თომას მიულერი** კი ისევ სკამზე დასვა.

### ანალიზი

თამაში „ბაიერნისთვის" ავისმომასწავებლად დაიწყო: მისცა თუ არა **ვიქტორ კასაიმ** სტარტის სასტვენი, მადრიდელები მიუნხენელებს ეკვეთნენ და დააბნიეს. „რეალის" პირველ შეტევებს უმეტესად **ჩაბი ალონსო** ხელმძღვანელობდა, რომელმაც დი მარიას სამი გენიალური დიაგონალური პასი გაუკეთა და ეს უკანასკნელი „ბაიერნის" მარცხენა მცველ **დავიდ ალაბას** კატა-თაგვობანას ეთამაშებოდა. შესაბამისად, თითქმის ლოგიკური გახლდათ ისიც, რომ პენალტი, რომლითად მადრიდელებმა ანგარიში გახსნეს, სწორედ ალაბას ბრალი იყო.

გაშვებულმა გოლმა რეკორდმაისტერს შეტევებისკენ უბიძგა და ბავარიელებმა **იკერ კასილიასის** კართან იდეალური საგოლე მომენტი შექმნეს, რომელიც რობენმა ვერ გამოიყენა. „ბაიერნის" გამოფხიზლებამ „რეალს" ხელ-ფეხი უფრო მეტად გაუხსნა და უკვე მე-14 წუთზე მოურინიოს შეგირდებმა მეორე გოლიც გაიტანეს: რონალდომ „ბაიერნის" დაცვის ხაზის პოზიციური შეცდომით ისარგებლა და ნოიერს შანსი არ დაუტოვა.

მე-14 წუთზე „ბერნაბეუს" ტაბლოზე უკვე 2:0 ენთო, რასაც „ბაიერნი", წესით, მარტივ მამრავლებად უნდა დაეშალა, მაგრამ ჰაინკესის გუნდის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ბავარიელები შოკიდან მალევე გამოვიდნენ. ისიც უნდა ვთქვათ, რომ „რეალმა" ბევრი რამ დათმო - პირველ რიგში კი ბურთი. მაგრამ მადრიდელებს მოედნის ცენტრი თვითნებურად არ დაუთმიათ – პრესინგს მიმართავდნენ და თუ „ბაიერნი" ამ მონაკვეთში უპირატესობას დაეუფლა, ეს **კროოსის**, შვაინშტაიგერისა და **ლუის გუსტავოს** დამსახურება გახლდათ, რომლებიც **ხედირას** და ალონსოს კარგად აკონტროლებდნენ. „ბაიერნის" თამაშში განსაკუთრებით საინტერესო ის იყო, რომ **მარიო გომესი** უკან იხევდა და მოძრავი თავდამსხმელის ფუნქციებს მშვენივრად ითავსებდა.

მიუნხენელებს შეტევების ორგანიზება მხოლოდ მაშინ უჭირდათ, როცა „რეალი" აქტიურ პრესინგს მიმართავდა, მაგრამ მოურინიოს გუნდი ამას რატომღაც იშვიათად აკეთებდა. თანაც, მადრიდელები დაცვაში უშვებდნენ შეცდომებს, რამაც „ბაიერნს" კასილიასის კართან არაერთი მომენტის შექმნის საშუალება მისცა. თამამად ვიტყვით: პირველი ტაიმი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მათ შორის, რაც ჩემპიონთა ლიგაში გვინახავს.

პირველი ნახევრის მაღალმა ტემპმა მეორე ტაიმზე იქონია გავლენა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ფეხბურთელების გადაღლის ბრალი იყო – უბრალოდ, „რეალმა" და „ბაიერნმა" გაცილებით ორგანიზებული ფეხბურთის თამაში გადაწყვიტეს. მიუნხენელებს მცირე უპირატესობა კი ჰქონდათ, მაგრამ ბურთი მეტწილად თავიანთ ნახევარზე ეჭირათ. მადრიდელები აღარ რისკავდნენ, რადგან რეკორდმაისტერს მეორე გოლიც რომ გაეტანა, „რეალს" მერე ორი დასჭირდებოდა და მეორე ტაიმი პირველთან შედარებით ამიტომაც იყო მთელ რიგ მომენტებში საკმაოდ მოსაწყენი.

დამატებული დრო „ბაიერნმა" ძალიან პასიურად დაიწყო, „რეალმა" კი ტემპს მოუმატა, მაგრამ ნოიერის კართან რეალური საგოლე მომენტები არ შექმნილა, რადგან გერმანელები დაცვაში კომპაქტურად იდგნენ და კონცენტრაცია არ დაუკარგავთ. ცხადად გამოჩნდა, რომ არც „რეალს" და არც „ბაიერნს" არ შესწევდათ იმის უნარი, რომ ნახევარფინალის ბედი პენალტების სერიის გარეშე გადაეწყვიტათ.

### დასკვნა

თერთმეტმეტრიანებში ბავარიელებს უკეთესი ნერვები აღმოაჩნდათ. შესაბამისად, „ბაიერნი" დამსახურებულად გავიდა ფინალში.

გვერდი მოამზადა
გოტფრიდ ლენცმა



მიუნხენელები ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლას ზეიმობენ




ეს ესაა, მანუელ ნოიერმა კრიშტიანო რონალდოს პენალტი მოიგერია

ფიფა

# ფიფა და ასაკობრივი ცენზი



ამიერიდან მსოფლიოს ფეხბურთს ზეპ ბლატერივით დიდხანს ველარავინ უხელმძღვანელებს

ფიფას ყოველწლიურ კონგრესზე, რომელიც 24-25 მაისსს ბუდაპეშტში გაიმართება, ორგანიზაციის თანამდებობის პირებისთვის ასაკობრივი ცენზის შემოღების საკითხებზე იმსჯელებენ და თანაც ეს ყველა რგოლს შეეხება, დაწყებული პრეზიდენტიდან. მაქსიმალური ასაკი ამიერიდან 72 წელი უნდა გახდეს. თუმცა კურიოზული ის არის, რომ მხოლოდ იმსჯელებენ, კენჭისყრა კი ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით გაიმართება. ინიციატივა უმაღლეს საფეხბურთო წრეებში კორუფციის აღმოფხვრის პროგრამის ფარგლებში შემუშავდა. სხვა აქტუალურ საკითხებს რაც შეეხება, ფიფა ეთიკის კომისიის უფლებების გაზრდას აპირებს. ის ორ ნაწილად გაიყოფა. ერთს გამოძიების ფუნქცია დაეკისრება, მეორეს – ექვმიტანილ პირებზე სანქციის დაწესების. კონგრესზე კენჭისყრაზე დადგება საკითხი აღმასკომის წევრთა 24-დან 25-მდე გაზრდის შესახებ. დამატებითი ერთი ადგილი ქალთა ფეხბურთის წარმომადგენლებს მიეცემათ. იგეგმება კიდევ ერთი რადიკალური ნაბიჯის გადადგმა. დღის წესრიგშია შეტანილი საკითხი, რომ ფიფას პრეზიდენტს ამიერიდან ზედიზედ მხოლოდ 2-ჯერ ჰქონდეს 4 წლით თანამდებობის დაკავების უფლება. ცვლილება შეეხება აღმასკომის წევრებსაც. მათ ზედიზედ მხოლოდ 3 ვადით შეეძლებათ მუშაობა. დაბოლოს, გეტყვით, რომ ბუდაპეშტში გასამართი ღონისძიების დევიზი იქნება "უარვყოფთ და ვგმობთ კორუფციის ნებისმიერ ფორმას".

**ლევან ბიბილაშვილი**

ტრანსფერები



დანტემ გლადბახიდან ბაიერნში გადასვლა გადაწყვიტა


ეროვნული ბიბლიოთეკა

ივიცა ოლიჩი კარიერას ვოლფსბურგში გააგრძელებს

# გადაწყდა: დანტე ბაიერნში, ოლიჩი ვოლფსბურგში

როგორც მოსალოდნელი იყო, მიუნხენის „ბაიერნმა" მომავალი სეზონისთვის მიონხენგლადბახის „ბორუსიას" ბრაზილიელი მცველი **დანტე** გადაიბირა. 28 წლის ფეხბურთელი, რომელიც ამ სეზონში „გლადბახის" დაცვის ბურჯი და ერთ-ერთი ლიდერია, რეკორდმაისტერთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ეს ინფორმაცია მიუნხენელებმა გუშინ ოფიციალურად დაადასტურეს.

*„ბაიერნი" მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გრანდია, რომელში თამაშზე ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს. ეს ჩემს კარიერაში მორიგი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება. მიხარია, რომ მეძლევა შანსი, უმაღლეს დონეზე ვითამაშო. უკვე 28 წლის ვარ და ჩემთვის ცხადია, რომ კარიერის ერთ-ერთ უკანასკნელ კონტრაქტს ვაფორმებ. იმედია, „გლადბახის" გულშემატკივრები არ გამინაწყენდებიან,"* - განუცხადა დანტემ „ბილდს".

მიონხენგლადბახელთა მენეჯერის, **მაქს ებერლის** თქმით, მას ბოლო წუთამდე ჰქონდა იმედი, რომ დანტე „ბაიერნში" გადასვლაზე უარს იტყოდა. „ბილდის" ცნობით, „გლადბახი" ბრაზილიელი მცველის სანაცვლოდ „ბაიერნისგან" 4.7 მილიონ ევროს მიიღებს. მართალია, დანტეს ფასი თითქმის ორჯერ მეტია, მაგრამ მის კონტრაქტში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც, 2012 წლის ზაფხულში ბრაზილიელს „ბორუსიას" დატოვება სწორედ 4.7 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეეძლო.

ებერლმა დანტე გააკრიტიკა კიდეც – იმის ნაცვლად, რომ „გლადბახთან" ერთად ისტორია დაეწერა, „ბაიერნში" მიდის, სადაც ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვერავინ მისცემსო. თავად დანტე კი ამბობს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას უდიდესი როლი ითამაშა მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატმა – ბრაზილიელს იმედი აქვს, რომ ბაიერნელობა მუნდიალზე თამაშის შანსს მისცემს.

გუშინვე, „ბაიერნის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე საბოლოოდ დადასტურდა მეორე ტრანსფერიც: 32 წლის ხორვატი თავდამსხმელი **ივიცა ოლიჩი** რეკორდმაისტერთან ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს და ზაფხულიდან კარიერას „ვოლფსბურგში" გააგრძელებს. ოლიჩი „მგლებთან" ორწლიან ხელშეკრულებას აფორმებს და უხარია, რომ იმ გუნდში ითამაშებს, რომელსაც **ფელიქს მაგათი** წვრთნის.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები



დენი უელბეკი

## მანჩესტერი და უელბეკი შეთანხმდნენ

"სპორტსმეილის" ცნობით, "მანჩესტერ იუნაიტედმა" **დენი უელბეკთან** როგორც იქნა მიაღწია შეთანხმებას და სეზონის დასრულებისთანავე 21 წლის თავდამსხმელს ახალ, ხანგრძლივ კონტრაქტს გაუფორმებს. ფეხბურთელის წლიური ხელფასი 2,5 მილიონ ფუნტამდე გაიზრდება, რაც კვირაში 50 ათასს უდრის. ეს თითქმის სამჯერ მეტია იმაზე, რასაც ფეხბურთელი აქამდე იღებდა. ამრიგად უელბეკის ხელფასი გაუტოლდება "იუნაიტედის" სხვა ახალგაზრდა ვარსკვლავების ანაზღაურებას. ლაპარაკია **ფილ ჯონსზე, ტომ კლევერლისა და კრის სმოლინგზე**. უელბეკმა სულ სეზონის განმავლობაში 38 თამაში გამართა და მასში 12 გოლის გარდა 7 შედეგიანი გადაცემითაც ისახელა თავი. წარმოიდგინეთ, რომ მიუხედავად ვარსკვლავური სტატუსისა, მან **ხავიერ ერნანდესის** სკამზე დასმაც კი შეძლო. დენიმ პრემიერლიგაში მექსიკელზე მეტჯერ დაიწყო თამაში ძირითად შემადგენლობაში.

## ახალი კონტრაქტი ფეიენოორდში

"ფეიენოორდმა" ძირითად მეკარეს, 23 წლის **ერვინ მიულდერს** ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი გაუფორმა. ძველ ხელშეკრულებას ვადა 2013 წლის ივნისში ეწურებოდა. ახლა ის 2015 წლამდე იქნება ძალაში. მიმდინარე სეზონში ფეხბურთელი უმაღლეს დონეზე თამაშობს და როგორც პრესა იუწყება, ის ერთ-ერთი იქნება იმ ფეხბურთელებს შორის, ვისაც ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ეროვნულ გუნდში უხმობენ. ამ ეტაპზე კი ფეხბურთელი **მაარტენ სტეკელენბურგის, ტიმ კრულისა და მიხელ ვორმის** კონკურენციას ვერ უძლებს.

## ალან პარდიუ ბაიერნის მხარეს

"ნიუკასლის" მთავარი მწვრთნელი **ალან პარდიუ** ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ბაიერნის" გულშემატკივარი იქნება და ამას ის ხმამაღლა აცხადებს. თანამემამულეთა მიმართ ერთი შეხედვით ამ ცოტა უცნაურ დამოკიდებულებას რაციონალური ახსნა აქვს. მოგეხსენებათ, 2012/13 წლების სეზონში ინგლისი ჩემპიონთა ლიგაში 4 გუნდს გაიყვანს. თუკი "ლურჯებმა" "ალიანს არენაზე" წარმატებას მიაღწიეს, 4-დან 1 ადგილს ისინი ავტომატურად მიიღებენ და ასეთ შემთხვევაში "ტოტენჰემი" და "ნიუკასლი", რომელიც მე-4 ადგილისთვის თავდაუზოგავად იბრძვიან, თამაშგარეში დარჩებიან. *"ჩელსის" ტრიუმფი ჩემპიონთა ლიგაში ჩვენთვის ნოკაუტი იქნება, რადგან "ტოტენჰემისა" და "არსენალის" მსგავსად ჩვენც ძალიან გვინდა ლიგის მომდევნო გათამაშებაში მონაწილეობა. თუკი მე-4 ადგილს დავიკავებთ, მაგრამ მაინც ამ ტურნირის მიღმა დავრჩებით, ჩვენთვის ეს დიდი დარტყმა იქნება,"* – განაცხადა 50 წლის სპეციალისტმა.

"ნიუკასლი" ვახსენეთ და აქვე გეტყვით, რომ "სპორტს დირექტ არენაზე" (ყოფილი "სენტ ჯეიმს პარკი") კლუბი ლეგენდარულ მთავარ მწვრთნელ სერ **ბობი რობსონს** ძეგლს დაუდგამს. ღონისძიება 6 მაისს არის დანიშნული. რობსონი "ნიუკასლს" 1999-დან 2004 წლამდე ედგა სათავეში.

## სანდერლენდის დანაკლისი

"სანდერლენდს" პრემიერლიგის დარჩენილ 3 თამაშში "ბოლტონის", "ფულჰემისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ სერიოზული დანაკლისი ექნება. "შავი კატების" 26 წლის მარჯვენა ნახევარმცველ **სებასტიან ლარსონს** საზარდულის ოპერაცია გაუკეთეს და აღდგენითი პროცესი მინიმუმ 14-16 დღეს წაიღებს. ამასობაში კი პრემიერლიგაც დამთავრდება. ფეხბურთელმა ნებართვა, რომ გეგმიური ოპერაცია გაეკეთებინა, კლუბისგან მიიღო. თუკი რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ლარსონი მოახერხებს შვედეთის ნაკრების შეკრებაზე გამგზავრებას. სებასტიანი **ერიკ ჰამრენის** გუნდის ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელად მიიჩნევა და თუკი ის ფორმაში იქნება, ევროპის ჩემპიონატზე მისი გამგზავრების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგება. *"საზარდული ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში მაწუხებდა. მადლობელი ვარ კლუბის, რომელმაც ოპერაციის ჩატარების უფლება სეზონის დასრულებამდე მომცა,"* – აცხადებს ფეხბურთელი.



სებასტიან ლარსონი

**ლევან ბიბილაშვილი**

Oxford MEDICAL

ანალური ნაპრალი — მარტივად მოგვარებული რთული პრობლემა!




**უროლოგია**
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

**გინეკოლოგია**
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა. კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

**პროქტოლოგია**
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

**კოსმეტოლოგია**
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

**დერმატოლოგია**
- კანის, თმის, ფრჩხილების დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

ანონიმურობა დაცულია!

ეს დაავადება, ანალური ნაპრალი (fissura ani) სწორი ნაწლავის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული დაავადებაა და ხშირად თანხვედრია ბუასილთან. ის არსის დასაწყისში ლორწოვანი გარსის უმნიშვნელო დეფექტს წარმოადგენს, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობისთვის საკმაოდ სერიოზული პრობლემების შექმნა შეუძლია. გამომწვევი მიზეზებად მიიჩნევა ყაბზობა, ფაღარათი, ცხარე საკვები, ალკოჰოლი. თუმცა, ზოგჯერ მისი კერის დადგენა შეუძლებელიც კი არის. მისი ძირითადი სიმპტომებია ტკივილი დეფეკაციის დროს ან მის შემდეგ. გართულებული დაავადების შემთხვევაში, ტკივილის ინტენსივობა საკმაოდ ძლიერია რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდე გრძელდება. შესაძლებელია,გაჩნდეს სისხლის ლაქებიც. თუ როგორ უნდა დააღწიოთ თავი ამ მეტად უსიამოვნო პრობლემას, ამის შესახებ ექიმი-პროქტოლოგი დავით ფრანგიშვილი საუბრობს.

– ანალური ნაპრალი - ლორწოვანი გარსის თითქოსდა უმნიშვნელო დეფექტი მიმდინარეობს აუტანელი ტკივილებით. მნიშვნელოვან დისკომფორტს ქმნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. პაციენტმა დაავადების საწყის სტადიაშივე უნდა მიმართეთ პროქტოლოგს, რადგან ექიმის გარეშე ჩატარებული მკურნალობა ხშირად უშედეგოა და ყველაზე კარგ შემთხვევაში, დაავადების ქრონიკულ სტადიაში გადასვლას იწვევს, რომელიც უკვე საჭიროებს ოპერაციულ მკურნალობას. ამიტომ დაავადების გამოვლინებისთანავე (ტკივილი, მცირე სისხლდენა) მიმართეთ პროქტოლოგს, რადგანაც მკურნალობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის საწყის სტადიაში დიაგნოსტიკას.

პ.ს. თუ დაავადების საწყის ეტაპზე დიაგნოსტიკისთვის კვალიფიციურ ექიმს მიმართავთ, ეს თქვენი ჯანმრთელობის მყარი გარანტი იქნება!

Oxford MEDICAL
229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

ძიუდო. ევროპის პირველობა



# არის ლიცენზია, არის მედალი, არის სრული გუნდი!

**საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრებმა ჩელიაბინსკში გუშინ დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში ორი ბრინჯაო მოიპოვა– კვარცხლბეკზე ამირან პაპინაშვილი (60) და ლაშა შავდათუაშვილი (66) ავიდნენ. რაც მთავარია, გუნდმა შეასრულა უმნიშვნელოვანესი ამოცანა – მეშვიდე ლიცენზია მოიპოვა, რაც შავდათუაშვილმა გააკეთა ანუ ლონდონის ოლიმპიადაზე სრულად დაკომპლექტებული ნაკრები გვეყოლება.**

## საოლიმპიადედ წელგამართულები

რუსეთში წასვლამდე შავდათუაშვილი ისედაც შედიოდა ევროპისთვის განკუთვნილ ორკაციან რეგიონულ კვოტაში, მაგრამ ეს მაჩვენებელი იქ უნდა დაეცვა. მართალია, სალიცენზიო სიაში მას ერთბაშად ორი ევროპელი უსწრებდა – ებრაელი **გოლან პოლაცკი** და ლატვიელი **დენის კოზლოვსი**, მაგრამ ისრაელის ნაკრებიდან რეგიონული კვოტით საგზურს არა პოლაცკი, არამედ **იოსებ ფალელაშვილი** (73) იღებდა, როგორც მეტი ქულის პატრონი, კვოტირებით კი ქვეყანას მხოლოდ ერთი საგზური ეძლევა. ამიტომ პოლაცკი არ შედიოდა სალიცენზიო ჩათვლაში – ის ამ უფლებას მხოლოდ მაშინ მოიპოვებდა, თუ ფალელაშვილს გადაასწრებდა, არც ძნელი ამოცანა ჩანდა – საამისოდ მინიმუმ, მესამეზე უნდა გასულიყო, თორემ სხვა მაჩვენებელი სეზონის ხუთ საუკეთესო შედეგში არ ჩაეთვლებოდა. აქედან გამომდინარე, ჩელიაბინსკში შავდათუაშვილს არც ისე ძნელი ამოცანა უნდა გადაეჭრა - როგორმე შეენარჩუნებინა ადგილი ორკაციან კვოტაში, ხოლო თუ კოზლოვსზე ერთი წრით მეტს მაინც გაივლიდა, თავი სულაც ქუდში ექნებოდა. საბოლოოდ ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდა – პოლაცკიც ადრევე დამარცხდა, კოზლოვსიც და სხვა ევროპელებიც, რომლებსაც ჩვენებურთან მეტოქეობის მინიმალური შანსი ჯერ კიდევ ჰქონდათ. შავდათუაშვილმა ამ მედლით 72 ქულაც შეიმატა, 312 გაუხდა და რეგიონულ კვოტაში სულაც პირველ ადგილზე გადავიდა – ლატვიელსაც გაუსწრო და ებრაელსაც. მას ვერც ევროპირველობის პარალელურად მიმდინარე პანამერიკის, ოკეანიისა და აზიის ჩემპიონატები დააკლებს რამეს – 22 კაცში ბოლო სამ ადგილზე არაევროპელები შედიან და იქაურებმა რომც შეაღწიონ 22-ში, იქიდან ევროპელებს ვერ გამოაგდებენ. თან ერთი ევროპელი რომც დააქვეითონ, ქართველი რეგიონულ კვოტაში მეორე ნომრად მაინც დარჩება, თუმცა ესეც უფრო თეორიული შანსია, ვიდრე – პრაქტიკული.

22 კაცში თუ ერთი ქვეყნიდან ორი ან მეტი მონაწილე ხვდება, მაშინ ოლიმპიელის დასახელება მწვრთნელის პრეროგატივაა, რადგან ამ შემთხვევაში საგზურს ფედერაცია იღებს და არა – სპორტსმენი, ოღონდ ის შემცვლელიც აუცილებლად უნდა შედიოდეს 22-ში. აი, რეგიონულ კვოტებში კი ლიცენზია სახელობითია – მას იმ კონკრეტულ სპორტსმენს აძლევენ, ვინც ქულებს დააგროვებს, რომელსაც ვერ შეცვლი. ამდენად, უკვე შეიძლება დავასახელოთ ძიუდოისტთა ოლიმპიური გუნდის სამი წევრი: შავდათუაშვილი, **ნუგზარ ტატალაშვილი** (73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **ვალერი ლიპარტელიანი** (90). დასახელებულთაგან ბოლო სამს ამ ეტაპზე კონკურენცია აღარ ემუქრება, რადგან ამ წონებში 22-ში სხვა არავინ გვყავს. ტატალაშვილი ცხრილის ბოლო ნაწილშია, მაგრამ სასწაული უნდა მოხდეს, ეს ადგილი რომ დაკარგოს. ჭრიკიშვილის საკითხი კი კითხვის ნიშნის ქვეშ მხოლოდ იმ შემთხვევაში დადგება, თუ დღეს ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ლევან ნიკლაური** სიურპრიზს შემოგვთავაზებს და 22-ში შეაღწევს. 60-ში, 100-სა და მძიმე წონაში ყველაფერი ოლიმპიადისთვის მოსამზადებელ ციკლში გაირკვევა.

## ტრაქტორის არენაზე ტრაქტორივით დაიწყეს

*ჩელიაბინსკის „ტრაქტორის“ არენაზე დილის შეხვედრები ჩვენთვის კარგად დაიწყო – ოთხივე ქართველი მეოთხედფინალში გავიდა, იქ კი მხოლოდ პაპინაშვილმა იმარჯვა და ნახევარფინალსაც უნია, დანარჩენები დამარცხდნენ და სანუგეშოში გადაერთვნენ.*

### 60 კგ

პაპინაშვილმა ქვეჯგუფში სამი წმინდა მოგება მიითვალა - სლოვენიელ **მატიას ტრბოვიჩთან**, ებრაელ **არტიომ არშანსკისა** და ჰოლანდიელ **ჟეროენ მოორენთან**. ნახევარფინალში ჩვენებური იპონით მომავალ ჩემპიონთან, რუს **ბესლან მუდრანოვთან** დამარცხდა, ვისთანაც მანამდეც ნაეგო ერთი შეხვედრა - შარშან ამსტერდამის „დიდ პრიზზე“. პაპინაშვილი რაღაც უნიათოდ, ძალზე იოლად დაჰყვა ილეთზე. აი, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი მაგრად იომა ავსტრიელ ევროპის ჩემპიონთან, მსოფლიოსა და ოლიმპიური ვერცხლის მფლობელ **ლუდვიგ პაიშერთან**, რომელიც პირწმინდად დაჩაგრა - სრულიად დამსახურებულად მიითვალა ორი ვაზარი და მორიგი წმინდა მოგება. პაპინაშვილს რამდენჯერმე მოუგია „დიდი პრიზის“ ტურნირები, უჭიდავია პარიზის „დიდი მუზარადის ფინალში“, მაგრამ ევროპული მედალი პირველად მოიპოვა.

>> მე-11 გვერდზე

მკლავჭიდი. საქართველოს ჩემპიონატი

# ევროპა ორ ასაკს ელოდება

**საქართველოს მკლავჭიდელთა ეროვნულ ჩემპიონატს ამჯერადაც „ივენთ ჰოლმა“ უმასპინძლა. შეჯიბრებაში, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ მკლავჭიდის ეროვნული ფედერაცია და სპორტის სამინისტრო, სხვადასხვა რეგიონის 200-ზე მეტი წარმომადგენელი ჩაება. გამარჯვებულები და პრიზიორები როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა მკლავით 8-8 წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ.**

შესანიშნავად იასპარეზა მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა **გენადი კვიკვინიამ** (110 კგ), რომელმაც ორი ოქროს მედალი დაისაკუთრა: როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მკლავით ფინალში **ლევან საგინაშვილი** დაამარცხა. მსოფლიოს ჩემპიონი ახლოს იყო მესამედაც ასულიყო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, მაგრამ გადამწყვეტი პაექრობა 100 კილოში მარჯვენა მკლავით გამარჯვებულ **ვასილ დაუთაშვილთან** დათმო, რომელიც თავის წონაში მსოფლიოს და ევროპის პრიზიორია.

ხობელმა **ვილენ გაბრავამ** 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში საქართველოს ჩემპიონობა ორჯერ, ევროპისა კი სამჯერ მოიპოვა. ამჯერად მან 65 კილოში იასპარეზა და აქაც შეუდარებელი იყო: მარჯვენა მკლავით **ნიკა წერეთელი** დაამარცხა, მარცხენით - **რევაზ გოგიაშვილი.**

- სპორტსმენთა მომზადების დონითა და ჩემპიონატის დაძაბული ორთაბრძოლებით კმაყოფილი ვარ, - გვითხრა საქართველოს მკლავჭიდელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ერეკლე გურჩიანმა.** - მართალია, ახალგაზრდებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს გამოცდილ სპორტსმენებს, მაგრამ კვარცხლბეკზე უმთავრესად მაინც ფავორიტები ავიდნენ. 13-20 მაისს პოლონეთის ქალაქ გდანსკში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც უფროსებთან ერთად ახალგაზრდებიც იასპარეზებენ. ორივე ასაკში საქართველოს ნაკრებთა ძირითადი ბირთვი დაკომპლექტებულია. ზოგიერთ წონაში მონაწილის გამოსავლენად რამდენიმე საკონტროლო შეხვედრის გამართვა მოგვიწევს, რის შემდეგაც საბოლოოდ დაზუსტდება ორივე გუნდის შემადგენლობა. პოლონეთში 12-13 სპორტსმენით გავემგზავრებით. ვეცდებით, შეჯიბრებიდან უწინდელივით ხელდამშვენებული დავბრუნდეთ.

**ვაჟა დანელია**

### კვარცხლბეკი

**მარჯვენა მკლავი. 60 კგ.** 1. ლაშა კახელიშვილი (თბილისი), 2. გელა არაბული (ახმეტა), 3. ნოდარ შუბითიძე (გორი). **65 კგ.** 1. ვილენ გაბრავა (ხობი), 2. ნიკა წერეთელი (თბილისი), 3. დავით ბრეგვაძე (ხობი). **70 კგ.** 1. ალექსი აბუთიძე (ქუთაისი), 2. ომარ კვარაცხელია (თბილისი), 3. ნიკა კლდიაშვილი (ქუთაისი). **75 კგ.** 1. ზაზა თაბაგარი, 2. მალხაზ ხვედელიძე, 3. კობა მამამთავრიშვილი (სამივე - თბილისი). **80 კგ.** 1. გიორგი ფალიაშვილი (თბილისი), 2. რევაზ რუხაძე (რუსთავი), 3. გიორგი ალბუთაშვილი (თბილისი). **90 კგ.** 1. პეტრე ნიქარიძე (თბილისი), 2. არჩილ თევდორაძე (ქუთაისი), 3. გიორგი დემეტრაშვილი (თბილისი). **100 კგ.** 1. ვასიკო დაუთაშვილი, 2. რაჩო გახარია (ორივე - თბილისი), 3. ლევან მონონელიძე (ქუთაისი). **110 კგ.** 1. გენადი კვიკვინია (ხობი), 2. ლევან საგინაშვილი, 3. რევაზ ლუტიძე (ორივე - თბილისი). **აბსოლუტური კატეგორია.** 1. ვასილ დაუთაშვილი (თბილისი), 2. გენადი კვიკვინია (ხობი), 3. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისი).

**მარცხენა მკლავი. 65 კგ.** 1. გელა არაბული (ახმეტა), 2. ლაშა კახელიშვილი (თბილისი), 3. ნოდარ შუბითიძე (გორი). **65 კგ.** 1. ვილენ გაბრავა (თბილისი), 2. რევაზ გოგიაშვილი (ყვარელი), 3. შალვა გაბისიანი (თბილისი). **70 კგ.** 1. ილია კვანჭიანი, 2. გიორგი ასუმბანი (ორივე - თბილისი), 3. გიორგი ობოლაშვილი (მარტყოფი). **75 კგ.** 1. ზაზა თაბაგარი (თბილისი), 2. ოთარ თავართქილაძე (ბათუმი), 3. მალხაზ ხვედელიძე (საჩხერე). **80 კგ.** 1. გიორგი ალბუთაშვილი, 2. ვახტანგ ბერიძე (ორივე - თბილისი), 3. გიორგი ხარებაშვილი (საგარეჯო). **90 კგ.** 1. ირაკლი გამთენაძე (ქუთაისი), 2. ვალერი გობეჯიშვილი, 3. გიორგი დემეტრაშვილი (ორივე - თბილისი). **100 კგ.** 1. გურამ თამურიშვილი, 2. ვასილ დაუთაშვილი, 3. რაჩო გახარია (სამივე - თბილისი). **110 კგ.** 1. გენადი კვიკვინია (ხობი), 2. ლევან საგინაშვილი, 3. რევაზ ლუტიძე (ორივე - თბილისი).



ჭიდაობა

# 9 ბერძნულ-რომაული მედალი ბაქოდან

ბაქოს ოლიმპიურ კომპლექს „სერხედჯში“ ოთხშაბათს ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი დაიწყო თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდებსა და ჭაბუკებს შორის. პირველ დღეს ჭაბუკ ბერძენ-რომაელთა შეჯიბრება გაიმართა, რომელშიც წარმატებით გამოვიდა საქართველოს ნაკრები – ჩვენებმა სამივე სინჯის სამ-სამი ჯილდო ანუ ჯამში 9 მედალი მოიპოვეს.

ჩვენი ჭაბუკები ყველაზე უკეთ 63 კილოგრამში გამოვიდნენ, სადაც ქართული ფინალი გაიმართა – **გელა ბოლქვაძემ მურთაზ ჩაბრავას** სძლია. ჩაბრავა ნაკრების ძველი წევრია და ბევრად გამოცდილიც, მაგრამ ნაკრების მწვრთნელ **ვაჟა კრავეიშვილს** ბოლქვაძისაც ძალიან ეიმედება. ეტყობა, მწვრთნელი არც ცდება.

ჩვენი ნაკრებიდან ოქროს მედლები **ნიკოლოზ კახელაშვილმა** (85) და **ბექა კანდელაკმაც** (100) მოიპოვეს. კახელაშვილი ცნობილი მწვრთნელის – **დავით დავითაიას** შვილიშვილია და ისიც ქართული ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ერთ-ერთ იმედად მიიჩნევა, რასაც ახალგაზრდა ფალავანი შედეგებითაც ამტკიცებს. მან ბაქოს ფინალში ყაზახი **ბაგდაულეტ ესლენბეტოვი** დაამარცხა, კანდელაკმა კი გადამწყვეტ შეხვედრაში აზერბაიჯანელ **ადამბეკ შიდიკოვი** დაჯაბნა.

ჩაბრავას გარდა, ვერცხლის მედლები **რამაზ ზოიძემ** (46) და **გიორგი ტოტიკაშვილმა** (58) მოიპოვეს. ფინალური შეხვედრა ორივემ მასპინძელთან და თან ერთი და იმავე გვარის წარმომადგენელთან დათმო – ჭაბუკებში მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის პრიზიორი ზოიძე, ვისაც ჯერ კიდევ ვერ გაუკეთებია არჩევანი „თავისუფალსა“ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას შორის და ორივეგან გამოდის, **რამიზ მამედოვთან** დამარცხდა, ტოტიკაშვილი – **მურად მამედოვთან**.

ბრინჯაოს მედლებს **გენადი ჩიტაძე** (42), **ლაშა ებილაშვილი** (58) და **ნიკა გავაშელი** (76) დაეუფლნენ.

გუშინ „სერხედჯში“ ახალგაზრდა ბერძენ-რომაელები იასპარეზებდნენ, დღეს კი ტურნირში თავისუფალ სტილში მოჭიდავე ჭაბუკები გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

რეგიონი. კახეთი

# ახმეტა

[illegible]

140 სპორტსმენი მონაწილეობდა ახმეტაში, ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლის დარბაზში გამართულ კახეთის რეგიონის ძიუდოისტთა სარეიტინგო ტურნირში. გამარჯვებულები და პრიზიორები უკვე საქართველოს ანალოგიურ ტურნირში გამოვლენ , რომელიც მაისში თბილისში ჩატარდება.

### კვარცხლბეკი

**60 კგ.** 1. სოლომონ თედიაშვილი (საგარეჯო), 2. თემურ მაისურაძე, 3. გიორგი მესაბლიშვილი (ორივე - ახმეტა), 3. ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი).

**66 კგ.** 1. იოსებ უძილაური (ახმეტა), 2. ზეზვა არაბული (დედოფლისწყარო), 3. კახა ცაგარელი (ყვარელი-1993), 3.დავით სიმონიშვილი (საგარეჯო).

**73 კგ.** 1. ალექსი ნანეიშვილი (ლაგოდეხი), 2. გურამ ხოხობაშვილი, 3. ლადო წითელაური, 3. ზვიად მრელაშვილი(სამივე - ახმეტა).

**81 კგ.** 1. ვახტანგ სარაჯიშვილი (ახმეტა), 2. ზაურ მამარდაშვილი (საგარეჯო), 3. ბექა კაპანაძე (ლაგოდეხი), 3. არბი გუნაშაშვილი (თელავი).

**90 კგ.** 1. ილია ოტიაშვილი, 2. ნოდარ მებალიშვილი (ახმეტა), 3. მამუკა ჯამასმიშვილი (თელავი), 3. ხვთისო მოსულიშვილი (დედოფლისწყარო).

**100 კგ.** 1. მიხეილ ნარიმანიძე (დედოფლისწყარო), 2. ბექა წყალობაშვილი (ყვარელი), 3.გიორგი ანდრიაშვილი (საგარეჯო), 3. დავით კარაკლიდისი (ახმეტა).

**+100 კგ.** 1. მირიან გონჯილაშვილი (ახმეტა), 2. ვალერი იმერლიშვილი (თელავი), 3. ილია ღვალაძე (ლაგოდეხი), 3. არჩილ ჭუაძე (ახმეტა).

# ყვარელი

ძიუდო

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზის სახალხო დღესასწაულზე-„ყველაწმინდობაზე“ მუნიციპალიტეტის თაოსნობით ტრადიციულად იმართება შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში ადგილობრივი რაიონის სოფლების სპორტსმენთა მონაწილეობით და, როგორც წესი, მუსიკის თანხლებით.

### გამარჯვებულები და პრიზიორები

**35კგ.**1.ზურაბ ტაკაცოშვილი, 2.გიორგი თათრიშვილი(ორივე - გავაზი), 3.ლაშა ფილიშვილი(ჭიკაანი).

**45 კგ.**1. გიგა გივიშვილი, 2.ლერი მოდებაძე, 3.გიორგი გიგიშვილი(სამივე - ჭიკაანი).

**55-60კგ.** 1.ომარ ქვაჭრელიშვილი(ჭიკაანი), 2.გლახო სეფიაშვილი, 3.გიორგი ბოლოლაშვილი (ორივე - გავაზი).

**60-65 კგ.** 1.გიორგი ჯინიყაშვილი, 2. .გიორგი თათრიშვილი (ორივე - ჭიკაანი), 3.ნოდარ აივაზაშვილი (ახალსოფელი).

**აბსოლუტური.**1. ჯუბო ჩიხიაშვილი(ყვარელი).

ტურნირის დასასრულების შემდეგ გათამაშდა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ომში დაღუპული გავაზელი გელა მებალიშვილის სახელობის თასი, რომელიც მოიპოვა გავაზელმა ბექა რაჯებაშვილმა (მძიმე წონა).

გელა მებალიშვილი საქართველოს ჩემპიონი იყო ქართულ ჭიდაობაში. საბრძოლო მამაცობისთვის მიენიჭა ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი. „ამ ტრადიციულ დღეობაზე, ყოველთვის თამაშდება მისი სახელობის თასი“ - გვითხრა სოფელ გავაზის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა.

ფრენბურთი

ამ დღეებში ყვარლის სპორტსკოლის დარბაზში ვაჟ ფრენბურთელთა შორის საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მეორე ტურის მატჩებს მასპინძლობდა. ასპარეზობდნენ თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის, ცაგერის, ბათუმის, ყვარლის და თბილისის გუნდები წრიული სისტემით.

ოთხივე თამაში მოიგო გათამაშების ლიდერმა თბილისის გუნდმა. სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ყვარლელები არიან.

ფინალური ეტაპი ჩატარდება თბილისში.

*მასალები მოამზადა კახეთის რეგიონში ლელოს კორესპონდენტმა*

**ლელა ხეჩოშვილმა**

Россия, Челябинск, 2012.
Чемпионат Европы по дзюдо
Арена «Трактор»

« მე-10 გვერდიდან

ამ წონაში ურიგოდ არც **ბეთქილ შუკვანი** გამოსულა – მეშვიდეზე დარჩა, თუმცა სალიცენზიო დავაში კიდევ უფრო ჩამორჩა პაპინაშვილს. შუკვანმა პირველ შეხვედრაში ვაზარ-იუკოთი რუსთა სახელით მოასპარეზე **რობერტ მშვიდობაძე** დაჯაბნა, მერე კი ესტონელი **ელნურ ალიევი** დაამარცხა. მეოთხედფინალი მან სომეხ ევროპის ვიცე-ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ **ჰოვანეს დავთიანთან** დათმო, სანუგეშო წრეში კი პირველივე შეხვედრა წააგო პაიშერთან. არადა, რომ მოეგო, დამამშვიდებლის ფინალში პაპინაშვილს დაუპირისპირდებოდა. საოლიმპიადოდ მათი კონკურენცია მოსამზადებელ ციკლში გადაწყდება, თუმცა პაპინაშვილმა კიდევ უფრო გაზარდა ისედაც სოლიდური უპირატესობა - ქულებით აქამდეც ხომ სჯობდა და ახლა შედეგითაც აჯობა. ის ოლიმპიურ რეიტინგში კვლავაც მეხუთეა. თან გასათვალისწინებელია, რომ იოლად დაჯაბნა პაიშერი, ვისთანაც შუკვანი დამარცხდა.

## 66 კგ

შავდათუაშვილმა ბედის მიერ დადებული პირველივე სერიოზული ბარიერი წარმატებით გადალახა – სომეხი ევროპის ჩემპიონი და კონტინენტური ვერცხლ-ბრინჯაოს მფლობელი **არმენ ნაზარიანი** გაფრთხილებებით დაამარცხა. უკრაინელ **სერჰიუ დრებოტს** წმინდად აჯობა, მეოთხედფინალში კი ძლიერ რუსთან, რეიტინგსიის მეორე ნომერთან და ევროპის სამგზის მედალოსან **ალიმ გადანოვთან** გაფრთხილებებით დამარცხდა. წაგების მიუხედავად, მაინც საყურადღებო შედეგია, რადგან რუსმა ილეთი ვერ გაუკეთა და გაფრთხილებებით მოახსნევინა. თავის მხრივ, ხელებჩამოყრილი არც ჩვენებური ყოფილა და მსაჯს სამჯერ რუსიც დაასჯევინა. შავდათუაშვილმა სანუგეშოში ესპანელი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **სუგოი ურიარტე** დააიპონა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი კიდევ ერთხელ გამოავლინა მებრძოლი სული ფრანგ **დავიდ ლაროსესთან** შეხვედრაში, როცა ჩამორჩენის მიუხედავად, არ გატყდა, ბოლომდე იბრძოლა და მიზანსაც მიაღწია. თავიდან ფრანგი დაწინაურდა ცოტა საეჭვო იუკოთი, რაც ქართველმა დამთავრებამდე 30 წამით ადრე გაქვითა, თუმცა მანამდეც საგრძნობ უპირატესობას ფლობდა და ფრანგს გასაქანი არ მისცა. მეტოქე არაერთხელ იმსახურებდა გაფრთხილებას, მაგრამ მსაჯმა მხოლოდ ერთხელ დასაჯა. სამაგიეროდ, დამატებით დროში შავდათუაშვილმა ეფექტური ვაზარი გაუკეთა და კონტინენტის სადებიუტო პირველობაში მედალი მოიპოვა.

**შალვა ქარდავამ** რუს **კამილ ხანმაგომედოვსა** და აზერბაიჯანელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ტარლან კარიმოვს** ვაზარებით აჯობა, მერე კი მიყოლებით წააგო ზემოხსენებულ ლაროსესა და სლოვენიელ ევროპის მედალოსან **როკ დრაკშიჩთან**.

დღეს „ტრაქტორის“ არენაზე 73-სა და 81-ის ფალავნები იჭიდავებენ. ნილისყრამ ტატალაშვილს დიდად არ გაუმართლა - პირველივე მეტოქედ 2009 წელს თბილისში ევროპის პირველობაზე გაჩემპიონებული უკრაინელი **ვოლოდიმირ სოროკა** ერგო. მას თუ მოუგებს, ესტონელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **კინტერ როტბერგსა** და იაპონური წარმოშობის ესპანელ ევროპის ჩემპიონსა და მსოფლიოს პრიზიორ **კიოში უემაცუს** შორის მოგებულს შეხვდება - ორივე ეს ფალავანი მისი კონკურენტია სალიცენზიო ჩათვლაში.

**ზებედა რეხვიაშვილი** (73) პირველად შვეიცარიელ **დავიდ პაპოს** შეერკინება, ხოლო თუ მოუგებს, ჰოლანდიელ ევროპისა და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **დექს ელმონტს** დაეჭიდება.

**ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) პირველად ბელარუს ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ალექსანდრ სტიაშენკას** ხვდება, ვისაც წლეულს ორჯერ მოუგო, თბილისსა და ავსტრიულ ობერვარტში. თუ ჩვენებური ბელარუსს გასცდება, აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ **ელხან რაჯაბლისა** და სერბ **ალექსეი ნეფედოვს** შორის გამარჯვებულთან იჭიდავებს. ჭრიკიშვილმა წლეულს თბილისში რაჯაბლისაც ბრწყინვალედ აჯობა, ჩელიაბინსკში კი მის ქვეჯგუფში ბრიტანელი ევროპისა და მსოფლიოს მედალოსანი **ეუან ბურტონიც** მოხვდა. იქნებ თამამი პროგნოზი გამოგვდის, მაგრამ მას მაინცდამაინც ძლიერი მეტოქე არც ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში ელოდება.

სამაგიეროდ, ამ წონაში საკმაოდ რთულ ჯგუფშია ევროპის პრიზიორი **ლევან ნიკლაური** - პირველ წრეში უნგრელ **ლასლო ჩოკნიაის** კი ხვდება, მაგრამ ამავე ქვეჯგუფში არიან რუსი ევროპის ექსჩემპიონი **სირაზუდინ მაგომედოვი**, სლოვენიელი ევროპის პრიზიორი **ალიაზ სედეჯი**, ფრანგი **ლოის პიეტრი** და თურქი **აჰმეტ სარი**...

**ირაკლი თავაძე**

### კვარცხლბეკი

#### ვაჟები

**60 კგ.** 1. ბესლან მუდრანოვი (რუსეთი), 2. ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი), **3. ამირან პაპინაშვილი (საქართველო)**, ჟერონ მოორენი (ჰოლანდია).

**66 კგ.** 1. ალიმ გადანოვი (რუსეთი), 2. ტომაშ კოვალსკი (პოლონეთი), **3. ლაშა შავდათუაშვილი (საქართველო)**, როკ დრაკშიჩი (სლოვენია).

#### ქალები

**48 კგ.** 1. ალინა ალეხანდრა დუმიტრუ (რუმინეთი), 2. კარლინა ვან სნიცკი (ბელგია), 3. ევა ჩერნოვიცკი (უნგრეთი), ლაეტიტია პაიეტი (საფრანგეთი).

**52 კგ.** 1. ანდრეა სტეფანია ჩიტუ (რუმინეთი), 2. ნატალია კუზიუტინა (რუსეთი), 3. მარეენ კრაენი, რომი ტარანგული (ორივე - გერმანია).

**57 კგ.** 1. ტელმა მონტეირო (პორტუგალია), 2. ლოულიეტა ბოუკუვალა (საბერძნეთი), 3. აუტომნე რავია (საფრანგეთი), მირიამ როპერი (გერმანია).

### თავისუფალი ჭიდაობა. სალიცენზიო ტურნირი

# თუშიშვილის წილი

დღეს ჩინურ ტაიუანში მოჭიდავეთა მორიგი სალიცენზიო შეჯიბრება იწყება, რომელსაც თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გახსნიან. მოგეხსენებათ, ამ ნაკრებს მხოლოდ ერთი საგზური დარჩა მოსაპოვებელი, რისთვისაც ჩინეთში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ევროპისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი **ოთარ თუშიშვილი** (66) იბრძოლებს. ის ტურნირს გერმანელ **სამეტ დულგერთან** შეხვედრით დაიწყებს, მასთან წარმატების შემთხვევაში კი (რაც, წესით არ უნდა გაუჭირდეს), სლოვაკ **იაკუბ კაცენაკსა** და კორეელ აზიის ვიცე-ჩემპიონ **დაე-სუნგ კიმს** შორის მოგებულს შეხვდება. მას მეოთხედფინალის სავარაუდო მეტოქეთა შორისაც არავინ ჰყავს ძლიერი, ნახევარფინალისტებში კი ის უნგრელი ევროპის მედალოსანი **გეორგე ვოლერია**, ვისთანაც წლეულს ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოსთვის შეხვედრა წააგო. ჩვენებურს ფინალამდე ასცდა წონის მთავარი ფავორიტი, ინდოელი მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი **სუშილ კუმარი**.

**ირაკლი თავაძე**

**საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, სოსო ლიპარტელიანს დედის ძმის**

**შალვა ქურასბედიანის**
**გარდაცვალების გამო.**

გამოსვენება: 28 აპრილს, ლენტეხის რაიონის სოფელ ნანარში.

### ძალოსნობა

# გიორგი ასანიძის ხელდასხმული ათლეტი

**წლეულს ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოს სამი ძალოსანი იასპარეზებს. რჩეულთა ტრიოში ერთ-ერთი, ალბათ, 27 წლის ჩაქველი მძიმეწონოსანი ირაკლი თურმანიძე იქნება. ალბათ, იმიტომ, რომ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვანო გრიქუროვი გუნდის საბოლოო შემადგენლობას მხოლოდ მაისის მიწურულს ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ დაასახელებს.**

ჩაქველმა სპორტსმენმა დივიდენდები ევროპის ჩემპიონატზე საგრძნობლად გაზარდა - სახელოვან ათლეტებთან პაექრობისას ორჭიდში (423 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, ატაცში (195) კი ოქრო დაიმსახურა.

- შარშან ყაზანში ევროპის ჩემპიონატზე ატაცში მეორე ადგილი დავიკავე, ორჭიდში კი მეოთხე ვიყავი, ამიტომ ანტალიაში გამგზავრებამდე ფედერაციისა და ნაკრების ხელმძღვანელებიც მძიმე წონაში მედალს გეგმავდნენ, -



ირაკლი თურმანიძე

გვითხრა ირაკლი თურმანიძემ. - ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად მზად ვიყავი საამისოდ. იმის მიუხედავად, რომ ჩემს წონაში ტიტულოვანი ძალოსნები გამოდიოდნენ, მათ შორის - პეკინის ოლიმპიადის გამარჯვებული, 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი და ევროპის ჩემპიონატების სამგზის პრიზიორი გერმანელი მატიას შტაინერი, ევროპის ჩემპიონი რუსლან ალბეგოვი, ფიცარნაგზე გასვლის წინ შიში არ მქონია. ატაცში სამივე ცდა გამოვიყენე. მე და სომეხმა ჰაიკ აკობიანმა 195-195 კილო დავძლიეთ, მაგრამ პირადი წონით მასზე ნაკლები ვიყავი და ოქროც მე მერგო.

**- მედლის მოპოვება აკვრაშიც შეგეძლო...**

- გეთანხმებით, მაგრამ საწყის წონას - 220 კილოს უყურადღებოდ მოვეპყარი, ეს წონა ვარჯიშებისას ხშირად თავისუფლად დამიძლევია. დასტურად მეორე მისვლაც გამოდგება. პირველი ცდა რომ არ გამეფუჭებინა, შესაძლოა, ორჭიდში ვერცხლიც ამელო, რადგან მეორე ადგილზე გასულ შტაინერს მხოლოდ კილოგრამით ჩამოვრჩი. ალბეგოვის გასწრება კი ამჯერად შეუძლებელი იყო, რადგან მან 238 კილო აკრა და ორჭიდში 429 კილოგრამით ჩემპიონობა მოიპოვა. ყოველივეს მიუხედავად, ანტალიის ფიცარნაგზე ატაცში ოქროსა და ორჭიდში მოპოვებულ ბრინჯაოს ურიგო არ ეთქმის. თუმცა მიღწეულით არ დავკმაყოფილდები. კარს მოგვადგა ოლიმპიური თამაშები და, თუ ნაკრების ხელმძღვანელები მენდობიან, ბრიტანეთის დედაქალაქშიც წარმატების მისაღწევად არაფერს დავიშურებ.

**- ქომაგებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება, ძალოსნობა რატომ აირჩიე?**

- შემთხვევით მოხდა. ჩემმა პირველმა მწვრთნელმა ბესო ბასილიამ რატომღაც თანატოლებში გამომარჩია და ძალოსნობის დარბაზში მიმიყვანა. რამდენიმე თვის შემდეგ ჩემს მშობლიურ ჩაქვში აჭარის შიდა ტურნირი ჩატარდა. პირველი ადგილი რომ დავიკავე, მედლითა და თასით დამაჯილდოეს. შეჯიბრებას თანაკლასელებიც ესწრებოდნენ - შემაქეს და შემაგულიანეს. მას შემდეგ უფრო მონდომებით განვაგრძე ვარჯიში. მაშინ 15 წლის ვიყავი.

**- წარმატებები კი უფრო გვიან მოვიდა.**

- 2007 წელს თბილისში ჩამოვედი და იმ დარბაზში დავიწყე მეცადინეობა, სადაც გიორგი ასანიძე ემზადებოდა მორიგი შეჯიბრებისთვის. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ყურადღება მომაქცია. რჩევა-დარიგებებს მაძლევდა. მისი ინიციატივით დამტოვეს თბილისში. 2009 წელს საქართველოს ჩემპიონი რომ გავხდი, პირველად ბატონმა გიორგიმ წამიყვანა უცხოეთში შეჯიბრებაზე - კორეაში მსოფლიოს ჩემპიონატზე. მერე 2010-2011 წლების სალიცენზიო მსოფლიოს პირველობებზეც გამოვედი და ეროვნულ ნაკრებს ჩასათვლელი ქულები მივეცი.

**- ყველა სპორტსმენს თავის კერპი ჰყავს, ჭაბუკობისას შენ ვის ჰბაძავდი?**

- შორს წასვლა არ დამჭირვებია. მაშინ მთელ მსოფლიოში სახელოვანი ძალოსნების - კახი კახიაშვილის და გიორგი ასანიძის სახელები ქუხდა. განსაკუთრებით კახიაშვილი იყო ყველასთვის სამაგალითო. აკვრაში დაძლეული 235 კილოგრამით მან ქართველებს მენტალიტეტი შეგვიცვალა; დაგვარწმუნა, რომ მონდომების შემთხვევაში შეუძლებელიც კი შესაძლებელია.

**- სპორტის გარდა, რა გიტაცებს?**

- ჩაქვში დაბადებულსა და გაზრდილს ცურვა რომ არ მიყვარდეს, სირცხვილია. ტელევიზორში ფეხბურთსაც სიამოვნებით ვუყურებ, რაგბისა და კალათბურთსაც.

**- ძალოსნებს მადიანი ჭამა გიყვართ. წონის პრობლემა ხომ არ განუხებს?**

- მძიმეწონოსნები ამ მხრივ გამორჩეულები ვართ – ოღონდ გემრიელი საჭმელი იყოს და არაფერს ვიკლებთ. პირადად მე, აჭარული ხაჭაპურით დაწყებული, ნებისმიერი საკვები მომწონს, თუმცა განსაკუთრებით ქართული კერძები მიყვარს.

**ვაჟა დანელია**

### კალათბურთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორჯერ 4 და 12

იტალიის ჩემპიონატში მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვეს **ვიქტორ სანიკიძის** „ვირტუსმა“ და **ნიკა მეტრეველის** „დინამომ“. მარკოიშვილისა და შერმადინის „კანტუმ“ დაისვენა.

ვირტუსელებმა ოვერტაიმში სტუმად „მონფერატოს“ აჯობეს - 80:77.

ვიქტორმა 40 წუთში 4 ქულა, 12 მოხსნა, 3 დაფარება და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

„დინამომ“ „ბიელა“ 104:97 დაამარცხა. მეტრეველმა 12 წუთში 4 ქულა და 1 ჩაჭრა გაიფორმა.

ბელგიის ჩემპიონატში სტუმრად „მონსთან“ 89:62 იმარჯვა **თორნიკე შენგელიას** „შარლერუამ“. ქართველმა თავდამსხმელმა 22 წუთში 6 ქულა, 7 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მოაგროვა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

### ცურვა

# ორი ვერცხლი ულიცენზიოდ

ბრესტში მოცურავეთა ბელარუსის ღია ჩემპიონატზე, რომელიც სალიცენზიო ტურნირია, ოთხი ქართველი სპორტსმენი ცდის ძალებს. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და სპონსორის თანადგომით შეჯიბრებაზე გაემგზავრნენ **ირაკლი რევიშვილი, ირაკლი ბოლქვაძე, თემურ კობახიძე** და **დავით სიხარულიძე** (ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ხომასურიძე** და მწვრთნელი **ირინა მინჟულინა**). გუშინწინ თავისუფალი ყაიდით 400 მეტრზე ცურვაში ირაკლი რევიშვილმა (4.00,40) მეორე ადგილი დაიკავა. იგი მცირედით ჩამორჩა გამარჯვებულ **სობოტჯან ამილოვს** (უზბეკეთი, 3.59,92). გუშინ რევიშვილს 200 მეტრზეც (1.52,32) ვერცხლის მედალი ერგო (აქ მას მასპინძელმა **იგორ ბოკიმ** მიასწრო ფინიშამდე - 1.52,23). მართალია, ქართველმა მოცურავემ 2009 წელს რომის მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგი (1.52,89) გააუმჯობესა, მაგრამ ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიამდე (1.51,59) 0,74 წამი არ ეყო. ამ დისტანციაზე მე-5 იყო დავით სიხარულიძე (1.54,06).

ქართველი მოცურავეები 4-8 მაისს ხარკოვში უკრაინის თასზე, ხოლო 21-27 მაისს დებრეცენში ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. ორივე შეჯიბრება სალიცენზიოა.

**ვაჟა დანელია**

### ჭადრაკი

# ხვალ დამთავრდება

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასასრულს უახლოვდება 10 და 16 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობები, რომლებიც მსოფლიო და ევროპის პირველობებისთვის სალიცენზიო შეჯიბრებებიცაა.

ათწლიან გოგონებში შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ანასტასია სიდამონიძე და თამარ ესაძე მეწინავეობენ, სანდრა კაპანაძე მათ ნახევარი ქულით ჩამორჩება. ბიჭებს სამი ლიდერი ჰყავთ: ანტონ ნადირაძე, დიმიტრი ჯიბუტი და ნიკოლოზ პეტრიაშვილი, რომლებმაც 5,5-5,5 ქულას მოუყარეს თავი.

თექვსმეტწლიან გოგონებში 6 ქულით გათამაშების ცხრილს ერთპიროვნულად უდგას სათავეში ნინო ხომერიკი. თითო ქულით ნაკლები აქვთ ქეთევან ხომერიკს, თეკლა მაჭარაშვილსა და ანა შამათავას. ვაჟებში აქაც სამხელისუფლებიანობაა: ნოე თუთისანი, გიგლა ბენიძე და ირაკლი ბერაძე 5,5-5,5 ქულით პირველობენ, თუმცა მათ ხუთ-ხუთი ქულით კვალში მისდევენ გაბრიელ ბეჭვაია, გიორგი ბოსიკაშვილი და ნიკა ლვამბერია.

მე-8 ტურში ინტერესს იწვევს შემდეგი ორთაბრძოლები: **16-წლიანებში.** ქეთევან ხომერიკი-ნინო ხომერიკი, თეკლა მაჭარაშვილი-ანა შამათავა; ნოე თუთისანი-გიგლა ბენიძე, გაბრიელ ბეჭვაია-ირაკლი ბერაძე, გიორგი ბოსიკაშვილი-ნიკა ლვამბერია. **10-წლიანებში.** თინათინ ცაგურია-ანასტასია სიდამონიძე, თამარ ესაძე-ანი მიქაძე, სანდრა კაპანაძე-მარიამ ფართლაძე; ანტონ ნადირაძე-დიმიტრი ჯიბუტი, მათე თოდაშვილი-ნიკოლოზ პეტრიაშვილი.

**ვაჟა დანელია**

ინტერვიუ ნიკა ცქიტიშვილთან

# ერთი სული მაქვს, ნაკრებს როდის შევუერთდები

## NBA-ში 2002 წელს არ უნდა წავსულიყავი

2002 წელს ნიკოლოზ ცქიტიშვილი NBA-ს დრაფტზე „დენვერ ნაგეტსმა" მეხუთე ნომრად აირჩია. ამერიკელები ასეთ გადაწყვეტილებას დაუფიქრებლად ვერ მიიღებდნენ, 18 წლის კალათბურთელში დიდ პოტენციალს ხედავდნენ. თუმცა მას მერე ათი წელი გავიდა და „სკიტას" კარიერას ერთი „მაგრამ" ბოლომდე გაჰყვა: ...მაგრამ 215 სმ სიმაღლის მოქნილმა ქართველმა შესაძლებლობები სრულად ვერც ერთ კლუბში გამოავლინა. არადა, მისი ყოფილი გუნდების ჩამოთვლისთვის ორი ხელიც არ არის საკმარისი: „კოლხა", „სლოვანი", „ბენეტონი", „დენვერი", „გოლდენ სტეიტი", „მინესოტა", „ფინიქსი", „ნიუ იორკი", „კახასოლი", „ტერამო", „ფუენლაბრადა", „პანიონიოსი", „ლაგუნ არო"...

მიმდინარე სეზონში იგი ირანული „მაჰრამის" ღირსებას იცავს (საშუალოდ 17.2 ქულა, 9.9 მოხსნა) და რჩება შთაბეჭდილება, რომ იპოვა ის, რაც აქამდე აკლდა. რა? ამ კითხვაზე თავად ნიკა გვიპასუხებს, რომელსაც თეირანში ველაპარაკეთ.


ნიკა ცქიტიშვილი და დირკ ნოვიცკი

**- გასულ კვირას დასავლეთ აზიის თასი მოიგე. თუმცა ბევრისთვის მოულოდნელად ლიბანური „ალ რიადის" დასამარცხებლად ხუთი მატჩის ჩატარება დაგჭირდათ.**

- ლიბანელებთან სერიაში 2:1 დავწინაურდით. მეოთხე შეხვედრაშიც ყველა ჩვენს გამარჯვებას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ დავმარცხდით. წაგების ორ მიზეზს დავასახელებ - მეტოქე სწრაფ კალათბურთს თამაშობს და სამქულიანებზეა ორიენტირებული. ასეთებთან მოგება ყოველთვის გვიჭირს. მეორე მიზეზი ჩემი და პაპე სოუს ავადმყოფობა იყო. მოედანზე კი არ დავრბოდით, დავდიოდით. მეხუთე, გადამწყვეტი მატჩის წინ ჩვენც ოდნავ მოვმჯობინდით და სავსე ტრიბუნების წინაშე დამსახურებულად გავიმარჯვეთ. საინტერესოა, რომ „მაჰრამის" დარბაზი 2 ათას გულშემატკივარს იტევს. ფინალს კი 5 ათასი კაცი ესწრებოდა, ხოლო 3500 გარეთ გველოდა. ირანში კალათბურთი ძალიან უყვართ.

**- ავადმყოფიბის მიზეზი რა იყო?**

- ვირუსი შემხვდა და ჩემ გვერდით მცხოვრებ პაპეს გადაედო. მაღალი სიცხეები გვქონდა. რომ არ გვეთამაშა, არ შეიძლებოდა. ამიტომ, მოლონიერების მიზნით მატჩის წინადღეს საავადმყოფოში გადასხმები ჩაგვიტარეს.

**- ტურნირის დასრულების შემდეგ ინდივიდუალური ჯილდო ხომ არ მიგილია?**

- სიმბოლურ ნაკრებში მოვხვდი. ჩემთან ერთად ხუთეულში ორი მაჰრამელი შეიყვანეს - კამრანი და სამადი. ისინი ირანის ნაკრების კალათბურთელები არიან. ამ ქვეყნის გუნდი კი აზიაში ერთ-ერთი საუკეთესოა.

**- სპარსეთის ჩემპიონატშიც პირველობისკენ მიიწევთ.**

- მეოთხედფინალური ეტაპი იოლად დავძლიეთ, ნახევარფინალში კი „აზადთან" 2:0 დავწინაურდით. სერია სამ მოგებამდეა. ფინალში „პეტროჩიმისა" და „მაჰანს" შორის გამარჯვებულს დავუპირისპირდებით. მგონია, მაჰანელები შეგვხვდებიან.

**- თუმცა „პეტროჩიმის" მაღალი დონის ლეგიონერები ჰყავს...**

- მართალია. გუნდში ფორტე და აკინდელე ირიცხებიან. მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი კალათბურთელები არიან. ფორტე ვლადიმერ ბოისასთან ერთად იტალიურ „მონტეპასკიში" ირჯებოდა. თუმცა მხოლოდ გვარები თამაშს ვერ მოიგებენ, „პეტროჩიმიში" სეზონის მსვლელობისას ბევრი ცვლილება განხორციელდა, რაც გუნდის შეთამაშებაზე დადებითად ვერ აისახებოდა.

### როგორც საქართველოში

**- ირანის ჩემპიონატს როგორ დაახასიათებ?**

- ლეგიონერების მკაცრი ლიმიტია. თითო გუნდს ორი უცხოელის დამატების უფლება აქვს. ამის მიუხედავად ირანის ლიგა დასავლეთ აზიაში საუკეთესოა. ნიჭიერი ადგილობრივი კალათბურთელები ჰყავთ, მაგრამ საქართველოს მსგავსად მათი სათანადოდ განვითარება ვერ ხერხდება. მაგალითად, ჩემი გუნდი ირანული კალათბურთის ფლაგმანია, მაგრამ მწვრთნელები საერთოდ არ უთმობენ დროს ახალგაზრდების გამოწვრთნას. ამბობენ, კალათბურთელი თამაშში უნდა გაიზარდოსო. ვარჯიშის შემდეგ, როცა მცალია, ჩემს უმცროს თანაგუნდელებს საკუთარ გამოცდილებას ვუზიარებ.

**- საქართველოს ხსენება შესაძლოა ზოგს გულზე მოხვდეს.**

- სიმართლე არ უნდა დაიმალოს. ბოლო დროს სიტუაცია ნელ-ნელა სწორდება, მანამდე კი ქართველი ახალგაზრდა სრულფასოვან კალათბურთელად 20 წლამდე ვერ ყალიბდებოდა. ამას შესაძლოა ობიექტური მიზეზებიც ჰქონდეს, მაგალითად პირობების არქონა, მაგრამ ფაქტს ვერსად გავექცევით. ისევე როგორც ირანში, საქართველოშიც სხვა ვითარება იქნებოდა, მეტი უცხოელი მწვრთნელი რომ ჩამოდიოდეს, ხშირად ტარდებოდეს კემპები, მწვრთნელ-მოთამაშეები ევროპულ გამოცდილებას ეზიარებოდნენ. ჩამოყალიბებულ საკალათბურთო ქვეყნებში, მაგალითად სერბეთში ყველაზე სერიოზულად 10-დან 16 წლამდე ასაკის კალათბურთელებს ეკიდებიან. სწორი ვარჯიშით ისინი 17-18 წლისანი უკვე სრულფასოვან კალათბურთელებად ყალიბდებიან.

**- ირანში ცხოვრებას როგორ შეეგუე?**

- ვიდრე აქ ჩამოხვალ, გგონია, რომ ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ ყვლაფერი საპირისპიროდაა. ბარსელონას და მადრიდს ვერ შევადარებ, მაგრამ სადაც ვყოფილვარ, თეირანი ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია. აქ ყველაფერია. ხალხიც ძალიან მომწონს, ცუდ სიტყვას ვერ გაიგებ, ზრდილობიანები არიან.

**- რჩება შთაბეჭდილება, რომ ირანში კარიერას მომავალ სეზონშიც სიამოვნებით გააგრძელებდი...**

- მეც ამას ვფიქრობ. 40 წლამდე თამაში რომ შემეძლოს, ირანში დავრჩებოდი. დავიწყოთ იქიდან, რომ აქ ხელფასი წუთითაც არ დაუგვიანებიათ. ევროპაში კი ახლაც არის ორი კლუბი, რომლებსაც ჩემი დავალიანება აქვს. მათ შორის ესპანეთში. გარდა პირობებისა, აქ მწვრთნელი ბოლომდე მენდობა, შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას მაძლევს და რაც მთავარია - თამაში სიამოვნებას მანიჭებს. კარიერაში პირველად მიწევს საკუთარი ზურგით ამა თუ იმ ტიტულის მოგება. აქამდე მხოლოდ იტალიურ „ბენეტონთან" ერთად მივაღწიე ჩემპიონობას. მაშინაც ძალიან ცოტას ვთამაშობდი. NBA-შიც ნაადრევად მომიწია წასვლამ (ამ თემას ამავე გვერდზე ვრცლად შევეხებით)...

### ნაკრები

**- კლუბში კარგი გამოსვლა ყოველთვის აისახება ამა თუ იმ კალათბურთელის სანაკრებო შედეგებზე...**

- შარშან, ევროპის ჩემპიონატზეც კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ ისეთში არა, როგორშიც ახლა ვარ. „მაჰრამში" ფიზიკურად ძალიან ბევრს ვვარჯიშობთ. გარდა ამისა, მაქვს საკმარისი სათამაშო პრაქტიკა, დავაგროვე გამოცდილება და მგონია, რომ სანაკრებო მატჩებისას წლეულს უკეთეს ფორმაში ვიქნები. ერთი სული მაქვს, ეროვნულ გუნდს როდის შევუერთდები.

**- 2013 წლის ევროპის ჩემპიონატი სლოვენიაში იმართება, სადაც ევროპული კარიერა დაიწყე.**

- ეს ქვეყანა ძალიან მიყვარს, მენატრება. ლიუბლიანა მშვენიერი ქალაქია. იქ კიდევ ერთხელ მოხვედრის შანსი ჩემთვის დამატებითი სტიმული იქნება. სხვათა შორის, სლოვენიელებსაც ძალიან უყვართ ქართველები. ეს 2000-იანი წლების დასაწყისშიც იგრძნობოდა, როცა „სლოვანში" მე, კეიდია, უგრეხელიძე და ტულუში ვთამაშობდით.

**- ექვსი ქვეჯგუფიდან ფინალურ ეტაპზე პირველ-მეორეადგილოსნები და საუკეთესო ოთხი მესამეადგილოსანი გავა...**

### დაკარგულივით...

მართალია, ირანის ჩემპიონატი ესპანეთისას ვერ შეედრება, მაგრამ როგორც თავად ნიკა ამბობს, სწორედ სპარსეთში იპოვა ის, რასაც აქამდე ეძებდა - სათამაშო პრაქტიკა და თვითრწმენა.

- აქ 30-35 წუთს ვთამაშობ. სწორედ ეს მჭირდებოდა, რომ თავდაჯერება შემმატებოდა. როცა კალათბურთელი 10-15 წუთს თამაშობს, საკუთარ შესაძლებლობებს სრულად ვერ გამოავლენს. ეს ფსიქოლოგიაზეც ვერ იმოქმედებს დადებითად. ამას წინათ დავინტერესდი და კარიერის ყველა მატჩს გადავხედე. აღმოჩნდა, რომ სადაც 25-ზე მეტი წუთი მაქვს მოედანზე გატარებული, ყოველთვის კარგად ვითამაშე.

ყველაფერი 2002 წლიდან დაიწყო...

- ორი-სამი წელი კიდევ ევროპაში რომ დავრჩენილიყავი, მეტი სათამაშო პრაქტიკა მქონოდა და ამერიკაში მერე წავსულიყავი, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. NBA-დან დაწყებული, თავდაჯერება ვერ მოვიპოვე. ახალგაზრდულ ასაკში თავიდანვე დიდი პასუხისმგებლობა დამეკისრა. ბევრს ითხოვდნენ, ჯერ ნოვიცკის მადარებდნენ, შემდეგ - გასოლს. მე კი შესაძლებლობების გამოსავლენად მეტი ყურადღება მჭირდებოდა, დაკარგულივით ვიყავი. კლუბის ხელმძღვანელი რომ ვყოფილიყავი, ახალბედას ცალკე მწვრთნელს დავუქირავებდი, ინდივიდუალურად მოვამზადებდი. სამწუხაროდ, ყველაფერს გვიან მივხვდი, ამერიკაში საკუთარ თავს შენ უნდა მიხედო...

- სლოვენიაში მოხვედრის რეალური შანსი გვაქვს. ჰოლანდიაზე, ლატვიასა და რუმინეთზე მაღლა ვდგავართ. ვფიქრობ, გასულ ევრობასკეტზე მიღებული გამოცდილების შემდეგ კიდევ უფრო შთამბეჭდავად ვითამაშებთ. ბოსნია კარგი ნაკრებია, მაგრამ მათზე წინ წასვლაც შეგვიძლია. ვიცნობ მათ ლიდერ ტელეტოვიჩს, რომელიც მაღალი დონის მოთამაშეა. ჰოლანდიის ნაკრებში კი ორთან ძალიან ახლოს ვარ - გაძურიჩთან და ელსონთან. ამ უკანასკნელთან ერთად „დენვერში" არაერთი სეზონი გავატარე. როცა სიტყვა „გამოცდილებას" ვახსენებ, იმასაც ვგულისხმობ, რომ უკვე ვისწავლეთ: ნებისმიერ მეტოქეს ისე უნდა მიუდგე, როგორც ფავორიტს. გარკვეული მიზნის მიღწევისთვის, ყველა მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება და სტაბილურობაა საჭირო.

**- ნაკრებში მუშაობას აგრძელებს იგორ კოკოშკოვი.**

- მუშაობის პროცესში შეიძლება იყოს გარკვეული პრეტენზია, მაგრამ იგორ კოკოშკოვის შრომა ზოგადად რომ შევაფასოთ, მისდამი არ შეიძლება ვინმეს სერიოზული პრეტენზია ჰქონდეს. საქართველოს ნაკრებს ხომ საუკეთესო შედეგი სწორედ მის ხელში აქვს. მზარდი სპეციალისტია.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**





ევრობასკეტი 2012.
საქართველოს-სლოვენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუკთა A ლიგა



# ლიდერობენ ჯიქები, ხარები, ლელო და აკადემია

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგის გათამაშებაში მეორე ტურის შეხვედრები გაიმართა. მიუხედავად ამისა, უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ორივე A და B ჯგუფებში ლიდერები გამოიკვეთნენ.**

A ჯგუფში დაუმარცხებელი ორია, თბილისური გუნდები „ჯიქები" და „ლელო". მათ, სავარაუდოდ, კონკურენციას „ქუთაისი 1" და თბილისის „ივერია" გაუწევენ. „ჯიქებმა" პირველი მარცხი სწორედ ქუთაისურ გუნდს აწვნია. თბილისელმა მორაგბეებმა შინ დაძაბულ ბრძოლაში, მეტოქეს მხოლოდ სამი ქულით აჯობეს - 22:19.

„ლელოს" კი ბევრად სუსტი მეტოქე ჰყავდა, რაზეც მატჩის შედეგიც ნათლად მეტყველებს. ლელოელებმა თბილისის "წიქარას" დიდი ანგარიშით 58:0 მოუგეს.

პირველი მარცხი იგემა „ივერიამაც", რომელიც სტუმრად ვერას გახდა ქუთაისის მეორე გუნდთან - 5:9. თბილისის „ლოკომოტივმა" კი ლიგის დებიუტანტ „ჯვარსონებს" სძლია - 30:7. რკინიგზელებისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო მიმდინარე სეზონში.

მომდევნო, მესამე ტურში ცენტრალური მატჩი ქუთაისში გაიმართება, სადაც „ქუთაისი 1" თბილისის „ლელოს" უმასპინძლებს. ლიდერთა ამ დაპირისპირებაში, შესაძლოა, რეალური ფავორიტი გამოვლინდეს.

თბილისის „ლოკომოტივი" შინ მიიღებს ქუთაისის მეორე გუნდს. ეს თამაში გვიჩვენებს, შესწევთ თუ არა ძალა რკინიგზელებს პლეი ოფში გასვლისთვის იბრძოლონ.

### A ჯგუფი

ჯიქები-ქუთაისი 1 22:19, ჯვარონსნები-ლოკომოტივი 7:30, წიქარა-ლელო 0:58, ქუთაისი 2-ივერია 9:5.

### სატურნირო მდგომარეობა

1. ლელო - 9 ქულა, 2. ჯიქები - 9, 3. ქუთაისი 1 - 6, 4. ივერია - 5, 5. ლოკომოტივი - 5, 6. ქუთაისი 2 - 4, 7. ჯვარონსნები - 0, 8. წიქარა - 0.

### III ტური

ჯვარონსნები-ჯიქები, ივერია-წიქარა, ქუთაისი 1-ლელო, ლოკომოტივი-ქუთაისი 2

ჯერჯერობით ორი გუნდია დაუმარცხებელი B ჯგუფშიც. ესენია თბილისის „აკადემია" და რუსთავის „ხარები". მესამე ტურში, შეიძლება ითქვას, რომ პირველი წრის უმთავრესი შეხვედრა გაიმართა. ერთმანეთს ფავორიტები „აკადემია" და „არმია" დაუპირისპირდნენ.

როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში დაძაბული, უშელავათო გამოდგა. მიუხედავად დიდი ფსიქოლოგიური წნეხისა, გუნდებმა კარგი ხარისხის რაგბი ითამაშეს. გამარჯვება კი იმ დღეს უფრო ძლიერ „აკადემიას" დარჩა - 20:15.

არმიელებმა ერთი პრემიალური ქულა მიითვალეს და რევანშის აღებას მეორე წრეში ეცდებიან. „აკადემია" კი ცხრა ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა.

ამდენივე ქულა აქვს და მეორე ადგილზეა რუსთავის „ხარები", რომელმაც მეორე ტურში სტუმრად დაამარცხა თბილისის „ხულიგანა" - 33:17.

პირველი გამარჯვება მოიპოვა ოზურგეთის „არწივებმა", რომელმაც შინ შანსი არ დაუტოვა ჭიათურის „იმერეთს" - 30:7. კიდევ ერთი მატჩი „ტორნადოსა" და „ყოჩებს" შორის ფრედ 12:12 დასრულდა.

მომდევნო, მესამე ტურში გასამართი შეხვედრების შედეგები, შეიძლება ითქვას, რომ ადვილად პროგნოზირებადია. ლიდერთა ოთხეული, სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში მყოფ გუნდებს ეთამაშება.

„არმია" სტუმრად შეხვდება ოზურგეთის „არწივებს". მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთელები შინ განსაკუთრებული შემართებით იბრძვიან, ვფიქრობთ, არმიელებს ბევრ პრობლემას ვერ შეუქმნიან.

„აკადემიას" მეტოქე კი თბილისური გუნდი, „ყოჩები" იქნება, რომელიც ბოლო ორი წელიწადია კრიზისს განიცდის. ამ კლუბის როგორც ვაჟთა, ისე ჭაბუკთა გუნდები ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის იბრძოდნენ. სამწუხაროდ, ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რისი დასტურიც სტარტზე განცდილი ზედიზედ ორი მარცხია.

მეორეადგილოსანი რუსთავის „ხარები" შინ მიიღებენ თბილისის „ტორნადოს", რომელმაც ორი მატჩიდან ერთი წააგო და ერთიც ფრედ ითამაშა. ტორნადოელებს სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის უნარი შესწევთ, თუმცა, ყოველივე თამაშისას გამოჩნდება.

### B ჯგუფი

არმია-აკადემია 15:20, ხულიგანა-ხარები 17:33, ტორნადო-ყოჩები 12:12, არწივები-იმერთი 30:7.

### სატურნირო მდგომარეობა

1. აკადემია - 9 ქულა, 2. ხარები - 9, 3. არმია - 6, 4. ხულიგანა - 5, 5. არწივები - 5, 6. ყოჩები - 2, 7. ტორნადო - 2, 8. იმერეთი - 0.

### III ტური

ხარები-ტორნადო, არწივები-არმია, იმერეთი-ხულიგანა, აკადემია-ყოჩები.

ამბები

# უეინ სმიტი ათ დღეს ითხოვს

**ახალი ზელანდიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი უეინ სმიტი საბოლოო გადაწყვეტილებას, დათანხმდეს თუ არა ინგლისის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის ასისტენტობას, ათ დღეში მიიღებს.**

ინგლისელთა თავკაცმა **სტიუარტ ლანკასტერმა** სმითს დროულად პასუხის გაცემა მოსთხოვა, რადგან ამ პოზიციაზე მომუშავე მწვრთნელმა **ენდი ფარელმა** არჩევანი კლუბის სასარგებლოდ გააკეთა. წესით, ივნისის ტესტებზე ლანკასტერს „ლონდონ აირიშის" მწვრთნელი **მაიკ ქეთი** უნდა დახმარებოდა. თუმცა „პომებიოს" თავკაცმა გადაწყიტა, სმიტს მომავალ უქმეებზე შეხვდეს და ყოველივე დეტალურად განიხილოს.

შეგახსენებთ, რომ სმიტს ამჟამად ახალზელანდიურ „ვაიკატოსთან" აკავშირებს ორწლიანი კონტრაქტი. თუმცა ხელშეკრულების მიხედვით, მას გუნდის დატოვება ზე რაგბის წლევანდელი სეზონის დასრულებისთანავე შეუძლია.

*„რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი მოსაზრება მაქვს, რომლებზეც უახლოესი ათი დღის განმავლობაში უნდა ვიფიქრო. ძალიან მომწონს მთავრი მწვრთნელის პოსტზე მუშაობა. ამ პოზიციაზე თავს მუდამ კომფორტულად ვგრძნობ, მაგრამ ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ინგლისის ნაკრების თავკაცობას არავინ შემომთავაზებს. ასეც უნდა იყოს. ვერ წარმომიდგენია „ოლ ბლექსი", რომელსაც უცხოელი მწვრთნელი ხელმძღვანელობს. აბსოლუტურად ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ინგლისის ნაკრებს ინგლისელი უნდა ხელმძღვანელობდეს.*

*ამასთან ერთად, არსებობს მეორე პრობლემაც. ბოლო წლები ახალი ზელანდიის რაგბის შევალიე. არ ვიცი, თავს როგორ ვიგრძნობ იმ დროს, როცა „ოლ ბლექსის" დასამარცხებლად სხვა ქვეყნის გუნდის მომზადება მომიწევს.*

*ინგლისის ნაკრები ხომ ჩვეულებრივი გუნდი არ არის. „პომების" მიზანი მსოფლიოს თასის მოპოვებაა და საამისოდ მათ, შესაძლოა, ახალი ზელანდიის ნაკრების დამარცხებაც დასჭირდეს. ამიტომ უნდა საკუთარ თავში გავერკვე, მინდა თუ არა ამაში ჩემი წვლილი შევიტანო"* - თქვა უეინ სმიტმა.

# რიჩი მაქოა დაბრუნდა

**ახალი ზელანდიის ნაკრების ლიდერი და კაპიტანი, მესამეხაზელი რიჩი მაქოა მწვანე მინდორს დაუბრუნდა. ის ზე რაგბის გათამაშების მორიგი ტურის მატჩში ქრასთჩერჩის „კრუსეიდერზის" სათადარიგოთა შორის იქნება. „ჯვაროსნები" სტუმრად, სიდნეიში დაუპირისპირდებიან „ვორათაზს".**


რიჩი მაქოა

მაქოამ ბოლოს შარშან ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალში იასპარეზა. აღსანიშნავია, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში იგი დაშავებული ფეხით თამაშობდა და ტკივილს გმირულად იტანდა. მას შემდეგ მაქოა მკურნალობის კურსს გადიოდა და ახლა უკვე დასაბრუნებლად მზად არის.

*„როცა გარკვეული დროის განმავლობაში უქმად ზიხარ და რაგბობას გვერდიდან უყურებ, ხვდები, რატომ გიყვარს ეს თამაში. ძალ-ღონე არ დამიშურებია, რათა ტრავმა დროულად მომერჩინა. იანვრის მერე ინდივიდუალურად ვვარჯიშობ და, ვფიქრობ, საბრძოლველად მზად ვარ"* - თქვა რიჩი მაქოამ.

„კრუსეიდერზმა" წლევანდელი სეზონი **დენ კარტერისა** და **რიჩი მაქოას** არყოფნაში წარუმატებლად დაიწყო. ქრაისთჩერჩელებმა სამი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. მერე კარტერი დაბრუნდა და შუამარბის პოზიცია დაიკავა. გუნდმაც თამაში საგრძნობლად გამოასწორა. დენი ამჯერადაც „ვორათაზთან" მატჩში შუამარბი იქნება.

**კრუსეიდერზი: 15. იზრაელ დაგი, 14. ადამ ვაითლოქი, 13. რობი ფრანი, 12. დენ კარტერი, 11. ზაკ გილფორდი, 10, ტომ ტეილერი, ს9. ენდი ელისი. 1. ბენ ფრენქსი, 2. კორი ფლინი, 3. ოუენ ფრენქსი, 4. ტომ დონელი, 5. ლუკ რომანო, 6. 6. ჯორჯ ვაითლოქი, 7. მეთ ტოდდი, 8. კირან რიდი.**

**16. ბენ ფანელი, 17. უაიტ კროკეტი, 18. სამუელ ვაითლოქი, 19. რიჩი მაქოა, 20. ვილი ჰეინცე, 21. რაიან კროტი, 22. ტომ მარშალი.**

# მარტინ ვილიამსი მეასე კეპს იმსახურებს

უელსის ნაკრების ყოფილი გარემარბი, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე **შეინ ვილიამსი** ყველაფერს აკეთებს, რათა მისმა მოგვარემ, **მარტინ ვილიამსმა** ეროვნულ ნაკრებში მე-100 კეპი მოიხვეჭოს.

შეინ ვილიამსი ივნისის დასაწყისში, კარდიფში, „მილენიუმზე" „ბარბარისების" შემადგენლობაში თავისი ქვეყნის ნაკრებს დაუპირისპირდება. მას მიაჩნია, რომ მარტინი იმსახურებს ითამაშოს უელსის ნაკრებში და „ასიანთა კლუბს" შეუერთდეს, რომელშიც უკვე არიან **სტივენ ჯოუნზი** და **გარეთ ტომასი.**

ეს კი უელსის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტის **რობ ჰოულის** გადასაწყვეტია, ვინაიდან „წითელი ურჩხულების" თავკაცი **უორენ გეთლენდი** ახალ ზელანდიაში შვებულებისას ავტოკატასტროფაში მოხვდა და დაშავებულია. სანამ ის მკურნალობს, ივნისის ტესტებზე გუნდს სწორედ ჰოული უხელმძღვანელებს.


შეინ და მარტინ ვილიამსები

*„ძალიან კარგი იქნება მარტინი ნაკრებში მე-100 კეპს თუ მოიხვეჭს. განა ასე არ არის? წარმომიდგენია, მე რომ 99 კეპი მქონდეს, რა განწყობა მექნებოდა. ერთი თამაში რა ბედენაა. მან უელსურ რაგბის უდიდესი სამსახური გაუწია. დარწმუნებული ვარ, უელსური რაგბის თემში ძალიან ბევრი დამეთანხმება.*

*აღსრულდება თუ არა ეს ღირშესანიშნავი მოვლენა ახლა რობ ჰოულიზეა დამოკიდებული. მან უნდა გადაწყვიტოს, ჩაიწერება თუ არა კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი უელსური რაგბის ისტორიაში"* - თქვა შეინ ვილიამსმა.

შეგახსენებთ, რომ თავის 99-ე მატჩში **მარტინ ვილიამსმა** უელსის ნაკრებს არგენტინის ეროვნულ გუნდთან უკაპიტნა. გამარჯვების მიუხედავად 36 წლის მარტინი ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასზე ვერ მოხვდა. გეთლენდმა ის 30-კაციან განაცხადში არ შეიყვანა.

ამჯერად მდგომარეობა ასეთია - უელსელთა ამჟამინდელი კაპიტანი **სემ ვერბარტონი** ტრავმირებულია და როგორც ჩანს, ივნისის ტესტებზე ვერ ითამაშებს. მის ადგილს ძირითად შემადგენლობაში, სავარაუდოდ, **ჯასტინ ტიპურიჩი** დაიკავებს. მისი დუბლიორის ვინაობა კი ჯერ გაურკვეველია. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ნაკრებში მარტინ ვილიამსი მართლაც იხმონ.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

# უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

## ვინ იქნება პირველი?

"ჩიკაგო ბულზი" აღმოსავლეთის ჩემპიონის რანგში სტუმრობდა "ინდიანას", რომელსაც, თავის მხრივ, გარანტირებული ჰქონდა მესამე ადგილი. ამიტომაც ეს მატჩი სხვა მხრივ იყო საინტერესო: რა ფორმაში იმყოფება შარშანდელი სეზონის საუკეთესო მოთამაშე, "ბულზის" ლიდერი **დერიკ როუზი?**

როუზს, რომელმაც წელს ტრავმის გამო 26 მატჩი გამოტოვა, ჯერჯერობით უთამაშებლობა ეტყობა - მან 11-დან მხოლოდ სამი ბურთი ჩააგდო, 10 ქულა დააგროვა და ამას 7 შედეგიანი პასი დაუმატა.

თუმცა მოტივაცია "ხარებს" მაინც ჰქონდათ - ისინი რეგულარული ჩემპიონატის ტიტულისთვის ებრძვიან "სან ანტონიოს", შესაბამისად, ლიდერების დასვენებაზე ლაპარაკი არ ყოფილა. "ინდიანას" კი არ ჰყავდა ძირითადი გამთამაშებელი **კოლისონი.** ამიტომაც "პეისერსის" სასტარტოში სამი "მსროლელი" გამოჩნდა - **ჰილსა** და **ჯორჯს** დებიუტანტი **სტეფენსონი** დაემატა, რომელმაც თავისი შანსი კარგად გამოიყენა – 35 წუთში 22 ქულა დააგროვა, მაგრამ პარტნიორებმა ვერ აუბეს მხარი: თამაშიდან 38.5 პროცენტი ჩააგდეს და ფარი ნააგეს (34-44).

იდეალური არც "ბულზის" თამაში არ ყოფილა - როუზმა, **ჰემილტონმა** და **დენგმა** 32-დან 23 ტყორცნა ააცილეს, მაგრამ "ჩიკაგომ" იკმარა პირველ ტაიმში მოპოვებული 13-ქულიანი უპირატესობა და რეგულარულში 49-ე გამარჯვება გაიფორმა.

■ ■ ■

ამდენივე მოგება აქვს დასავლეთის ჩემპიონს "სან ანტონიოს". ამ გუნდის დამრიგებელმა **გრეგ პოპოვიჩმა** ისევ დაასვენა ლიდერთა ტრიო **დანკანის, პარკერისა** და **ჯინობილის** შემადგენლობით. ამიტომაც, "ფინიქსთან" გასვლით შეხვედრაში ტექსასელთა რეზერვისტები ბრწყინავდნენ. მაგალითად, ბრაზილიელმა **სპლიტერმა** კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ითამაშა და 20 წუთში 26 ქულის (თამაშიდან – 10/13, საჯარიმოები – 6/7) მოგროვება მოასწრო, სასტარტოში მყოფი **მილზის** ანგარიშზე კი 27 ქულა მოდის, არადა, 14 ტყორცნა ააცილა მიზანს. მაგრამ მცველს ეს ეპატიება, რადგან "მინუს 6"-ზე მან მოაწყო გადამწყვეტი სპურტი და თან სირენამდე 6 წამით ადრე ორი მნიშვნელოვანი საჯარიმო ჩააგდო.



ნეში ფინიქსს ემშვიდობება

მაგრამ, ამ მატჩში საყოველთაო ყურადღება **სტივ ნეშის** მიმართ იყო მიპყრობილი, რადგან, შესაძლოა, ლეგენდარულმა გამთამაშებელმა ბოლო მატჩი ჩაატარა "ფინიქსის" შემადგენლობაში. მეოთხე მეოთხედში გულშემატკივრებმა სკანდირებით - We want Nash! - აიძულეს "სანზის" მწვრთნელი დაებრუნებინა კანადელი მოედანზე, თუმცა ნეშმა შეცდომა დაუშვა და 27 წამის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე დაბრუნდა. ზაფხულში ის თავისუფალი აგენტი ხდება და თუ სხვა გუნდში გააგრძელებს კარიერას, ეს 27 წამი უკანასკნელი იქნება "სანზში".

| ინდიანა–ჩიკაგო | 87:92 |
| --- | --- |

24:32, 12:17, 23:18, 28:25

ი: სტივენსონი (22), უესტი (13+5 მოხსნა), პრაისი (10).
ჩ: კორვერი (20), ბუზერი (16+7 მოხსნა), ნოა (14+14 მოხსნა), როუზი (10+7 პასი), გიბსონი (10).

| ფინიქსი–სან ანტონიო | 106:110 |
| --- | --- |

29:26, 24:32, 29:24, 24:28

ფ: ბრაუნი (21), ტელფეირი (20), რედი (14), ლოპესი (10+5 მოხსნა+3 დაფარება), გორტატი (9+10 მოხსნა+3 დაფარება).
ს-ა: მილსი (27+5 პასი), სპლიტერი (26+5 მოხსნა), ლეონარდი (10), ბლეირი (10+8 მოხსნა).

## ნიქსმა ჰიტი აირჩია

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი დღეა დარჩენილი. ორივე კონფერენციაში პლეი ოფის ყველა მონაწილე გარკვეულია და ბოლო დღეებში გათამაშების ცხრილში ადგილების განაწილებისთვის მიდის ბრძოლა.

ამ მხრივ გამორჩეული იყო "ნიუ იორკისა" და "კლიპერსის" შეხვედრა. ორივე გუნდი საკუთარ ლოკალურ საკითხებს წყვეტს. თითქოს სტუმრებს მეტი მოტივაცია ჰქონდათ, რადგან წაგების შემთხვევაში წინ უშვებდნენ "მემფისს" და ამით კარგავდნენ პლეი ოფის პირველ წრეში საკუთარი მოედნის უპირატესობას. "ნიუ იორკის" ხელმძღვანელობას სხვა საფიქრალი ჰქონდა, კერძოდ, არჩევანი უნდა გაეკეთებინა: "ჩიკაგო" აერჩია პლეი ოფში პირველ მეტოქედ თუ "მაიამი ჰიტი"?

კალიფორნიელები **კრის პოლის** გარეშე თამაშობდნენ და ამან "ნიქსს" შედარებით გაუადვილა საქმე. მეტოქის ნახევარზე ხიფათს მხოლოდ **გრიფინი** და **ფოიე** ქმნიდნენ. მათ ჯამში 57 ქულა, 15 მოხსნა, 10 პასი და 4 ჩაჭრა დააგროვეს. გრიფინს 7 ჯარიმა რომ არ აეცილებინა, ხოლო ფოიეს 14 ტყორცნა თამაშიდან, შესაძლოა, მატჩის დასასრული სულ სხვაგვარი გამოსულიყო.

მეოთხე მეოთხედის შუა ნაწილისთვის გამარჯვებულის საკითხი თითქოს მოხსნილი იყო დღის წესრიგიდან. **ნოვაკმა** და **სმიტმა** 11:2 გაქცევა მოაწყვეს და "ნიქსს" 18-ქულიანი უპირატესობა მოუტანეს.

და მაინც, მასპინძლებს კინაღამ გაუფრინდათ ხელიდან განაღდებული გამარჯვება. "კლიპერსმა" საპასუხო სპურტი მოაწყო – 16:1 და რომ არა სმიტი, "ნიქსს", შესაძლოა, დამარცხებულს დაეტოვებინა მოედანი. სირენამდე 31 წამით ადრე, როცა "ნიუ იორკის" უპირატესობა მხოლოდ ერთი ქულა იყო, მცველმა მეტად საჭირო სამქულიანი ჩააგდო და თავის გუნდს რთული გამარჯვება მოაპოვებინა.

ამ მოგების შემდეგ, პრაქტიკულად გადაწყვეტილია, რომ "ნიუ იორკი" პლეი ოფის პირველ წრეში "მაიამის" შეხვდება.

■ ■ ■

"დენვერისა" და "ოკლაჰომას" დაპირისპირება მხოლოდ ერთ გუნდს – "ნაგეტსს" აინტერესებდა, რადგან ის კონფერენციაში მეექვსე ადგილისთვის იბრძვის. "თანდერის" ერთადერთი მოტივაცია კი **კევინ დურანტს** უკავშირდებოდა. ეს კალათბურთელი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირის მორიგი ტიტულისთვის იბრძვის. ორივე გუნდმა ამოცანა შეასრულა - კევინმა 32 ქულა დააგროვა, "ნაგეტსმა" კი საჭირო გამარჯვება ჩაიწერა აქტივში.

ამასობაში, "ორლანდომ" მეექვსე ადგილი გაინაღდა აღმოსავლეთში. ამის გაკეთება რთული არ იყო, რადგან მეტოქედ "შარლოტი" ჰყავდა. ეს უკანასკნელი კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა NBA-ის აბსოლუტურ ანტირეკორდს. თუ დღეს "ბობკეტსი" დამარცხდება "ნიუ იორკთან", მაშინ ისტორიაში მოგებათა ყველაზე უარესი პროცენტით დაასრულებს სეზონს.

| კლივლენდი–ვაშინგტონი | 85:96 |
| --- | --- |

27:21, 18:28, 18:28, 22:19

კ: კენედი (12+6 მოხსნა), ჯეიმისონი (10).
ვ: უოლი (21+13 პასი+7 მოხსნა+7 ჩაჭრა), სერაფინი (12+6 მოხსნა), ნენე (12+7 მოხსნა), კ. სინგლტონი (10), ჯ. სინგლტონი (10+5 მოხსნა), ვესელი (7+12 მოხსნა).

| ორლანდო–შარლოტი | 102:95 |
| --- | --- |

37:24, 20:23, 26:26, 19:22

ო: რედიკი (31), ანდერსონი (24+13 მოხსნა), ჯ. რიჩარდსონი (17+9 მოხსნა), ნელსონი (11+9 მოხსნა+9 პასი).
შ: ოგუსტინი (23+6 პასი), ჰენდერსონი (17+5 მოხსნა), ბრაუნი (16+5 მოხსნა), ტომასი (13+5 მოხსნა), მალენსი (11).

| ნიუ იორკი–კლიპერსი | 99:93 |
| --- | --- |

24:19, 24:20, 26:27, 25:27

ნ-ი: სმიტი (21+5 პასი+4 ჩაჭრა), ჩენდლერი... ენტონი (17+6 მოხსნა), ნოვაკი (14), დევისი (12), ჩენდლერი (11+5 მოხსნა), სტაუდმაიერი (10+7 მოხსნა).
კ: გრიფინი (29+10 მოხსნა+6 პასი), ფოიე (28+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

| მილუოკი–ფილადელფია | 85:90 |
| --- | --- |

29:24, 21:21, 13:26, 22:19

მ: ჯენინგსი (19+6 პასი+5 მოხსნა), ჰარისი (15+13 მოხსნა), სანდერსი (12+4 ჩაჭრა+5 დაფარება), დანლივი (12).
ფ: ტერნერი (29+13 მოხსნა+6 პასი), მიქსი (27), ალენი (4+12 მოხსნა).

| ოკლაჰომა–დენვერი | 101:106 |
| --- | --- |

30:26, 28:28, 24:16, 19:26

ო: დურანტი (32+5 მოხსნა), უესტბრუკი (30+9 პასი+6 მოხსნა+4 დაფარება+3 ჩაჭრა), იბაკა (15+5 მოხსნა+4 დაფარება).
დ: ლოუსონი (25+5 მოხსნა), აფლალო (15+6 მოხსნა), გალინარი (14+5 მოხსნა), ფარიდი (13+10 მოხსნა), ბრიუერი (10), ჰარინგტონი (10+5 მოხსნა), მაკგი (10+6 მოხსნა).



კარმელო ენტონი

## ლინს მეორე რაუნდში ელიან

წლევანდელი სეზონის აღმოჩენამ, "ნიუ იორკ ნიქსის" გამთამაშებელმა **ჯერემი ლინმა** მძიმე ტრავმის შემდეგ ვარჯიშები განაახლა. შეგახსენებთ, რომ ჩინური წარმოშობის კალათბურთელმა 2 აპრილს მუხლის მძიმე ტრავმა მიიღო და რეგულაარული სეზონი ველარ დაასრულა.

ექიმების ვარაუდით, ლინი ვერ შეძლებდა ამ სეზონში მოედანზე გასვლას, მაგრამ ახლა არსებობს ჯერემის პლეი ოფში თამაშის შანსი. ექიმების პროგნოზების მიხედვით, ლინი მეორე რაუნდში უნდა დაუბრუნდეს "ნიუ იორკს".

მაგრამ მცველს, შესაძლოა, წელს მაინც აღარ მოუწიოს თამაშმა, რადგან "ნიუ იორკს" აღმოსავლეთში მეშვიდე ან მერვე განთესვის ნომერი ექნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფის პირველ რაუნდში "ნიქსის" მეტოქე "ჩიკაგო" ან "მაიამი" იქნება. ამ გუნდებთან "ნიუ იორკს" წარმატების მინიმალური შანსი აქვს.



ჯერემი ლინი

### ჰარდენი პლეი ოფს დაიწყებს

"ოკლაჰომა-სიტის" მცველმა **ჯეიმს ჰარდენმა** ტვინის შერყევის შემდეგ დაწვრილებითი სამედიცინო შემოწმება გაიარა და ექიმებისგან სასიხარულო ინფორმაცია მიიღო – "თანდერის" ერთ-ერთ ლიდერს შეუძლია პლეი ოფის პირველ რაუნდში თამაში.

შეგახსენებთ, რომ რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო მატჩში ჰარდენს "ლეიკერსის" ფორვარდის **მეტა უორლდ პისის** იდაყვი მოხვდა თავში და შეხვედრა ვერ დაასრულა. მოგვიანებით ექიმებმა მას ტვინის შერყევის დიაგნოზი დაუსვეს. იმ დარღვევისთვის უორლდ პისს შვიდმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

ჰარდენს გუშინ, "დენვერის" წინააღმდეგ შეეძლო მოედანზე გასვლა, მაგრამ მწვრთნელებმა რისკზე წასვლისგან თავი შეიკავეს.

### როუზი ყველაზე რეიტინგულია

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ გამოაქვეყნა ლიგის ყველაზე პოპულარული მოთამაშეების რეიტინგი, რომელიც რეალიზებული მაისურების რაოდენობის მიხედვით დგება.

პირველი ადგილი დაიკავა ლიგის ისტორიაში სეზონის ყველაზე ახალგაზრდა საუკეთესო მოთამაშემ, "ჩიკაგოს" მცველმა **დერიკ როუზმა.** მეორე ადგილი კი "ნიუ იორკ ნიქსის" სენსაციას **ჯერემი ლინს** ერგო.

ხუთეულში მოხვდნენ წინა რეიტინგის ლიდერი **კობი ბრაიანტი ("ლეიკერსი"), ლებრონ ჯეიმსი ("მაიამი")** და **კარმელო ენტონი ("დენვერი").**

### ჯეიმისონს კლივლენდი აღარ უნდა

"კლივლენდის" ფორვარდმა **ანტუან ჯეიმისონმა** ამ ზაფხულს კლუბის შეცვლის სურვილი გამოთქვა. 35 წლის კალათბურთელს სეზონის შემდეგ უმთავრდება კონტრაქტი და მან "შარლოტ ბობკეტსში" გადასვლა მოინდომა, რადგან იქ მისი ოჯახი ცხოვრობს.

NBA-ში გატარებული 15 სეზონის განმავლობაში, "ყველა ვარსკვლავის მატჩის" მონაწილე 19.6 ქულასა და 7.9 მოხსნას აგროვებდა.

*"შემდეგი მატჩი ბოლო იქნება ჩემთვის "კლივლენდის" მაისურით. არ ვიცი როგორ განვითარდება მოვლენები მომავალში. მადლობელი ვარ ჩემი ამჟამინდელი კლუბის, მაგრამ ცვლილებების დრო მოვიდა"*, - განაცხადა ჯეიმისონმა.

### ლებრონის ოცნებები

"მაიამი ჰიტის" ვარსკვლავურმა ფორვარდმა **ლებრონ ჯეიმსმა** განმარტა, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის სეზონის წარმატებით დასრულება.

*"მთელი სეზონის განმავლობაში ვცდილობდი თამაშიდან თამაშამდე მომატებას. მე მაქვს ერთი მთავარი მიზანი - ჩემპიონობა და ყველაფერს ვაკეთებ ამ მიზნის მისაღწევად. საიდუმლო არ არის, რომ მთელი ცხოვრება ვოცნებობდი ამისთვის და არაერთხელ წარმოვიდგინე გონებაში, თუ როგორ აღვმართავ თავს ზემოთ პრიზს. სწორედ ამის გამო გადავედი "მაიამიში". აქ მიზნის მისაღწევად ყველა პირობა მაქვს. ამჯერად, წაგებას არანაირი გამართლება არ ექნება. შეიძლება ითქვას, რომ ფსონი ამ სეზონზე გავაკეთე და პლეი ოფში მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ"*, - ამბობს ჯეიმსი ამერიკული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL სტენლის თასი

# ჩემპიონი გავარდა


ვაშინგტონი მეოთხედფინალშია

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სტენლის თასს ახალი გამარჯვებული ეყოლება. გუშინ, ბოსტონში გაიმართა ადგილობრივი "ბრუინზისა" და "ვაშინგტონის" სერიის მეშვიდე შეხვედრა, რომლის ბედი ოვერტაიმში გადაწყდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრა დაძაბული გამოვიდა და წინა პლანზე ორივე გუნდის მეკარეები იყვნენ.

სტუმრებმა თითქოს აგრესიულად დაიწყეს შეხვედრა, რამდენჯერმე შეაწუხეს "დათვების" მეკარე **ტიმ ტომასი**, მაგრამ მალე ინიციატივა "ბოსტონის" მხარეს გადავიდა და ახლა უკვე "კეპიტალზის" კარის დარაჯს **ბრეიდენ ჰოლტბის** მოუწია აქტიურმა მუშაობამ. "ვაშინგტონი" თავის ჩვეულ სტილზე გადავიდა - თამაშის ჩაშლა და იშვიათი კონტრშეტევები. ერთ-ერთმა ასეთმა იერიშმა შედეგი მოიტანა - პლეი ოფში პირველი შაიბა გაიტანა **მეტ ჰენდრიქსმა** - 1:0.

მეორე პერიოდში სტუმრებს უპირატესობის გაზრდა შეეძლოთ, როცა რუსი **ალექსანდრ ოვეჩკინი** გავიდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ კარიდან დროულად გამოსულ ტომასს შეეჯახა. ამასობაში, "ბოსტონი" აგრძელებდა მატჩზე კონტროლსა და ჰოლტბის "დაბომბვას" (პირველი ორი პერიოდის შემდეგ დარტყმების შეფარდება იყო - 25:13 "ბრუინზის" სასარგებლოდ). ერთ-ერთ მომენტში "კეპიტალზის" ახალგაზრდა მეკარემ **ბოიჩუკის** დარტყმისას შაიბა ვერ დააფიქსირა და **ტაილერ სეგუინმა** დამატებაზე მცველებს აჯობა - 1:1.

მესამე 20-წუთეული უფრო აქტიურად "ვაშინგტონმა" ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ **ჰამრლიკისა** და **ჩიმერას** გაძევებების გამო ორჯერ რიცხობრივ უმცირესობაში მოუწია თამაშმა. კიდევ ერთი შანსი მიიღო ოვეჩკინმა, მაგრამ მისი დარტყმა ტომასმა მოიგერია.

საბოლოოდ, შეხვედრა ოვერტაიმში გადავიდა, რომელიც დიდი ხანი არ გაგრძელებულა. მესამე წუთზე სტუმრებს კარგი კონტრშეტევა გამოუვიდათ - ტომასთან ერთი ერთზე გავიდა **ნუბლი**, მაგრამ მეკარის მოტყუება ვერ შეძლო, მაგრამ იქვე აღმოჩნდა **ჯოელ უორდი**, რომელმაც ბადეში შეაცურა შაიბა - 2:1.

**ბოსტონი-ვაშინგტონი 1:2 (ო)**

0:1, 1:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ჰენდრიქსი-1 (ჯ. კარლსონი-2, ჩიმერა-1), 1:1 სუგეინი-2 (ბოიჩუკი-2, ფერენსი-3), 1:2 ჯ. უორდი-1 (ნუბლი-1).

**სერია:** 3-4

# ახალი ნომინანტები


ზდენო ხარა

ამასობაში, ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ სამი მეკარე დაასახელა, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ "ვეზინა ტროფიზე" (სეზონის საუკეთესო მეკარის პრიზი). ნომინანტთა შორის არიან: **ჰენრიკ ლუნდკვისტი** "რეინჯერსიდან", **ჯონათან კუიკი** "ლოს ანჯელესიდან" და **პეკა რინე** "ნეშვილიდან".

სამივე მეკარე რეგულარულის ლიდერი იყო სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემით. ლუნდკვისტმა 39 მოგებით პირადი რეკორდი დაამყარა, სეზონში საშუალოდ 1.97 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 93 პროცენტს იგერიებდა.

რინემ რეგულარულში 43 მატჩი მოიგო, რაც საუკეთესო მაჩვენებელია ლიგაში, ხოლო კუიკი ლიდერი იყო "მშრალი" მატჩების რაოდენობით (10).

სამივე გუნდი აგრძელებს ბრძოლას პლეი ოფში. "ლოს ანჯელესი" და "ნეშვილი" უკვე გავიდნენ მეოთხედფინალში, "რეინჯერსს" კი მეშვიდე მატჩი ელის "ოტავასთან".

■ ■ ■

გარდა ამისა, გამოვლინდა კიდევ ერთი პრესტიჟული პრიზის – "ნორის ტროფის" ნომინანტები. ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად, პრეტენდენტთა შორის მოხვდნენ ბოსტონელი **ზდენო ხარა**, "ნეშვილის" დაცვის ხაზის ლიდერი **ში უებერი** და "ოტავას" ახალგაზრდა ვარსკვლავი **ერიკ კარლსონი**.

35 წლის ხარამ რეგულარულში შედეგიანობის პირადი რეკორდი დაამყარა – 52 ქულა (12+40). გარდა ამისა, მესამე იყო ლიგაში სარგებლიანობის კოეფიციენტით – "+33".

ამ კოეფიციენტის მიხედვით უდიდესი პროგრესი განიცადა კარლსონმა: "მინუს 33"-დან "პლუს 16"-მდე. შვედი ლიგის ლიდერი იყო ართმევების რაოდენობით.

რაც შეეხება ში უებერს, მან მცველების შორის ყველაზე მეტი - 19 შაიბა გაიტანა (ასეთივე მაჩვენებელი აქვს კარლსონს).

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში სეზონის ლაურეატებს 20 ივნისს დაასახელებენ.

# კანადა დაკომპლექტდა


დანკან კეიტი

კანადის ნაკრებს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა ითამაშოს, "ჩიკაგოდან" ორი ჰოკეისტი - მცველი **დანკან კეიტი** და ფორვარდი **პატრიკ შარპი** დაემატა. ამით, პირველობის ერთ-ერთი ფავორიტის შემადგენლობა თითქმის სრულად დაკომპლექტებულად უნდა ჩაითვალოს. გუნდში მხოლოდ ორი ვაკანტური ადგილია - ერთი მცველისთვის და მეორე ნახევარმცველისთვის. ნაკრების გენერალური მენეჯერი **კევინ ლოუ** ამ ვაკანსიების შევსებას შვეიცარიაში გასამართავ საგამოფენო მატჩების შემდეგ გეგმავს.

აღსანიშნავია, რომ კეიტი მესამე ჰოკეისტია კანადელთა რიგებში, რომელსაც ვანკუვერის ოლიმპიადა აქვს მოგებული. ასეთები კანადის შემადგენლობაში ფორვარდები - **კორი პერი** და **რაიან გეტცლაფი** არიან.

დღეისთვის კანადის ნაკრების განაცხადი ასე გამოიყურება:

**მეკარეები** - დუბნიკი („ედმონტონი"), უორდი („კაროლინა");

**მცველები** - ბოუმისტერი ("კალგარი"), მეტოტი („კოლამბუსი"), ფანოფი, შენი (ორივე - „ტორონტო), სუბანი („მონრეალი"), კეიტი („ჩიკაგო"), ლეტანგ („პიტსბურგი");

**თავდამსხმელები** - ებერლე, ნიუჯენტ-ჰოპკინსი (ორივე - „ედმონტონი"), ო'რაილი („კოლორადო), გეტცლაფი, პერი (ორივე - „ანაჰაიმი"), ე. კეინი, ლედი (ორივე - „ვინიპეგი"), ტავარესი („აილენდერსი"), ბენი („დალასი"), სკინერი („კაროლინა"), პურსელი („ტამპა ბეი"), შარპი („ჩიკაგო"), ჯ. სტაალი, ნილი (ორივე - „პიტსბურგი").

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევროპის ლიგა** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩები** | |
| ბილბაო-სპორტინგი | 3:1 (1:2) |
| ვალენსია-ატლეტიკო | 0:1 (2:4) |
| **დანიის თასი** | |
| **1/2 ფინალი. II მატჩი** | |
| ჰორსენსი-კიოგე | 1:0 (2:2) |
| **შვედეთი** | |
| ელფსბორგი-გაის | 2:1 |
| გეფლე-აიკ | 0:1 |
| **II დივიზიონი** | |
| ვარბერგსი-ფალკენბერგსი | 1:0 |
| **ფინეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ლპს-ვაასა | 0:2 |
| ჰაკა-მიუპა | 1:1 დ.დ. 1:2 |
| ჰიკ-იარო | 2:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| ქარაბუქი-ფენერბაჰჩე | 0:2 |
| **რუსეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| გაზოვიკი-ხიმკი | 3:0 |
| ჩერნომორეცი-გაზპრომი | 0:0 |
| კამაზ-ლუს ენერგია | 0:0 |
| ტორპედო-ენისეი | 3:0 |
| ბალტიკა-ფაკელი | 2:0 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-პანიონიოსი | 90:65 |
| პანათინაიკოსი-კოლოსოსი | 102:71 |
| **ესპანეთი** | |
| ბარსელონა-კახა ლაბორალი | 97:89 |
| ფუენლაბრადა-ლაგუნ არო | 71:63 |
| ხუვენტუდი-უნიკახა | 80:64 |
| მანრესა-რეალი | 93:96 |
| მურსია-ალიკანტე | 78:82 |
| **იტალია** | |
| სკავოლინი-მონტეპასკი | 81:85 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **ევროტური** | |
| რუსეთი-ფინეთი | 0:2 |
| ჩეხეთი-შვედეთი | 5:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბარსელონა** | |
| ალმაგრო-რაონიჩი | 3:6, 3:6 |
| რამოსი-ნიშიკორი | 6:7, 3:6 |
| ხირალდო-მიურეი | 1:6, 2:6 |
| ფ. ლოპესი-ნიემინენი | 6:3, 6:1 |
| ჟილი-ტიპსარევიჩი | 2:6, 2:6 |
| ნადალი-ფარა | 6:2, 6:3 |
| მონტანიესი-ფერერი | 0:6, 2:6 |
| ვერდასკო-ანდერსონი | 6:4, 6:4 |
| **ATP. ბუქარესტი** | |
| ფონინი-ბალდატისი | 7:5, 7:6 |
| სეპი-შტებე | 6:2, 6:3 |
| ტროიცკი-ბახინგერი | 3:6, 6:4, 6:7 |
| კოპილი-კუბოტი | 3:6, 3:6 |
| სიმონი-სელა | 6:4, 6:2 |
| **WTA. ფესი** | |
| მუგურუსა ბლანკო-ბერტენსი | 1:6, 4:6 |
| იოჰანსონი-ჩეტკოვსკა | 6:3, 6:4 |
| პოუს ტიო-ბეგუ | 6:4, 6:1 |
| მედინა გარიგესი-ჰალეპი | 2:6, 1:6 |
| **WTA. შტუტგარტი** | |
| სკიავონე-კვიტოვა | 2:6, 2:6 |
| ბარტელი-ბარტოლი | 6:3, 6:1 |
| ამანმურადოვა-ნა ლი | 4:6, 4:6 |
| სტოსური-გორგესი | 6:2, 2:6, 6:3 |
| აზარენკა-პეტკოვიჩი | 6:2, 6:4 |
| ვოზნიაცკი-კერბერი | 1:6, 2:6 |

TV პროგრამა

**27 აპრილი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
**11:00** იტალიის ჩემპიონატი. XXXIII ტურის მიმოხილვა.
**12:00** ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. ვალენსია-ატლეტიკო. საპასუხო მატჩი.
**14:00** ევროპის ლიგა. 1/2 ფინალი. ბილბაო-სპორტინგი. საპასუხო მატჩი.
**16:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ალკმაარი-ვენლო.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXIV ტურის მიმოხილვა.
**19:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. მანჩესტერ იუნ-ევერტონი.
**21:00** საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
**22:30** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIV ტურის წინ.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**01:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXXV ტურის წინ.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-რეალი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. შარლოტი-ნიუ იორკი.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-კიევო.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. კლერმონი-ალსტერი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**19:45** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**20:30** NBA Action.
**21:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ტულუზა-მონპელიე (LIVE).
**23:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. XXXIV ტური. ლორიანი-მარსელი (LIVE).
**01:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. შარლოტი-ნიუ იორკი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი.
**15:00** სპორტ-NEWS.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი (LIVE).
**21:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. სან ანტონიო-პორტლენდი.
**23:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 23 | (მზე) |
| ქუთაისი | 12 | 26 | (მზე) |
| ბათუმი | 11 | 18 | (მზე) |
| ფოთი | 12 | 19 | (მზე) |
| ზუგდიდი | 12 | 25 | (მზე) |
| გორი | 11 | 24 | (მზე) |
| თელავი | 12 | 22 | (მზე) |
| ბაკურიანი | 4 | 16 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | 2 | 14 | (მზე) |
| მესტია | 4 | 21 | (წვიმა) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1526 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6285 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6212 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5587 |

ავტომოტოსპორტი

# სარბოლო უქმეები

მართალია, ფორმულა 1-ში სამკვირიანი პაუზაა, მომავალი უქმეები ძრავების სამყაროში მაინც ძალიან საინტერესო იქნება. ესპანეთის ხერესში გაიმართება მოტო გრან-პრის მეორე ეტაპი. კატარში გამართულმა პირველმა რბოლამ დაგვანახა, რომ სეზონი ძალიან საინტერესო იქნება. საწყისი ეტაპი **ხორხე ლორენსომ** მოიგო, რომელმაც სულ მცირედით აჯობა "ჰონდაში" თავის მთავარ კონკურენტებს. ასე რომ, "ჰონდა" ხერესში რევანშისთვის ემზადება.

რალიში მსოფლიოს ჩემპიონატზე მორიგი ეტაპი არგენტინაში გაიმართება და **სებასტიან ლოები** ეცდება რეაბილიტაციას იმ შეცდომის გამო, რომელიც მან პორტუგალიაში დაუშვა.

**მოტოგრანპრი**

**ესპანეთის გრანპრი**

ჩატარების ადგილი - ხერესი, ესპანეთი
წრის სიგრძე - 4 423 მ
საუკეთესო წრე - 1:39,731 (პედროსა, 2010)

**საერთო ჩათვლა**

1. ლორენსო (იამაჰა) - 25 ქულა
2. პედროსა (ჰონდა) - 20
3. სტოუნერი (ჰონდა) - 16
4. კრატჩლოუ (იამაჰა) - 13
5. დოვიციოზო (იამაჰა) - 11
6. ჰეიდენი (დუკატი) - 10
7. ბაუტისტა (ჰონდა) - 9
8. ბრადლი (ჰონდა) - 8

**განრიგი**

27 აპრილი, 12:10 - I პრაქტიკა
27 აპრილი, 16:10 - II პრაქტიკა
28 აპრილი, 12:10 - III პრაქტიკა
28 აპრილი, 15:55 - კვალიფიკაცია
29 აპრილი, 16:00 - რბოლა

**რალი**

**არგენტინა**

შტაბი - ვილია-კარლოს-პასი
საფარი - ღორღი
სპეცმონაკვეთების რაოდენობა - 19
დისტანცია - 502,73 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. ლოები (სიტროენი) - 66 ქულა
2. პ. სოლბერგი (სიტროენი) - 62
3. ოსტბერგი (ფორდი) - 53
4. ჰირვონენი (სიტროენი) - 50
5. ნოვიკოვი (ფორდი) - 39
6. ლატვალა (ფორდი) - 28
7. ფორდო (მინი) - 21
8. ალ-ატიია (სიტროენი) - 20

ფორმულა 1



ფერნანდო ალონსო გამოფენაზე

# კეთილი აქცია

გასული წლის 27 ოქტომბერს, ინდური სარბოლო უქმეების წინ, Buddh-ის ახალ ავტოდრომზე უცნაური გამოფენა გაიმართა, რომელსაც "უცნობი მხატვრები" ერქვა. მასზე გამოფენილი იყო 180 ნახატი, რომელიც უნარშეზღუდულმა ბავშვებმა შექმნეს. ფორმულა 1-ის ყველა პილოტს შესთავაზეს საკუთარი ავტოგრაფების დატოვება იმ ნახატებზე, რომლებიც მათ ყველაზე მეტად მოეწონათ. და ახლა, გამოფენიდან შვიდი თვის შემდეგ, ეს სურათები სპეციალურ ონლაინ-აუქციონზე გამოიტანეს.

აუქციონი 10 მაისამდე გაგრძელდება. ნახატების სასტარტო ფასი 230-დან 400 ევრომდეა. ფასი იმაზეა დამოკიდებული, რამდენი ავტოგრაფი ამშვენებს ამა თუ იმ ნახატს. ამ აქციიდან შემოსული თანხა გადაირიცხება ინდურ არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომლებიც საბავშვო დაავადებების წინააღმდეგ იბრძვიან.

# ექლსტოუნი [illegible]

ფორმულა 1-ზე მწერალ ჟურნალისტებს შორის გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ ამა წლის ზაფხულში ან შემოდგომაზე "დიდი ცირკის" მთავარი პრომოუტერი **ბერნი ექლსტოუნი** შეიძლება **პიტერ ბრაბეკ-ლეტმანტმა** შეცვალოს. ეს უკანასკნელი გახლავთ კომპანია Delta Topco Limited-ის დირექტორთა საბჭოს წევრი. ფაქტობრივად, სწორედ ეს კომპანიაა ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის აქციათა მფლობელი.

ბრაბეკი მსოფლიოს ბაზარზე ცნობილი ფიგურაა. ის გახლავთ კომპანია Nestle-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, აგრეთვე ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა უკავია კომპანიებში - Credit Suisse Group-სა და L'Oreal-ში.

თუმცა იმასაც ამბობენ, რომ ამ გადაადგილებებს ფორმალური ხასიათი ექნება და უბრალოდ, პოტენციურ აქციონერებს მეტ დამაჯერებლობას შესძენს, რადგან ექლსტოუნი უკვე 81 წლისაა. ფაქტობრივად კი ფორმულა 1-ის ხელმძღვანელად ბერნი დარჩება.

## ბერნი და მერსედესი ერთმანეთს სწაეკიდნენ

ფორმულა 1-ის მთავარ პრომოუტერ **ბერნი ექლსტოუნსა** და "მერსედესს" შორის უთანხმოებამ, შესაძლოა, "დიდი ცირკის" დატოვება აიძულოს გერმანულ საჯინიბოს. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, ექლსტოუნმა დაადასტურა, რომ დაძაბული ურთიერთობა აქვს "მერსედესის" ხელმძღვანელობასთან თანხმობის ახალი ხელშეკრულების გამო, მაგრამ ბრიტანელი იმასაც ამბობს, რომ გერმანული ავტოგიგანტი, რომელიც სხვა გუნდებისთვის ძრავების მიმწოდებელიცაა, ძალიან მნიშვნელოვანია ფორმულა 1-სთვის.

აღსანიშნავია, რომ "მერსედესს" არ აწყობს ბონუსის ოდენობა, რომელსაც ექლსტოუნი სთავაზობს. გერმანული გუნდი ირწმუნება, რომ "ტრიელის" დროიდან მოყოლებული 80 გამარჯვება მოიპოვა, ექლსტოუნს კი გერმანელების ამგვარი პოზიცია არაკორექტულად მიაჩნია.

*"მე ველაპარაკე ამის შესახებ "მერსედესის" ხელმძღვანელს როს ბრაუნს და, როგორც ჩანს, მას სჯერა, რომ მისმა გუნდმა მართლაც მოიპოვა რამდენიმე ტიტული და მოიგო 80 რბოლა. ისე კი ბრაუნს არასოდეს ჰქონია ჩემთან თბილი ურთიერთობა"*, - ამბობს ექლსტოუნი Auto Motor und Sport-თვის მიცემულ ინტერვიუში.



ბერნი ექლსტოუნი

ჩოგბურთი



მონა ბარტელი

# გერმანიაში მონა გაიზარდა

როგორც ჩანს, გერმანულ ჩოგბურთში ახალი ვარსკვლავი იბადება. ამ დღეებში შტუტგარტში მიმდინარეობს ქალთა შორის წარმომადგენლობითი ტურნირი, რომელიც "პრემიერის" კატეგორიას არ განეკუთვნება, მაგრამ იქ სათამაშოდ ჩავიდა TOP8-ის ყველა წარმომადგენელი და ტოპოცეულის 15 წევრი.

თუ 21 წლის გერმანელის, რეიტინგის 35-ე ნომრის **მონა ბარტელის** მიერ ჩატარებულ მატჩებს არ ჩავთვლით, პირველმა ორმა წრემ განსაკუთრებული სენსაციების გარეშე ჩაიარა.

პირველ რაუნდში ბარტელმა ურთულეს მატჩში დაამარცხა სერბი **ანა ივანოვიჩი**, რომელმაც ბოლო პერიოდში შესანიშნავი ფორმა აკრიფა. პირველ სეტში სერბს წარმატების შესანიშნავი შანსი ჰქონდა - 2:3-დან მან ზედიზედ სამი გეიმი აიღო და სეტზე ჩაწოდების შანსი გაუჩნდა, მაგრამ ვერ გამოიყენა, მომდევნო გეიმში კი სამმაგი სეტბოლი გამოიმუშავა და აქ ბარტელს მოწოდებამ უშველა. ცნობისთვის, გერმანელს ამ შეხვედრაში 11 ეისი დაუგროვდა. ივანოვიჩისთვის სეტი მალე დასრულდა – ანგარიშის გათანაბრების შემდეგ, გერმანელმა მაშინვე ბრეიკი გააკეთა და შემდეგ სეტზე ჩააწოდა – 7:5.

მეორე პარტიაში ჩოგბურთელები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებას, საერთო ჯამში კი თამაშის სურათი არ შეცვლილა. ბარტელი ისევ აქტიურობდა და ბევრი შეცდომის მიუხედავად, გაცილებით ეფექტურად გამოიყურებოდა. მიუხედავად ამისა, ივანოვიჩი თანაბრად ებრძოდა გერმანელს და საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, მაგრამ საჩოგბურთო ლატარიაში მასპინძელი თავიდანვე წინ გაიჭრა და მე-13 გეიმი 7:4 მოიგო.

გუშინ კი ბარტელმა ძალიან დამაჯერებლად მოიპოვა მეოთხედფინალის საგზური. მან საათსა და 11 წუთში გაანადგურა ტურნირის მეშვიდე ნომერი, ფრანგი **მარიონ ბარტოლი** – 6:3, 6:1. შეგახსენებთ, რომ ბარტოლი ერთადერთი ჩოგბურთელია წელს, რომელმაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი **ვიქტორია აზარენკა** დაამარცხა.

ბარტელმა შვიდიდან ოთხი ბრეიკპოინტი გამოიყენა, თავად კი მეტოქეს ბრეიკის გაკეთების ერთი შანსიც არ მისცა. გარდა ამისა, მონას შვიდი ეისი და ორი ორმაგი შეცდომა ჰქონდა.

მეოთხედფინალში გერმანელი სწორედ აზარენკას შეხვდება, რომელმაც გუშინ **ანდრეა პეტკოვიჩს** მოუგო. პირველი სეტი ბელარუსმა 6:4 მოიგო, მეორეში კი ანდრეამ 4:4-ზე ტრავმა მოიმიზეზა და ბრძოლა შეწყვიტა.

სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი

# რვა განთესილის გარეშე

მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე დღეს შეიძლება სენსაციებისა და განადგურებების დღე ვუწოდოთ. ფავორიტის პირველი ფიასკო პირველი სესიის მატჩში დაფიქსირდა, რომელშიც **გრემ დოტი** და **ჯო პერი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, შეხვედრის ფავორიტად ტურნირის მესამე ნომერი, შოტლანდიელი დოტი მიიჩნეოდა. მაგრამ გრემს რაღაც დაემართა. მან ვერც ერთი ნორმალური ფრეიმის ჩატარება ვერ შეძლო. როგორც გუშინ ვწერდით, ერთადერთი პრესტიჟის ფრეიმის მოგება მან მხოლოდ 0:8-ზე მოახერხა. ასევე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მთელი მატჩის განმავლობაში გამარჯვებულ პერის ერთი "სენჩურიც" არ დაუფიქსირებია და არც განსაკუთრებული სერიები ჰქონია - მხოლოდ ოთხჯერ აიღო 50-ქულიანი ბრეიკი.

დილის სესიის მეორე მატჩში კი ნამდვილი დრამა გათამაშდა. შეხვედრის ფავორიტმა **დინ ჯუნჰუმ** 9:6-დან მოახერხა მატჩის წაგება. **რაიან დეიმ** ჯერ გაათანაბრა ანგარიში, გადამწყვეტ პარტიაში კი გამარჯვება გამოსტაცა ჩინელს. ამის მიზეზი ის იყო, რომ ჯუნჰუმ ბოლო ორ ფრეიმში მარტივ ბურთებზე უხეში შეცდომები დაუშვა. პირველ წრეს უკვე მეორე ჩინელი გამოეთიშა. პირველი იყო **ლიან ვენბო**, რომელმაც ასევე დათმო გადამწყვეტი მე-19 ფრეიმი **ჯონ ჰიგინსთან**. სხვათა შორის დეი მეორე რაუნდში კიდევ ერთ ჩინელს **ცაო იუიპენს** შეხვდება.

მეორე სესიაში დაასრულეს თავიანთი მატჩი **ჯად ტრამპმა** და **დომინიკ დეილმა**. საინტერესოა, რომ შეხვედრის პირველი ნაწილი დეილმა 5:4 მოიგო, მაგრამ მისთვის დასასრული არც ისე წარმატებული გამოვიდა - მან მხოლოდ ორი ფრეიმის მოგება შეძლო. თუმცა ტრამპს ბოლომდე გარანტირებული არაფერი ჰქონდა და მხოლოდ 7:6-ის შემდეგ აიყვანა თავი ხელში და საქმე მეორე წრის საგზურამდე მიიყვანა. როგორც ვწერდით, ტრამპი ამ მატჩის წინ მოიწამლა. ახლა მას ორდღიანი დასვენება და შესაბამისად, საკუთარი თავის წესრიგში მოყვანის საშუალება აქვს. შეგახსენებთ, რომ მხოლოდ ტრამპს აქვს ამ სეზონში რეიტინგის პირველი ადგილის წართმევის შანსი პირველ ნომერ **მარკ სელბისთვის**.

ყველაზე სენსაციური კი სელბის წაგება იყო. მან უბრალოდ თავი შეირცხვინა **ბარი ჰოუკინსთან** - 3:10. როგორც შემდეგ გაირკვა, ამის მიზეზი კისრის ტრავმა იყო, რომელიც მას დიდი ხანია აწუხებს და ამის გამო ჩემპიონატის წინ თითქმის არ უვარჯიშია. ამან შედეგი იქონია საბოლოო ანგარიშზე. ახლა საფრთხე დაემუქრა სელბის რეკორდს - მას ამ სეზონში ყველაზე მეტი "სენჩური" ჰქონდა გაკეთებული და ახლა შეიძლება **ნილ რობერტსონმა** გაუსწროს, რომელსაც ოთხი "სენჩური" სჭირდება რეკორდის მოსახსნელად.

მაშ ასე, პირველ რაუნდში ტურნირს უკვე გამოეთიშა რვა განთესილი და წინ პირველი წრის კიდევ ორი მატჩია: **მარკ უილიამსი-ლიუ ჩუანი** და **ალი კარტერი-მარკ დევისი**. თუმცა აქ ჯერჯერობით ფავორიტები იგებენ. კარტერმა პირველი სესიის შემდეგ 8:1 წაიყვანა ანგარიში და თითქმის გარკვეულია ყველაფერი, მარკ უილიამსს კი ჯერ ისევ მოუწევს ბრძოლა მეორე წრის საგზურისთვის. ცხრა ფრეიმის შემდეგ ის 6:3-ს უგებს ჩინელს.

| I წრე | |
|---|---|
| გრემ დოტი (შოტ, 9)-ჯო პერი (ინგ) | 1:10 |
| დინ ჯუნჰუ (ჩინ, 7)-რაიან დეი (უელ) | 9:10 |
| ჯად ტრამპი (ინგ, 4)-დომინიკ დეილი (უელ) | 10:7 |
| მარკ სელბი (ინგ, 2)-ბარი ჰოუკინსი (ინგ) | 3:10 |

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



მარკ სელბი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია